# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2013
**№269(14 185)** ფასი 80 თეთრი


## 5:1

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ეფექტური გამარჯვებით გავხსენით

# უელსის დახუთვა ჩვენი საქმეა



## 19-წლამდელებმა 1994 წელი გაგვახსენეს

↳2

## აკაკი, ქუთაისი...

↳12





მექსიკა vs ზელანდია 5:1

იორდანია vs ურუგვაი 0:5

↳9

## მუნდიალისკენ ფრიადით

## ზაზა VS ლებრონი ნეიმარის თვალწინ



↳9

U21. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-საქართველო. 23:30

# სქოთებს უნდა ახსოვდეთ ჩივაძე...

## ტარტანის არმიას 50 ქართველი დაუდგება

კილტი ტარტანისგან იკერება და შოტლანდიის ნაკრებს ამად ეძახიან „ტარტანის არმიას". ბრიტანელებს უყვართ მეტაფორები. თუ ხასიათზე არიან, არც ქედმაღლობაზე ამბობენ უარს. იქ ფეხბურთიც განსაკუთრებულად უყვართ და მერე რა, რომ ახალგაზრდული ნაკრები თამაშობს - ბრძოლა და ძვალთამტრევა იქ ნებისმიერი რანგის მატჩს ამშვენებს.

დღეს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები პეისლიში, გლაზგოსთან ახლოს, სტადიონ „სენტ მირენ პარკზე" შოტლანდიელ თანატოლებს გაეჯიბრება ევროშესარჩევის ციკლში. ჩვენი დროით თამაში 23:30 საათზე დაიწყება.

გუშინ **ალექსანდრე ჩივაძემ** გუნდი სწორედ ამ სტადიონზე ავარჯიშა, ჩვენ კი ვარჯიშის დროს იქ მყოფ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის წარმომადგენელ **ლაშა დვალიშვილს** დავურეკეთ:

*„სტადიონი 8 000 მაყურებელს იტევს. მინდორი იდეალურ მდგომარეობაშია. გუშინ და გუშინწინ კი სხვა სტადიონზე ივარჯიშა ჩვენმა ნაკრებმა. განწყობა კარგია. რაც მთავარია, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. გლაზგოსთან ახლოს, მყუდრო და კომფორტულ სასტუმროში დავბინავდით, სადაც ყველა პირობაა იმისთვის, რომ გუნდი ნორმალურად მოემზადოს. ერთადერთი პრობლემა ამინდია - რაც ჩამოვედით, თითქმის სულ წვიმს და ამას ქარიც ემატება. აქაურები ვარაუდობენ, თამაშის დღეს ამინდი გამოკეთდებაო. ნაკრები მოინახულეს შოტლანდიაში მცხოვრებმა ჩვენებურებმა. ისინი დაგვპირდნენ, სტადიონზე ორმოცდაათამდე ქართველი მოვალთ გუნდის გასამხნევებლადო",* - გვითხრა დვალიშვილმა.



1982 წელი. ჩივაძის გოლი შოტლანდიის ნაკრების კარში

შეგახსენებთ, რომ ამ შესარჩევში საქართველო და შოტლანდია უკვე შეხვდნენ ერთმანეთს - 14 ოქტომბერს ჩვენებმა თბილისში 2:1 გაიმარჯვეს.

როგორც მაშინ, ჩივაძის განკარგულებაში დღესაც არ იქნებიან **გიორგი ილურიძე, თორნიკე ოქრიაშვილი** და **ნიკა ძალამიძე**, მათ **არჩილ ტვილდიანიც** დაემატა - ისინი ტრავმირებულები არიან.

აქვე გეტყვით, რომ ფინალურ ეტაპზე ავტომატურად მოხვდებიან ჯგუფის პირველადგილოსნები, ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი კი პლეი-ოფში გავა და კიდევ ორ საგზურს გაითამაშებს. საქართველოს აქვს შანსი, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავოს, ასე რომ, ჩივაძის გუნდს დღეს ფეხის დაცდენის უფლება არ აქვს. 18 ნოემბერს გორში სლოვაკეთს ვისტუმრებთ და სწორედ ამ ორ შეხვედრაში გადაწყდება, შეირჩენს თუ არა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პლეი-ოფში გასვლის შანსს.

ჩივაძეს კარგი გუნდი ჰყავს - **გიორგი ჭანტურია, ვაკო ყაზაიშვილი, ჯანო ანანიძე...** კიდევ რამდენიმე, ძალიან საინტერესო ფეხბურთელი. მოკლედ, შოტლანდიასთან მატჩის წინ გვაქვს იმის საფუძველი, რომ იმედიანად ვიყოთ.

თავად ჩივაძესაც ერთ დროს წარმატებით უთამაშია ბრიტანულ გუნდებთან. მისი კაპიტნობით „დინამომ" „ვესტ ჰემს" ლონდონში 4:1 რომ მოუგო, იმ შეხვედრაში ანგარიში სწორედ ჩივაძემ გახსნა შორეული დარტყმით. ესპანეთის მუნდიალზე კი, 1982-ში, **გრემ საუნესის** და **გორდონ სტრაჩანის** შოტლანდიასაც მან გაუტანა გოლი, როცა საბჭოთა ნაკრები 0:1-ს აგებდა (სხვათა შორის, სწორედ ჩივაძის შეცდომის გამო და აკი გამოისყიდა კიდეც ეს შეცდომა!). მეორე გოლიც ქართული იყო - **რამაზ შენგელიამ** სქოთი მცველების შეცდომით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, ისიც დააწვინა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ის მატჩი 2:2 დასრულდა და საბჭოთა გუნდმა მომდევნო ეტაპზე გააღწია...

ასე რომ, შოტლანდიელებს კარგად უნდა ახსოვდეთ ქართველები, კერძოდ - ფეხბურთელი ჩივაძე და ვნახოთ, იქნებ, მწვრთნელმა ჩივაძემაც დაამახსოვროს თავი კილტიანებს...

**დავით თავართქილაძე**

U19. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. III ჯგუფი

# გულს და თვალს რომ უხარია!

13.11. თბილისი. მიხეილ მესხი. 500 მაყურებელი

**საქართველო 5**

**უელსი 1**

1:0 პაპუნაშვილი (23. გურეშიძის პასით), 2:0 ჯიქია (27), 3:0 გურეშიძე (43. ზარანდიას პასით), ,4:0 ჯიქია (56), 5:0 ცინცაძე (61), 5:1 ო'სალივანი (86)

| საქართველო 4-2-3-1 | უელსი 4-4-2 |
|---|---|
| ქერდაძე | ო'ბრაიენი |
| კაკაბაძე | უიქჰემი |
| ჭანტურია | იორვერტი |
| გურეშიძე | დევისი |
| თევზაძე | ჯონი |
| აბურჯანია | ჯ. ევანსი |
| ცინცაძე | შიჰანი |
| ზარანდია | რ. ევანსი |
| პაპუნაშვილი | უილიამსი |
| კიკაბიძე | რიდი |
| ჯიქია | ო'სალივანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ვ. მაისურაძე | ჯ. უილიამსი |

**საქართველო**

62. ჯიქია - **კერძევაძე**
66. პაპუნაშვილი - **შენგელია**
77. ზარანდია - **ახვლედიანი**

*სათადარიგოები:* ტაბიძე, გოროზია, სამხარაძე, შერმადინი

**უელსი**

60. ჯ. ევანსი - **კროუ**
73. რიდი - **ჯონსი**
73. შიჰანი - **ვიქსი**

*სათადარიგოები:* სტრონგი, სმიტი, ნური, კანდი

გაფრთხილება: პაპუნაშვილი (16), ო'სალივანი (78), დევისი (80), ახვლედიანი (84)

გაძევება: ო'ბრაიენი (58)

არბიტრი: მ. გესტრანიუსი (ფინეთი)

### შარშანდელის გაგრძელება გვსურს!

...მერე რა, რომ მეტოქემ მატჩი 10 ფეხბურთელით ჩაამთავრა, მერე რა, რომ ეს მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი იყო, მერე რა, რომ საშუალო დონის მოწინააღმდეგე გვყავდა, - საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ისეთი სიამოვნება მიანიჭა ერთგულ გულშემატკივარს, რომ არა გვგონია, სტატიის შესავალში მოყვანილი ვითომ-არგუმენტები ვინმემ სერიოზულად აღიქვას!

ჰო, გუშინ ჩვენმა ბიჭებმა მართლაც ჩინებული სანახაობა გვაჩუქეს და ერთადერთი, რამაც ოდნავ „გააუფერულა" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ეს შთამბეჭდავი ასპარეზობა, მაყურებლის სიმცირე იყო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, ფაქტობრივად ცარიელი იყო, მაგრამ ვინც მივიდა (დაახლოებით ხუთასამდე ადამიანი), ნამდვილად არ ინანებდა: მეტოქის კარში გატანილი ერთი-მეორეზე ლამაზი გოლებიც ნახა, არანაკლებ ეფექტური კომბინაციებიც და საერთოდაც, კონტექსტიდან ამოვარდნილ ერთი-ორ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თამაშს თითქმის უნაკლო ეთქმოდა!

...შარშან, **ვასილ მაისურაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა ჯერ ელიტ-რაუნდში გვასახელა, მერე კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ღირსეულად იასპარეზა და სულაც... ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვდა! იმედი დავიტოვოთ, რომ ვასილ მაისურაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე აწ უკვე 19-წლამდელთა ნაკრებიც ამავე გზას გაივლის, - ყოველ შემთხვევაში, პირველი და მართლაც შთამბეჭდავი ნაბიჯი ამისკენ გუშინ გადაიდგა!..



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

### ჩინებული პროლოგი და...

ჩვენი 19-წლამდელების მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ, ისე როგორც შარშანდელ სანაკრებო მატჩებში, ამჯერადაც 4-2-3-1 განლაგება არჩია; რაც შეეხება მეტოქეს, უელსელები „კლასიკური" 4-4-2 ტაქტიკით თამაშობდნენ და ვინც გუშინდელ მატჩს თვალი ვერ მიადევნა, ალბათ, ვერც დაიჯერებდა, რომ ამ შეხვედრაში პირველი სახიფათო მომენტები... სტუმრებმა შექმნეს!

ეს ყველაფერი მატჩის დასაწყისშივე მოხდა, როცა **ჯორჯ უილიამსმა** მოედნის სიღრმიდან ეფექტური და გრძელი რეიდი განახორციელა, მაგრამ ჩვენმა მცველებმა სიტუაცია განმუხტეს. აი, მატჩის მომდევნო ეპიზოდი კი ისეთი იყო, ასპროცენტიან მომენტს რომ ვუძახით-ხოლმე: ჩვენი ნაკრების ცენტრფორვარდმა **დავით ჯიქიამ** სიღრმიდან მიიღო პასი, წინ გამოსულ მეკარესაც ოსტატურად გადაუგდო ბურთი თავზე, მაგრამ მახვილ კუთხიდან ცარიელ კარში ზუსტად ვერ დაარტყა.

თუმცა „ტორპედოს" 18 წლის თავდამსხმელმა მოგვიანებით ისეთი გოლი გაიტანა, ის გაცუდებული მომენტიც ალარავის ახსოვდა და ის ეპიზოდიც, **გიორგი პაპუნაშვილის** ჩინებული პასის მერე მარცხენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის კარის ძელს რომ გაარტყა!

თუმცა, მანამდე მთავარი იყო მომხდარი: ჩვენები ბურთს მშვენივრად აკონტროლებდნენ და ერთადერთი, გოლიღა აკლდა ტერიტორიული უპირატესობის მოპოვებას. ეს გოლიც მალე ვიხილეთ: თბილისის „დინამო 2-ის" ცენტრალურმა მცველმა **სანდრო გურეშიძემ** თავის საჯარიმო მოედნიდან(!) ზუსტი პასით გარღვევაზე თანაგუნდელი გიორგი პაპუნაშვილი გაიყვანა, რომელმაც ასაკთან შეუფერებელი სიდინჯითა და ოსტატობით მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი!

მეორე გოლიც მალე ვნახეთ: მარჯვენა ფლანგზე ჩვენებიდან ყველაზე უმცროსმა, 17 წლის **ლუკა ზარანდიამ** ბოლომდე იბრძოლა, მერე პაპუნაშვილმა ეფექტური ფინტით გააგრძელა კომბინაცია და ყველას რომ გვეგონა, ჩვენი შეტევა ჩაიშალაო, იქვე „ჩასაფრებულმა" დავით ჯიქიამ მშვენივრად ისარგებლა სტუმართა მცველისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედებით.

ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს შეტევები არ შეუწყვეტია და ამ მატჩში ერთ-ერთი აქტიურის, თბილისის „დინამო 2"-ის მარჯვენა მცველის **ოთარ კაკაბაძის** შორეული დარტყმა **ბილი ო'ბრაიენმა** გაჭირვებით მოიგერია. თუმცა, უელსელები მესამე გოლს მაინც ვერ გადაურჩნენ: ტაიმის მიწურულს ლუკა ზარანდიას კუთხურს სანდრო გურეშიძემ ისეთი მოხდენილი და „გემრიელი" თავური დარტყმა მოაყოლა, თქვენი მოწონებული!

### ...ეფექტური გაგრძელება

...მეორე ტაიმიც ჩვენების შეტევებით დაიწყო და სულ მალე ჯიქიას „დუბლის" შესრულებაც შეეძლო, როცა ეფექტური ფინტებით მეტოქეები ჩამოიცილა, მაგრამ საბოლოო დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. თუმცა, ეს „შეცდომა" სულ მალე გამოასწორა, თანაც როგორ?! ისევ დამუშავებული კომბინაცია ვიხილეთ: ჩვენმა ცენტრფორვარდმა გრძელი პასი საკუთარი საჯარიმოდან მიიღო (ამჯერად - **ნიკა ჭანტურიასგან**), ბურთი მკერდით გაისწორა, მერე მარჯვენათი ეს ბურთი მეტოქის მცველს თავზე გადაუგდო და „ცაციათი" ძირსდაუშვებლად, ზუსტადაც დაარტყა! ვერაფერს ვიტყვით, მართლაც ჩინებული სანახაობა იყო...

ამ გოლიდან ორიოდ წუთში კი სტუმრები კაცნაკლული დარჩნენ; არადა, უელსელებმა იშვიათი შეტევა წამოიწყეს, ჩვენს საჯარიმოშიც შემოაღწიეს, მაგრამ სანდრო გურეშიძემ სიტუაცია განმუხტა, მერე **ლუკა კიკაბიძემ** გააგრძელა და ის იყო, დავით ჯიქიას სრულიად დამსახურებული ჰეთ-თრიქი უნდა გაეფორმებინა, საჯარიმოს გარეთ გამოსულმა უელსელთა მეკარემ ბურთი... ხელით მოიგერია!

ასეთ დროს, მოგეხსენებათ, მეკარე წითელი ბარათით ისჯება და ასეც მოხდა, თუმცა მთავარი ის იყო, რომ ამ ჯარიმას მორიგი, თანაც კვლავაც ეფექტური გოლი მოჰყვა - „ტორპედოს" ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელმა საყრდენმა **მათე ცინცაძემ** ბურთი ცოცხალ კედელს ოსტატურად შემოატარა! მატჩის დამთავრებამდე თითქმის ნახევარი საათი იყო დარჩენილი, თუმცა ჩვენები სულაც არ აპირებდნენ მიღწეულით დაკმაყოფილებას: ზარანდიას პასით **ილია კერძევაძეს** შეეძლო გატანა; ისე, როგორც შეცვლაზე შემოსულ კიდევ ერთ ფეხბურთელს **ლევან შენგელიას**, რომელიც **გიორგი აბურჯანიამ** მეკარესთან პირისპირ დატოვა.

...მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და ყველა კმაყოფილი ვიყავით შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც; თუმცა, სტუმართა გუნდის ერთი ფეხბურთელი არაფრით ეპუებოდა ვითარებას და ზედიზედ ორჯერ ღრმა და გრძელი რეიდიც განახორციელა - ისევ და ისევ ჯორჯ უილიამსი გახლდათ, რომლის აქტიურობას ჩვენს საჯარიმოსთან დანიშნული ჯარიმა მოჰყვა და სტუმრებმაც (სხვათა შორის, არანაკლებ ეფექტური დარტყმით) პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს.

**...ჯიქია, პაპუნაშვილი, გურეშიძე, კაკაბაძე, ზარანდია** - არ გვინდა ვინმე გამოგვრჩეს, მაგრამ ამ ხუთეულის თამაში მაინც გამორჩეული იყო; თუმცა, არა მხოლოდ მათი - გუშინ საქართველოს 19-წლამდელებმა მართლაც ჩინებული მატჩი ჩაატარეს და ქართველი გულშემატკივარიც გაახარეს!

**გია ტუხაშვილი**

**გუშინ**

**პოლანდია-მოლდოვა 3:0**

1:0 ჟივკოვიჩი (55), 2:0 აკოლატსე (72), 3:0 ვლუტი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 5-1 | 3 |
| 2. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 3. მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 4. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-5 | 0 |

**მომდევნო მატჩები**

**15 ნოემბერი**

მიხეილ მესხი

საქართველო- მოლდოვა 14:00

დინამო არენა

ჰოლანდია-უელსი 15:00

**18 ნოემბერი**

მიხეილ მესხი

საქართველო- ჰოლანდია 15:00

დინამო არენა

უელსი-მოლდოვა 15:00

U21. შოტლანდია-საქართველოს წინ

# შოტლანდიელებს შურისძიება სურთ

დღევანდელი მატჩი შოტლანდიის ისტორიულ ქალაქ პეისლიში, „სენტ მირენ პარკზე" გაიმართება. თამაშზე დასასწრები ბილეთი მხოლოდ 8 ფუნტი სტერლინგი ღირს (ბავშვებისთვის 2). მასპინძლები შურის საძიებლად ემზადებიან, თუმცა **ალექსანდრე ჩივაძის** გუნდსაც ჰაერივით სჭირდება 3 ქულა.

„ივნინგ თაიმსმა" შოტლანდიელთა ერთ-ერთ ლიდერ **ქალუმ მაკგრეგორთან** ინტერვიუ შემოგვთავაზა. 20 წლის ცენტრალური ნახევარმცველი გლაზგოს „სელტიკის" საკუთრებაა და ინგლისურ „ნოთს ქაუნთიში" (I ლიგა) იჯარით თამაშობს. მაკგრეგორი შესანიშნავ ფორმაშია. ის ლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

*„ახლა ძალიან კარგ ფორმაში ვარ და მსურს, საქართველოს წინააღმდეგ ისეთი თამაში ვაჩვენო, როგორც „ნოთს ქაუნთიში". . დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ვითამაშებ. ჩემი ქვეყნის სახელით მოედანზე გასვლა ძალიან მეამაყება. ძლიერ მეტოქესთან ნამდვილი ტესტი მელის. საქართველოსთან თამაში კარგად მახსოვს, კარგი გუნდია, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, როგორ ვეთამაშეთ მათ ბოლო 30 წუთი. კარგი შანსები გავანიავეთ. ჩემი აზრით, მეტოქე თავიდანვე მარწუხებში უნდა მოვაქციოთ. მოკლედ, მოედანზე ჯერ შავი სამუშაო უნდა შევასრულოთ და მერე ჩვენი უპირატესობა კლასში თავის საქმეს გააკეთებს. კარგი ფეხბურთელები გვყავს და გამარჯვება მიზანთან მიგვაახლოვებს",* - განაცხადა მაკგრეგორმა.



მწვრთნელ ბილი კლარკს ფორვარდი **რაიან ფრეიზერი** დააკლდა ტრავმის გამო. ასე რომ, გუნდში ამჟამად 20 ფეხბურთელი ვარჯიშობს. მათ შორის არის „დანდი იუნაიტედის" 17 წლის პლეიმეიქერი **რაიან გოულდი**, შოტლანდიური ფეხბურთის „ოქროსბიჭუნა", რომლისთვისაც საქართველოსთან მატჩი სადებიუტო იქნება ახალგაზრდულ ნაკრებში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**III ჯგუფი**

**14 ნოემბერი**

შოტლანდია-საქართველო 23:30

სლოვაკეთი-ჰოლანდია 23:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| 2. სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-3 | 9 |
| 3. შოტლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 4. საქართველო | 4 | 2 | 0 | 2 | 5-8 | 6 |
| 5. ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-17 | 0 |

**მომდევნო მატჩი**

**18 ნოემბერი**

საქართველო-სლოვაკეთი

ინტერვიუ

## ლადო ბურდული

# კოკაიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ...

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ლადო ბურდული ამჟამად ბოლნისის „სიონის“ გენერალური დირექტორია და თან მთავარი მწვრთნელის ფუნქციასაც ითავსებს. ბოლო სამ შეხვედრაში „სიონმა“ 3 გოლი გაიტანა და არც ერთი არ გაუშვია, თასის მეოთხედფინალში „ზესტაფონი“ დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, ჩემპიონატის წინა ტურში კი გორის „დილას“ სტუმრად 2:0 მოუგო - ერთი სიტყვით, მწვრთნელი ბურდულის დებიუტი წარმატებული გამოდგა.

„ლელოსთან“ ინტერვიუში ის საუბრობს „სიონზე“, საკლუბო ფეხბურთის ავან-ჩავანზე და კომენტარს აკეთებს „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას გუშინწინდელ განცხადებებზე...



ლადო ბურდული

**- „სიონში“ ფინანსური პრობლემები იყო და, როგორც შევიტყვეთ, ვითარება სასიკეთოდ შეიცვლილა...**

- ორი თვის ხელფასი იყო გასასტუმრებელი. მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინათ საპრეზიდენტო არჩევნები იყო და ინაუგურაციამდე არ შეიძლებოდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. ამიტომაც გაიწელა დავალიანების გასტუმრება და გადავწყვიტეთ, სესხი აგველო ბანკიდან. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ჩაგვიდგა თავდებში. ინაუგურაციის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ორმილიონიანი ბიუჯეტი გვაქვს.

**- წელიწადში 2 მილიონ ლარად შესაძლებელია კლუბის მაღალ დონეზე ფუნქციონირება?**

- გუნდის მაღალ დონეზე შესანახად ეს თანხა არ არის საკმარისი, ასეთი ბიუჯეტით „სიონი“ საპრიზო ადგილებისთვის ვერ იბრძოლებს.

**- თასის გათამაშებაში რისი მიღწევა შეიძლება ამ ბიუჯეტით?**

- „სიონი“ თასის გათამაშებაში „კერკეტი კაკალი“ რომ არის, ეს წინა სეზონშიც გამოჩნდა - ნახევარფინალში გავედით, ახლა კი მეოთხედფინალში ვართ. ვნახოთ, რა მოხდება წილისყრის შედეგად. მერვედფინალში „ზესტაფონს“ ორივე თამაში მოვუგეთ, ასეთი რამ კი შემთხვევით არ ხდება.

**- არ წყდება საუბრები იმაზე, რომ ქართული კლუბები არათანაბარ პირობებში არიან - კერძო კლუბებს არანაირი შეღავათები არ აქვთ, საბიუჯეტოები კი სახელმწიფოსგან ფინანსდებიან. ამ ყველაფერზე კიდევ ერთხელ ილაპარაკა „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ ბოლო პრესკონფერენციაზე...**

- თანახმა ვარ იმაზე, რომ ყველა კლუბი კერძო იყოს. მაგრამ დღეს ისეთი ვითარებაა, ამ გზას რომ დავადგეთ, უმაღლეს ლიგაში 4-5 გუნდი დარჩება. სადმე არსებობს ოთხ ან ხუთგუნდიანი ჩემპიონატი? რაც შეეხება თანაბრობას სახელმწიფო დაფინანსების მხრივ, კი ბატონო, ეს მისაღებია. ალბათ, ყველამ იცის, რომ არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც მომდევნო სეზონიდან სახელმწიფო ყველა კლუბს თანაბრად დააფინანსებს. გასაგებია, რომ დღეს სხვა რეალობაა, მაგრამ ამის გამო ჩემპიონატს ხომ არ ჩავშლით?! პროექტით, წელიწადში უმაღლესი ლიგის ყოველი გუნდის 850-900 ათასი ლარით დაფინანსებაზეა ლაპარაკი.

**- მერე და, ასეთი ბიუჯეტი საკმარისი იქნება „სიონისთვის“, როცა 2 მილიონი ლარიც კი არ არის სამყოფი მაღალი მიზნებისთვის?**

- უმაღლეს ლიგაში საარსებოდ, მინიმუმ ერთმილიონლარიანი წლიური ბიუჯეტი მიმაჩნია საჭიროდ. ვნახოთ, იქნებ სხვა სახსრების მოძიებაც მოხერხდეს.

**- მუნიციპალურ, საბიუჯეტო კლუბებში ხშირად ისე ხდება, რომ მწვრთნელის გაშვებასა თუ სხვა წმინდა სპორტულ საკითხებს გამგებელი წყვეტს...**

- ჩვენთან ასეა: საკრებულო ნიშნავს კლუბის გენერალურ დირექტორს და მერე ის წყვეტს სპორტულ საკითხებს, სამწვრთნელო შტაბი იქნება, კლუბის ოფისში მომუშავე პერსონალი თუ სხვა.

**- გიორგი კიკნაძე რატომ აღარ არის „სიონის“ მწვრთნელი?**

- ის საკუთარი ნებით წავიდა. დავალიანება რომ დაგროვდა, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მე და კიკნაძე მეგობრები ვართ, ერთად გვითამაშია კიდეც, ანუ, არანაირი უთანხმოება არ ყოფილა.

**- რამდენად გამართლებული იყო ნიგერიელი მადუბუკეს მიწვევა „სიონში“?**

- ის აღარ არის „სიონის“ ფეხბურთელი, ნდობა ვერ გაამართლა, არადა, ნიჭიერი ფეხბურთელია. მისი აყვანა მწვრთნელის სურვილით მოხდა.

**- რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს მწვრთნელის ამპლუაში?**

- პირველი ნაბიჯები კარგი იყო, დანარჩენი სხვამ უნდა შეეფასოს. კარგი იქნება, თუ სტაბილურობას მივაღწევთ.

**- მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ასრულებთ. ასე იქნება სეზონის მეორე ეტაპზეც?**

- არა, მეორე ეტაპზე „სიონს“ უკვე სხვა მთავარი მწვრთნელი ეყოლება. როგორც გენერალურ დირექტორს, კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს მეწურება და თუ საკრებულო დადებითად შეაფასებს ჩემს მუშაობას, ხელშეკრულების გაგრძელებაზე მერეღა ვილაპარაკებთ.

**- „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ პრესკონფერენციაზე ისიც თქვა - „სიონში“ ორი თვის დავალიანება „ზესტაფონთან“ თამაშის წინ გაისტუმრეს და ფეხბურთელებს მოგებისთვის 1500-1500 ლარი დაუწესესო. ყველაფერი მართლა „ზესტაფონთან“ წარმატებისთვის გაკეთდა?**

- ილუზიებში არ უნდა ჩავვარდეთ და კარგი იქნება, თუ გადაუმოწმებელ რაღაცებზე არ ვილაპარაკებთ. „ზესტაფონთან“ თასზე მოგებისთვის „სიონში“ 800 ლარი იყო პრემია, ჩემპიონატში კი - 600 ლარი მოგებაზე და 300 ლარი - ფრეზე. ბიუჯეტს სიტუაციის და მიხედვით ვანაწილებთ - შეიძლება, რომელიმე თამაშზე 200 ლარი დავაწესოთ პრემია, სხვაზე კი ამაზე ბევრად მეტი. მაგალითად, თბილისის „დინამოსთან“ მატჩისთვის 2000 ლარი დავაწესეთ პრემია, „ზესტაფონი“ კი ამ ეტაპზე მოწინავეთა შორის არ არის და ამიტომ ასეთივე დიდ პრემიას არ შევპირდით ფეხბურთელებს. წინა სეზონში, „ჩიხურასთან“ თასის ნახევარფინალში, პრემია 4000 ლარი იყო, რადგან თუ ფინალში გავიდოდით და ჩემპიონ „დინამოს“ შევხვდებოდით, ავტომატურად ვინაღდებდით ევროსარბიელზე გასვლას, რაც ფულის მომტანიც იქნებოდა კლუბისთვის. რაც შეეხება დავალიანების გასტუმრებას, ბანკიდან კრედიტის გამოტანა მანამდეც გვინდოდა, უბრალოდ, ეს „ზესტაფონთან“ თამაშისთვის მოხერხდა. ილია კოკაიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ქართულ ფეხბურთშია, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ვინც ფეხბურთში ათი წელია საქმიანობს, აჯობებს, ინფორმაციები გადაამოწმოს...

**დავით თავართქილაძე**

პოზიცია



რომან ფიფია

## რომან ფიფია

### მსგავსი პრეცედენტები ევროპულ ფეხბურთშიც არაერთია

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის ილია კოკაიას განცხადებას თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი რომან ფიფიაც გამოეხმაურა:

„სურვილი მაქვს, გამოვეხმაურო „ზესტაფონის“ პრეზიდენტის, ბატონ ილია კოკაიას ბოლო განცხადებას. მინდა ცალსახად მოგახსენოთ, რომ მისი წასვლა ქართული ფეხბურთიდან, დაასუსტებს და უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ერთ რომელიმე კლუბზე, არამედ, მთლიანად ქართულ საკლუბო ფეხბურთზე, ჩვენს ჩემპიონატზე. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ქართულ ფეხბურთში სერიოზული ფინანსური პრობლემებია. ფინანსურად არც მთელ რიგ ევროპულ კლუბებს ულხინთ და მსგავსი პრეცედენტები კლუბსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობებში თანამედროვე ევროპულ ფეხბურთშიც არაერთია. ჩემი აზრით, ასეთ ვითარებაში ფეხბურთში დასაქმებული ნებისმიერი ადამიანი და, ცხადია, მათ შორის - ფეხბურთელი, ვალდებულია უფრო გაგებით მოეკიდოს შექმნილ სიტუაციას, იქონიოს მოთმინების უნარი და შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ კლუბში ამოწუროს ყველა რესურსი. აუცილებელია, კლუბში მესაკუთრესა და ფეხბურთელს შორის ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა არსებობდეს. მიუხედავად გართულებული ურთიერთობებისა, იმედი მაქვს კლუბი და ფეხბურთელი ყველაფერს გააკეთებენ არსებული პრობლემის მოსაგვარებლად“.

fcdinamo.ge

ინტერვიუ

## კახა ებრალიძე

# თქვენს ტყუილს მოკლე ფეხები აქვს

გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის (გრფფ) მე-6 ყრილობა უკვე მეორედ მოექცა ყურადღების ქვეშ.

„ლელო“ ცდილობს, ყველა მხარეს მისცეს აზრის გამოთქმის საშუალება. პარასკევის ნომერში ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის დირექტორ დურმიშხან ჩხაიძის (გრფფ-ის პრეზიდენტი 2008 წლამდე) ინტერვიუ დავბეჭდეთ. დღეს კახა ებრალიძის პოზიციას გაეცნობით:

**- ბატონო კახა, რა აძლევს თქვენს ოპონენტებს იმის თქმის საფუძველს, თითქოს ყრილობა ჩაიშალა და დეკემბერში გაიმართება?**

- ვერაფერს გეტყვით. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, თუ ვინ მიპირისპირდება. ჩატარებულ ყრილობაზე აცხადებენ, ჩაიშალაო და რა უნდა დაუჯეროს მათ კაცმა?! რომ ეთქვათ - გავასაჩივრებთ, გაუქმებას მოვითხოვთო ან რაღაც მსგავსი, კიდევ გაიგებდა ვინმე. ყრილობა სფფ-ის გენმდივანმა რევაზ არველაძემ გახსნა, ასევე, სიტყვით გამოვიდა ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ ხურცილავა. ყრილობას ბოლომდე ესწრებოდნენ გენერალური სამდივნოსა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელები - რევაზ შენგელია და კესო ჩხიკვაძე. ვის რაში სჭირდება ეს ხმები და ვინ და რა დგას ამის უკან, ალბათ, ამასაც გავიგებთ.

**- დიდი რეზონანსი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გრფფ-ის სუბიექტი არ არის ლანჩხუთის „გურია“...**

- ეს არის ჩემი ოპონენტების „საპიარო“ ტყუილი, რომელსაც ძალიან მოკლე ფეხები აქვს. ლანჩხუთის „გურია“ წარმოდგენილია შპს-ს და ა(ა)იპ-ის (არასამეწარმეო/არაკომერციული/ იურიდიული პირი) სახით. როცა შპს-ს ჰქონდა დიდი ვალი, ბიუჯეტიდან კლუბის დაფინანსება რომ მომხდარიყო, „გურია“ ა(ა)იპ-ზე გადავიყვანეთ. მაშინ ვთქვით, რომ თუკი ვალებს ჩამოგვაწერდნენ, კლუბი შპს-ზე დაბრუნდებოდა. საუბარია შპს „გურია 2000-ზე“, რომელიც არის გრფფ-ის წევრი. ჩემამდე, ამ შპს-ს დირექტორი დურმიშხან ჩხაიძე იყო და გაკვირვებული დავრჩი მისი განცხადებით, რომ, თურმე, „გურია“ არ არის გრფფ-ის წევრი. შეიძლება, ეს კლუბის დღევანდელმა მმართველებმა არ იციან, მაგრამ ბატონი ჩხაიძე გრფფ-სა და „გურიას“ ერთდროულად თავკაცობდა და ეს არ იცის? ა(ა)იპ-იც რომ შემოვიყვანოთ, გამოვა, საფეხბურთო კლუბი „გურია“ ორი ორგანიზაციით იქნება წარმოდგენილი. ამ ა(ა)იპ-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდით და როგორ ფიქრობთ, არ შემოვიყვანდი სუბიექტად? ეს ხომ ჩემთვის გარანტირებული ხმა იქნებოდა? მაგრამ ეს არ გავაკეთე, რადგანაც ერთია რა მაწყობს მე და მეორეა - სიმართლე. ახლა ეს ფაქტი აქეთ შემომიბრუნეს.

**- ხომ არ ჯობდა, რომ შპს ა(ა)იპ-ით ჩაგენაცვლებინათ?**



კახა ებრალიძე

- ორივე სუბიექტთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვეტთ, რომელი უნდა ყოფილიყო გრფფ-ის წევრი. მაგრამ ეს რას ცვლის? ეს ნიშნავს, რომ „გურია“ არაა გრფფ-ის წევრი და ხმის უფლება არ აქვს? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს! შპს იქნება თუ ა(ა)იპ, რა მნიშვნელობა აქვს - „გურიას“ ერთი ხმა ჰქონდა, აქვს და ექნება! მეტსაც გეტყვით, ა(ა)იპ ლანჩხუთის „გურია“ შეიქმნა ტექნიკური საკითხის მოსაგვარებლად, რადგან შპს-ს ყადაღა ედო, თორემ ქონების (სტადიონი და სხვა) მფლობელია შპს „გურია 2000“, ა(ა)იპ კი არანაირ აქტივს არ ფლობს.

**- ბატონო კახა, დურმიშხან ჩხაიძე ასევე ბრალდებას გიყენებთ, რომ გია ჩხაიძე საპრეზიდენტო კანდიდატად არ დაარეგისტრირეთ!**

- ჩემთვის იყო ხელსაყრელი, რომ გია კანდიდატი ყოფილიყო, მაგრამ სფფ-ის იურიდიულმა სამსახურმა ამაზე კატეგორიული უარი გვითხრა. იგი წარადგინა დურმიშხან ჩხაიძის სკოლამ, რომელიც გრფფ-ის წევრი არ არის. თავადაც ამბობს ბატონი დურმიშხანი - სამართლებრივად ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მორალური საკითხიაო. არავის ვურჩევ, მორალზე დამიწყოს ლაპარაკი.

**- თქვენი წინამორბედი იმასაც ამბობს, თითქოს წინა არჩევნების დროსაც „ფედერაციამ მის წინააღმდეგ იმუშავა“, როგორც ახლა გია ჩხაიძის წინააღმდეგ...**

- როგორ იმუშავა ფედერაციამ მის წინააღმდეგ? დაასახელოს ერთი მაგალითი, რომელიმე სუბიექტზე ზეწოლა თუ განხორციელდა. 13-დან 13-ვე სუბიექტი რომ შენ წინააღმდეგ მისცემს ხმას, ამას ხომ „მოხერხება“ უნდა? ფედერაციამ 13-ივე სუბიექტი შეაშინა თუ როგორ ჩაერია? არ დაგავიწყდეთ, რომ ეს 13 სუბიექტი მისი შერჩეული იყო. მოქმედ პრეზიდენტს ერთ ხმასაც რომ არ მოგცემენ, აქეთ რაზე უნდა მელაპარაკოს?!

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ყველაფერი სფფ-ის მომავალ არჩევნებთან არის დაკავშირებული?**

- ვერაფერს გეტყვით, ვინ რას ფიქრობს. ზვიად სიჭინავამ და რევაზ არველაძემ იმდენი გააკეთეს გურიის ფეხბურთისთვის, რომ უნამუსო უნდა იყო, არ დააფასო. შესაძლოა, ვილაცები ფიქრობენ, რომ ჩამომიშორონ, რადგან ღალატი არ შემიძლია. ზეწოლა რომ არის, ეს ფაქტია! ყრილობის წინა დღეს ერთ-ერთ სუბიექტს დირექტორი შეუცვალეს. ხომ არ გგონიათ, რომ ეს შემთხვევით მოხდა? აქ ორი გათვლა იყო - პირველი ის, რომ უკვე წარდგენილი დელეგატის ხმა გაეუქმებინათ და მეორე - ამ ადამიანმა ლანჩხუთში ყრილობის ჩაშლაში დიდი წვლილი შეიტანა და ახლა იგივე მიზანი ჰქონდა თბილისშიც. თუმცა გარეშე პირები დარბაზში არ შემოუშვეს.

**- რას აპირებთ, მოწინააღმდეგე მხარე აცხადებს, რომ ყრილობა ჩაიშალა, სფფ-ის ალმასკომისგან ახალი ყრილობის დანიშვნას აანონსებს და 5 სუბიექტის წერილზე ამახვილებს ყურადღებას...**

- ჩაშლით არაფერი ჩაშლილა! სფფ-ის იურისტმა, კესო ჩხიკვაძემ სწორედ ამ ჭორების თავიდან ასაცილებლად გვთხოვა ყრილობის ვიდეო და ფოტოგადაღება, რაც მოხდა კიდეც. არანაირი სამართლებრივი დარღვევა არ გვაქვს, შესაბამისად, შედეგების გაუქმების საფუძველი არ არსებობს. გვაქვს 7-ვე რეგისტრირებული სუბიექტის მიერ გამოგზავნილი წერილი, სფფ-ის ალმასკომის გადაწყვეტილება და ვიმოქმედეთ წესდების შესაბამისად. მთავარია, რა დოკუმენტები დარეგისტრირდა გრფფ-ის სამდივნოში. ჩვენთვის რაიმე სხვა წერილი, არც ფოსტით, არც ელფოსტით და არც პირადად, არ გადმოუციათ!

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გიორგი გველესიანი ბევრი უსამართლობა გადამიტანია



ბოლო ტურებია, თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელი გიორგი გველესიანი თავდამსხმელების საქმესაც აკეთებს. ქუთაისის „ტორპედოსა“ და „ზესტაფონთან“ შეხვედრებში 22 წლის ცენტრალურმა მცველმა გუნდს პირადად მოუტანა 6 ქულა - გადამწყვეტი გოლები გაიტანა და თანაც, ორივე - მსაჯის მიერ დამატებულ დროში... გველესიანი საკმაოდ გულახდილი რესპონდენტი აღმოჩნდა - ილაპარაკა წარსულზე, ტკივილებზე, იმაზეც, თუ რატომ ფიქრობდა ფეხბურთიდან წასვლას... მოკლედ, ინტერვიუმ, წესით, უნდა დაგაინტერესოთ...

დინამო-ტორპედო 2:1. გიორგი გველესიანს გააქვს გამარჯვების გოლი ქუთაისელთა კარში

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**- მოგვიყევით თქვენს კარიერაზე. სად და ვისთან ვარჯიშობდით, როგორ აღმოჩნდით „დინამოში“?**

- ბავშვობისას 35-ე სკოლაში, სოსო სირაძესა და კახი გოგიჩაიშვილთან ვვარჯიშობდი. 15 წლისა კი თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში გადავედი, სადაც ასაკობრივი გუნდიდან ძირითადში დამაწინაურეს. რამდენიმე მწვრთნელთან მიმუშავია - ბაგრატ ჩადუნელთან, თამაზ სამხარაძესთან, დავით კევლიშვილთან, გიორგი დევდარიანთან...

**- „დინამოში“ დებიუტი 2010 წელს, ტალინის „ფლორასთან“ გქონდათ. თუმცა, ვიდრე 21 წლის არ გახდით, თბილისის „დინამოს“ ძირითადში იშვიათად ხვდებოდით...**

- ამ პერიოდში გუნდიდან წასვლაზე ბევრჯერ მიფიქრია. ზუსტად გახსოვთ - ესტონელებთან ევროპალიგის იმ მატჩამდე საქართველოს ჩემპიონატშიც არ მქონდა ნათამაშები. მაშინ „დინამოს“ მწვრთნელი კახა კაჭარავა იყო. 18 წლისა პერსპექტიულ ფეხბურთელად ვითვლებოდი, მაგრამ გუნდში ბევრი მწვრთნელი შეიცვალა და მუდმივად საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება მიხდებოდა. მერე ისევ დუბლებში დამაბრუნეს, იჯარით ცხინვალის „სპარტაკშიც“ გამიშვეს... თუმცა ყურები არ ჩამომიყრია. დევდარიანმა დამაბრუნა „დინამოში“ და ნელ-ნელა ძირითად შემადგენლობასაც შემაჩვია. წასვლაზე დუშან უჰრინის მოსვლის დროსაც დავფიქრდი, მეგონა, არ დავჭირდებოდი და ბუბა ტყავაძესთან მივედი, იჯარით გაშვება ვთხოვე. მირჩია, არ იჩქარო, იქნებ, მოეწონოო. დავუჯერე. საბედნიეროდ, უჰრინი მენდო და ახლა ვცდილობ, ეს შანსი გამოვიყენო.

**- თბილისის „დინამოში“ დასამკვიდრებლად მხოლოდ კლასი არ არის საკმარისი. თქვენსავით, დუბლებში დიდხანს ყოფნას ბევრი ვერ შეგუებია და კლუბი დაუტოვებია. მოთმინების უნარიც გქონიათ...**

- ეტყობა, მართლა ასეა, რადგან ბევრი სირთულე გადავიტანე. რამდენი შემთხვევა იყო, როცა შეიძლებოდა, ფსიქოლოგიურად გავმტყდარიყავი.

**- ასაკობრივ ნაკრებებშიც არ გითამაშიათ...**

- ...და არც შეკრებებზე ვყოფილვარ. საერთოდ, „საფეხბურთო პატრონი“ არ მყავდა და უსამართლობას ბევრჯერ წავაწყდი. „დინამოს“ დუბლების კაპიტანი ვიყავი, მაგრამ ლამის ყველას რომ იწვევდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში, მე განზე ვრჩებოდი. პატარა ბიჭისთვის ამ ყველაფრის გადატანა ძალიან ძნელი იყო. ვერაფრით ვხვდებოდი, მოთამაშეებს რა ნიშნით აფასებდნენ. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ჩემზე წინ ბევრი ისეთი ფეხბურთელი დააყენეს, რომელთაც აშკარად ვჯობდი და არავინ იცის, ახლა სად თამაშობენ. 22 წლის ვარ და ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის უფლება აღარ მაქვს. რა თქმა უნდა, თეორიული შანსი არის, რომ მომავალში ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიონ. ბავშვობის ოცნება - ჩამეცვა რომელიმე ასაკობრივი ნაკრების ფორმა - აუხდენელი დამრჩა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილია. თუმცა ფარ-ხმალი არ დამიყრია და ვცდილობდი, გულიანად მევარჯიშა, რომ თავის დაჩაგვრის უფლება არავისთვის მიმეცა. ისე, არ დავმალავ, იყო პერიოდი, როცა არჩევანის წინაშეც დავდექი - ფეხბურთი ან სწავლა.

**- როდინდელ პერიოდს გულისხმობთ?**

- არც ისე შორეულ წარსულს. სკოლა ძალიან კარგად დავამთავრე და თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე მაღალი ქულებით ჩავაბარე. ვფიქრობდი, ფეხბურთიდან თუ არაფერი გამოვა, სწავლას გავყვები-მეთქი. მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ ბოლომდე მებრძოლა და იმ მწვრთნელებისთვის, რომლებმაც ამა თუ იმ ნაკრებში დამიწუნეს, დამემტკიცებინა, რომ თამაში შემეძლო. ახლა „დინამოში“ ყოფნა ორმაგად მახარებს და იცით, რატომ? ჯერ ერთი, რომ ყველაზე ძლიერი და ტიტულოვანი ქართული კლუბია, ხოლო მეორე და მთავარი ის არის, რომ აქ ფეხბურთელებს არა „პატრონის“, არამედ, შესაძლებლობის მიხედვით აფასებენ და არ ჩაგრავენ. ახლა ჩემზეა დამოკიდებული, დავიმკვიდრებ თუ არა „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს.

**- ბოლო დროს, ორ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში „დინამოს“ გამარჯვება თქვენმა გოლებმა მოუტანა. ადრე შეტევებში ასე ხშირად არ ერთვებოდით...**

- შეტევებში ჩართვა რომ ვისწავლე, ეს გიორგი დევდარიანის დამსახურებაა. როცა ის „დინამოში“ მუშაობდა, დუბლებიდან ლამის ყველა ფეხბურთელი გაუშვა, მე კი დამტოვა. ნდობა ვიგრძენი და მის ხელში სხვაგვარად ავთამაშდი, როგორც იტყვიან, მწვრთნელმა „გამხსნა“, უფრო თავდაჯერებული გავხდი.

**- მაგრამ ეს ორი გოლი ძირითადში დასამკვიდრებლად საკმარისი მაინც არ იქნება...**

- ეს გოლები გუნდისთვისაც მნიშვნელოვანი იყო და პირადად ჩემთვისაც. ძირითადში მოსახვედრად ეს რომ საკმარისი არ იქნება, ესეც მშვენივრად მესმის. ფეხბურთში ყოველდღე უნდა დაამტკიცო, რომ კონკურენტებთან გამკლავება შეგიძლია. მე კი გამოცდილი კონკურენტები მყავს - კვარაცხელია, შაშიაშვილი, უსტარიცი... მათგან ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. სულაც არ მეთაკილება იმის თქმა, რომ ისინი მეგობრული რჩევებით ხშირად მეხმარებიან. საერთოდაც, თბილისის „დინამოში“ მოსახვედრად მხოლოდ კარგი თამაში არ არის საკმარისი, აქ ყველა სხვა ქართულ კლუბზე უფრო მაღალი კონკურენციაა, ფსიქოლოგიურადაც ძლიერი უნდა იყო და მოთმინებაც გჭირდება. ეს ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ „დინამოში“ ადგილის დასამკვიდრებლად მაქსიმუმს გავაკეთებ.

**მერაბ მამულაშვილი**

მუნდიალი 2014. ინტერვიუ. ჯაბა კანკავა და დავით თარგამაძე

# ჯაბა კანკავა: უკრაინელებს ფრანგებზე კარგი ნახევარმცველები ჰყავთ

## თარგამაძე უკრაინელებს მხარდაჭერას ჰპირდება

15 ნოემბერს მუნდიალის პირველ საპლეიოფო მატჩში უკრაინის ნაკრები საფრანგეთის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს. ამ შეხვედრის წინ უკრაინაში დიდი აჟიოტაჟია. ამიტომაც, გაზეთმა „კომანდამ“ ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს ნაკრების იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უკრაინაში თამაშობენ - ჯაბა კანკავასა („დნიპრო“) და დავით თარგამაძეს („ილიჩივეცი“).
რატომ ქართველებს? ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ უკრაინელებისთვის საინტერესო იყო ისეთ მოთამაშეებთან ინტერვიუ, რომლებმაც ახლახან მიიღეს ფრანგებთან თამაშის გამოცდილება...

**- რამდენად რთული იყო ფრანგებთან თამაში?**

**ჯაბა კანკავა:** - ფრანგები ესპანელები არ არიან, მათთან თამაში შეიძლება. აი, ესპანელებთან ჩვენ უბრალოდ არაფრის შანსი არ გვქონდა. ესპანელებთან მატჩი როგორც კი დავიწყეთ, ყველაფრის ბატონ-პატრონნი ისინი გახდნენ, ჩვენ რაიმე ხეირიანის გაკეთება გვიჭირდა. „სამფეროვნებთან“ მატჩში კი ჩვენ ვგრძნობდით, რომ დადებითი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყო. ეჭვს გარეშეა, ფრანგთა კლასი პირინეელებისაზე დაბალია.

**დავით თარგამაძე:** - ფრანგებს ძლიერი გუნდი ჰყავთ ძალიან ცოტა ნაკლით. რაც ეგრევე შევამჩნიე: ფრანგები ტემპს არასოდეს აგდებენ, არ აქვს მნიშვნელობა ანგარიშს, მუდმივად წინ მოდიან. პარიზში 3:1 იყო და მაინც განუწყვეტლივ გვიტევდნენ, ეს კი ძალიან ძნელი მოსანელებელია ნებისმიერი მეტოქისთვის.

**- შინ და გარეთ ფრანგები სხვადასხვანაირად თამაშობდნენ?**

**ჯ.კ:** - თბილისში უკვე ცნობილი იყო, რომ მეორე ადგილს დაიკავებდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ნაკლებად მოინდომეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კიევში ისინი გასამმაგებული ენერგიით გამოვლენ მოედანზე. შინ კარგად ვეთამაშეთ, დაცვაში ჩავუჯექით (4-5-1 სქემით) და ორი საგოლე შანსიც გვქონდა. ბოლო ათ წუთში ფრანგები საგრძნობლად გააქტიურდნენ, თუმცა ასე იყო პარიზშიც.

**დ. თ:** - ორივე მატჩში ფრანგები თავადაც თამაშობდნენ და ჩვენც გვაძლევდნენ ამის საშუალებას. თბილისური მატჩის წინ მწვრთნელმა გვითხრა, დაცვაში მჭიდროდ გვეთამაშა და პირველივე ხელსაყრელ მომენტში კონტრშეტევა დაგვეწყო. მაგრამ ასეთ მეტოქესთან გამძლეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი ძალები 75 წუთი გვეყო. მანამდე მწვრთნელის დარიგებებს ვასრულებდით. აი, მერე კი ძალიან გაგვიჭირდა. სტუმრად უფრო გაგვიჭირდა, თუმცა პირველი ტაიმის მიწურულს დასანანი გოლი გავუშვით.

**- ვის გამოყოფთ საფრანგეთის ნაკრებში?**

**ჯ.კ:** - მთელი თამაში რიბერის მიყავს, ძალიან რთული იყო ჟირუს და ბენზემას წინააღმდეგ თამაშიც. ქარიმი ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენმა მეკარემ არ გაახარა. ძლიერ მხარეზე ვილაპარაკე და სუსტზეც ვიტყვი - მათმა საყრდენმა ნახევარმცველებმა ვერაფრით გამაკვირვეს. ჩემი აზრით, იგივე რუსლან როტანი უფრო მაღალი დონის ფეხბურთელია.



ჯაბა კანკავა (მარჯვნივ) ფრანკ რიბერის წინააღმდეგ

**დ. თ:** - მეტოქის მცველებიდან გამოვყოფ სანიას სუსტ თამაშს. ის თანაგუნდელებივით სწრაფი არ არის. სანიას წინააღმდეგ ჯერ ოქრიაშვილი თამაშობდა, მერე - მე. აბიდალი სხვებისგან გამოირჩეოდა, მაგრამ ყველაზე მაგარი მაინც რიბერია. ის თავბრუდამხვევად სწრაფია. ფრანკზე თამაშობს მთელი გუნდი, მათ შორის ვალბუენაც.

**- რას ურჩევდით უკრაინელ ფეხბურთელებს?**

**ჯ. კ:** - ვფიქრობ, მოედნის შუაში უკრაინელები უკეთ თამაშობენ. მათთან თამაში და გოლზე ფიქრი შეიძლება.

**დ. თ:** - ჩვენ თქვენს მხარეს ვიქნებით. საჭიროა მჭიდროდ თამაში და მაღალი ტემპით ბოლომდე გაძლება, ფრანგებს ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცეთ. ვფიქრობ, უკრაინელებს სწრაფ კონტრშეტევებზე შანსი ექნებათ.

მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### პირველი ლიგა

#### B ზონა. XI ტური

| | |
|---|---|
| ბეთლემი-ლოკომოტივი | 1:0 |
| მაჭახელა-დინამო (ბთ) | 0:0 |
| ბახმარო-სამგურალი | 1:1 |
| ჭიათურა-სტუ | 3:1 |
| სამტრედია-სულორი | 5:2 |
| დილა 2-კოლხეთი (ხ) | 3:0 |
| საសკო-საბურთალო | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 11 | 9 | 1 | 1 | 21-6 | 28 |
| 2. ჭიათურა | 11 | 8 | 1 | 2 | 18-11 | 25 |
| 3. მაჭახელა | 11 | 7 | 3 | 1 | 18-5 | 24 |
| 4. დინამო (ბთ) | 10 | 7 | 1 | 2 | 17-8 | 22 |
| 5. სამგურალი | 11 | 5 | 3 | 3 | 23-17 | 18 |
| 6. ბეთლემი | 11 | 5 | 1 | 5 | 15-13 | 16 |
| 7. დილა 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 15-21 | 14 |
| 8. საសკო | 10 | 4 | 1 | 5 | 15-12 | 13 |
| 9. საბურთალო | 9 | 3 | 2 | 4 | 13-13 | 11 |
| 10. სტუ | 11 | 3 | 1 | 7 | 20-24 | 10 |
| 11. ლოკომოტივი | 11 | 3 | 1 | 7 | 13-18 | 10 |
| 12. კოლხეთი (ხ) | 11 | 2 | 3 | 6 | 9-24 | 9 |
| 13. ბახმარო | 11 | 0 | 6 | 5 | 9-20 | 6 |
| 14. სულორი | 11 | 1 | 2 | 8 | 5-19 | 5 |

ინგლისის ნაკრები

# საფრთხე ჰარტის ამბიციებისთვის



ჯო ჰარტის პოზიციები კლუბის შემდეგ შესაძლოა ნაკრებშიც შეირყეს. მის ამბიციებს ფრეიზერ ფორსტერი ემუქრება

ინგლისის ნაკრებს უთვალავი პრობლემა აქვს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, თუმცა არის თემები რომელიც „სამი ლომის“ გულშემატკივარს ყველაზე მეტად აწუხებს. მაგალითად, ნაკრების კანდიდატთა შეზღუდული სათამაშო დრო პრემიერლიგაში, ტრავმები, რაც კუნძულელებს წლების განმავლობაში ფეხდაფეხ სდევს და რა თქმა უნდა, მეკარის პოზიცია. ყველას ესმის, რომ რამდენიც არ უნდა იმუშაოს გუნდმა, რა სქემებიც არ უნდა შეიმუშაოს **ჰოჯსონმა**, ყველაფერი წყალში გადაიყრება, თუკი გუნდს კარგი გოლკიპერი არ ეყოლება. ჯერჯერობით, **ჯო ჰარტის** პოზიციას ნაკრებში არაფერი ემუქრება, მაგრამ „სიტიში“ სკამზე დიდხანს ჯდომის შემთხვევაში ნაკრებშიც მოუწევთ ალტერნატივაზე ფიქრი. **ჯონ რადი** ჰარტს არც ამ ეტაპზე სჯობს და ეჭვი გვაქვს, რომ „ნორვიჩის“ კარის დარაჯის თამაშში განსაკუთრებული გარდატეხა არც უახლოეს მომავალში მოხდება. აი, რაც შეეხება სელტიკელ **ფრეიზერ ფორსტერს**, ეს უკვე საინტერესო ვარიანტია. გიგანტური აღნაგობის მეკარე (201 სმ) შოტლანდიაში უკვე სამი წელია თამაშობს და „კელტების“ პირველ ნომრად ითვლება. მიუხედავად ზომებისა, ის საკმაოდ მოქნილია, უხეშ შეცდომებს პრაქტიკულად არ უშვებს და კიდევ ერთი, პენალტებისას დამაჯერებლად თამაშობს, იღებს რა ყოველი ოთხიდან ერთს. „ჰალის“ 38 წლის მეკარე **სტივ ჰარპერი**, ვინც ფორსტერს უკვე 9 წელია იცნობს, პირდაპირ აცხადებს, რომ მისი აზრით, ბრაზილიაში ინგლისის ნაკრების კარის ხაზზე სწორედ მისი მეგობარი უნდა იდგეს: „იმ დონემდე ასასვლელად, რომელზეც ფრეიზერი ახლა თამაშობს, მას დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ ბოლო წლებში მისი პროგრესი აშკარაა. ამაზე ალბათ კამათიც არ ღირს. ის ჭკვიანი ბიჭია. დაინახა რა, რომ „ნიუკასლში“ შანსი არ ექნებოდა, ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგა და უცხო ლიგაში წავიდა სათამაშოდ. ფრეიზერს ყოველთვის ჰქონდა უნარი, რომ თამაშები მარტოს მოეგო. ფორსტერს ნამდვილად შეუძლია გაუვალ კედლად დადგომა. მას ამაში საქმისადმი ფანატიკური სიყვარული ეხმარება. ის ყოველთვის ყურადღებით აკვირდება სხვებს. ეჭვიც კი არავის შეეპაროს, რომ ის ჰარტის ამბიციებისთვის სერიოზული საფრთხეა“.

## ჰენდო პროგრესის გზაზე

მიმდინარე სეზონში **ჯორდან ჰენდერსონი** ჯერჯერობით ერთადერთია „ლივერპულის“ მინდვრის მოთამაშეთაგან, ვისაც პრემიერლიგის 11 ტურში წუთითაც არ დაუსვენია. ცხადია, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მიერ გამოცხადებული ნდობა ნათელი დადასტურებაა, რომ ფეხბურთელი სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობს. მიუხედავად ამისა, ნაკრების შემადგენლობაში მან ფეხი ვერ მოიკიდა. 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჰენდოს არ უთამაშია. წელიწადზე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩილესთან და გერმანიასთან თამაშებისთვის როი ჰოჯსონმა მას შეკრებაზე უხმო. აი, რას ფიქრობს მერსისაიდელი საკუთარ სანაკრებო პერსპექტივაზე:

*- ინგლისის ნაკრებში მიწვევა ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა და წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. როდესაც ჰოჯსონის განკარგულებაში ვარ, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაჩვენებ, ზუსტად ისე, როგორც ეს „ლივერპულში“ ხდება. მსოფლიოს ჩემპიონატი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დამატებითი მოტივაციაა. თუკი საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ და შენი თამაშით გუნდის წარმატებებს განაპირობებ, გულშემატკივრები აუცილებლად გამოგარჩევენ სხვებისგან. ნაკრებში კიდევ ერთხელ მომეცა შანსი, ვითამაშო და ჩემი ადგილი დავიმკვიდრო. ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომა მმართებს. ბრაზილიაში თამაშის პერსპექტივა სხვებივით მეც განსაკუთრებულად განმაწყობს. ჯერარდი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეხმარება როგორც ვარჯიშებზე, ისე ცხოვრებაშიც. მისგან უკვე ბევრი რამ ვისწავლე და ეს პროცესი ყოველდღიურად გრძელდება.*

მოსაზრება



ალან შირერის აზრი ინგლისში დღემდე ძვირად ფასობს

# შირერი: შანსი იქნება თუკი...

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და 260 გოლით პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი **ალან შირერი** საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სულ რამდენიმე კვირით ჩაუდგა სათავეში „ნიუკასლს“, თუმცა მშობლიური ქალაქის გუნდი გავარდნისგან ვერ იხსნა. მას მერე ალანს სამწვრთნელო ასპარეზზე ბედი აღარ უცდია. ის BBC-ის გადაცემა „დღის მატჩის“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სტუმარია. მის აზრს სამშობლოში აფასებენ და პატივს სცემენ. 43 წლის საფეხბურთო ექსპერტს მიაჩნია, რომ:

*- „არსენალი“ იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, თუკი იანვარში ბენზემას კალიბრის თავდამსხმელს შეიძენს. დიახ, ეს ადრე უკვე ვთქვი და ამავე აზრზე ვრჩები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვი მეპარება, რომ მათ პრემიერლიგის მოგების შანსი ჰქონდეთ. კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ „მეთოფეები“ უღიმღამოდ გამოიყურებოდნენ. სტუმართა შუახაზელების თამაშში არ შეინიშნებოდა ის ცეცხლი და მონდომება, რასაც წინა შეხვედრებში ვხედავდით. მაგალითად, „ემირეიტსზე“ „ლივერპულის“ წინააღმდეგ ლონდონელებმა მეტოქის მცველები დატანჯეს, მანჩესტერში კი მსგავსი ზეწოლა ცენტრალურ მცველებს უკვე აღარ უგრძვნიათ. ოლივიე ჟირუმ სეზონი ნამდვილად კარგად დაიწყო, მაგრამ „იუნაიტედთან“ ის უკვე ძალიან დაღლილი იყო. ჩემპიონატში „არსენალის“ სტარტზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. თუკი ზამთარში გუნდი ტოპთავდამსხმელით გაძლიერდა, ხალხი უკვე სერიოზულად აღიქვამს ჩრდილოლონდონელთა ამბიციებს.*

შვედეთის ნაკრები



შვედური ფეხბურთის ვარსკვლავები: ტერეზა სიორგანი და ანდერს სვენსონი

# საჩუქარი და გენდერული დისკრიმინაცია

37 წლის **ანდერს სვენსონი** შვედეთის ნაკრებში 1999 წლიდან თამაშობს და მას მერე 146-ჯერ დაიცვა ქვეყნის ღირსება. დაგვეთანხმებით, გამორჩეული შედეგია. მათ შორის სარეკორდო 144-ე მან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩაატარა. წინა რეკორდი ლეგენდარულ **ტომას რაველის** ეკუთვნოდა. შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ დამსახურებულ ვეტერანს საჩუქრად „ვოლვოს“ უძვირფასესი მოდელი გადასცა. თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერია, თუმცა შვედების ქალთა ნაკრებში 187 მატჩის ჩამტარებელმა **ტერეზა სიორგანმა** ფედერაციას სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციაში დასდო ბრალი. ერთი მხრივ, სიორგანი მართალია, რადგან მას ეროვნულ გუნდში სვენსონზე მეტი თამაშიც აქვს ჩატარებული და მასზე მეტი მიღწევითაც შეუძლია დაიკვეხნოს. მაგალითად, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებით. ფედერაციაში ამ საყვედურის შემდეგ შეფუცხუნდნენ და განაცხადეს, რომ სვენსონი უახლოეს მომავალში კარიერის დასრულებას აპირებს და ძვირფასი საჩუქარიც ამის გამო მიიღო, მაშინ როცა სიორგანს კარიერა ჯერ კიდევ წინ აქვს (!) ცნობისთვის გეტყვით, რომ ქალბატონი ტერეზა კოლეგაზე მხოლოდ ერთი წლით უმცროსია.

ამბები

## როსიცკი ლონდონში რჩება

33 წლის ჩეხმა ნახევარმცველმა **ტომაშ როსიცკიმ** „არსენალთან“ მოქმედი 2-წლიანი კონტრაქტი 2012 წლის მაისში გააფორმა და სეზონის ბოლოს ის თავისუფალი აგენტი ხდება. **არსენ ვენგერს** მასთან განშორება არ სურს, ფეხბურთელი თავის მხრივ მეტ სათამაშო პრაქტიკას ითხოვს. მხარეები შუალედურ ვარიანტზე შეთანხმდნენ. როსიცკის კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე ავტომატურად გაგრძელდება, თუკი ფეხბურთელი სეზონში 25-ზე მეტ თამაშს ჩაატარებს ყველა ტურნირზე. იმის გათვალისწინებით, რომ ტომაში 11-ჯერ უკვე ვიხილეთ მოედანზე, გამოდის, რომ ვეტერანი „ემირეიტსზე“ რჩება.

## კურტუამ ჩელსის უარი უთხრა

„ჩელსიმ“ 2011 წელს 19 წლის **ტიბო კურტუაში** „გენკს“ სოლიდური თანხა, 7.8 მილიონი ფუნტი გადაუხადა და მასთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლონდონელებმა ფეხბურთელი მეორე დღესვე იჯარით მადრიდის „ატლეტიკოს“ დაუთმეს. მას შემდეგ ბელგიელი „ვისენტე კალდერონზე“ თამაშობს და ნელ-ნელა ყალიბდება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კარის დარაჯად. „სტემფორდ ბრიჯზე“ კურტუას დაბრუნება **პეტრ ჩეხზე** უარის თქმას ნიშნავს, რაზეც „ჩელსი“ ჯერჯერობით არ მიდის. **ჟოზე მოურინიოს** ინიციატივით ლონდონელებმა ფეხბურთელს ხელშეკრულების 2018 წლამდე გაგრძელება შესთავაზეს, რაზეც თავაზიანი უარი მიიღეს. თანხმობის შემთხვევაში ის გუნდში ძირითადი მეკარის სტატუსს ითხოვს. „დეილი მეილის“ ინფორმაციით, თუკი კომპრომისი ვერ მოინახა, „ჩელსი“ მომავალი წლის ზაფხულზე მეკარეს 40 მილიონ ევროდ გაყიდის.

## კერიკი ახალ წლამდე დაისვენებს

არსებობს საფრთხე, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 32 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **მაიკლ კერიკმა** კვირას „არსენალთან“ XI ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მიღებული ტრავმის გამო ახალ წლამდე ვერ ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, ექიმების პროგნოზით, ვეტერანს სრული რეაბილიტაციისთვის 4-დან 6 კვირამდე დასჭირდება. მიუხედავად ტრავმისა, „იუნაიტედს“ არ შეუწყვეტია ფეხბურთელის აგენტთან მოლაპარაკებები მაიკლთან ახალი, 2-წლიანი ხელშეკრულების დეტალებზე.

## მილევსკი შარში გაეხვია

კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **არტიომ მილევსკი**, ვინც ამჟამად თურქული „გაზიანთეფის“ ღირსებას იცავს, გუშინ დილა უთენია საავტომობილო ავარიაში მოჰყვა. მისი „ფერარი“ გზების გამყოფ რკინის ბარიერს შეეჯახა და სერიოზულად დაზიანდა. თავად მილევსკი ტრავმებს გადაურჩა. პოლიციის ცნობით, ავარიის მიზეზი მძღოლის სიმთვრალე გახდა. მილევსკის სისხლში მაქსიმალურად დასაშვები 0.2 პრომილეს ნაცვლად 1.31 პრომილე აღმოჩნდა, რაც ნიშნავს, რომ ის მანქანაზე ფაქტობრივად უგონო იჯდა. არტიომისთვის მსგავსი ინციდენტი პირველი ნამდვილად არ ყოფილა.

დანიშვნა



აიტორ კარანკა

## პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი

BBC-ის ცნობით, მადრიდის „რეალის“ ყოფილი მცველი და შემდგომ უკვე სამეფო კლუბში **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტი **აიტორ კარანკა** „მიდლსბროს“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 40 წლის სპეციალისტს **იან ჰოლოვეის** გათავისუფლების შემდეგ თავისთან „კრისტალ პალასი“ იწვევდა, თუმცა ესპანელმა ლონდონელებს უარი შეუთვალა და სამუშაოდ ჩემპიონშიპს მიაშურა.

2006 წელს აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კარანკა ესპანეთის ბავშვთა ასაკობრივ ნაკრებებს წვრთნიდა, 2010-ში კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაბრუნდა და მოურინიოს შტაბის წევრი გახდა. უმაღლეს დონეზე დამოუკიდებლად მას ჯერ არასოდეს უმუშავია, ასე რომ, რივერსაიდელთა მხრიდან მისი მიწვევა გარკვეულწილად რისკია. **ტონი მოუბრეის** ხელმძღვანელობით „მიდლსბრომ“ 15 თამაშში მხოლოდ 16 ქულა აილო და ცხრილშიც მე-16 ადგილს იკავებს. ბასკი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „ბორო“ პირველ თამაშს 23 ნოემბერს ლიდსის „ელანდ როუდზე“ ჩაატარებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

რეალი

# ცხოვრება რეალის შემდეგ



ყოფილი მადრიდელები სხვადასხვა გუნდებში ბრწყინავენ

ცხოვრება „რეალიდან“ წასვლით არ მთავრდება - ამას ის ფეხბურთელები ამტკიცებენ, რომლებმაც „სამეფო კლუბი“ ზაფხულში დატოვეს.

**მესუთ იოზილი** „ემირეიტსზე“ პირველივე დღიდან შესანიშნავად ათამაშდა. გამთამაშებელმა უკვე სამი გოლი გაიტანა და კიდევ ექვს შემთხვევაში საგოლე პასი მიითვალა. გარდა ამისა, მაისურების გაყიდვის მიხედვით, იოზილი მთელ ბრიტანეთში პირველ ადგილზეა.

„ნაპოლი“ სკუდეტოსთვის იბრძვის და ამაში თავისი წონადი წვლილი **ხოსე კალეხონს, რაულ ალბიოლს და გონსალო იგუაინსაც** მიუძღვით. არგენტინელმა ფორვარდმა 14 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა, კალეხონმა კი 16 მატჩში თავი 7-ჯერ გამოიჩინა. „რეალისგან“ განსხვავებით, „ნაპოლიში“ ძირითადის წევრია რაულ ალბიოლიც, რომელმაც 14 თამაშში მიიღო მონაწილეობა.

თავს გაცილებით უკეთ გრძნობს **კაკა**, რომელსაც „მილანში“ დაბრუნების შემდეგ, მუნდიალზე გამგზავრების შანსი მიეცა. ალპების გადაღმა კი შთამბეჭდავად გამოიყურება **რიკარდო კარვალიო**, რომლის „მონაკოც“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, 35 წლის ცენტრალ მცველს კი ჯერ ერთი წუთიც არ გამოუტოვებია. „მონაკოშია“ „სამეფო კლუბის“ აღზრდილი ახალგაზრდა **ფაბინიო**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში 9-ჯერ მოხვდა.

ერთადერთი გამონაკლისი გახლავთ **მიკაელ ესიენი** - განელმა ლიგის თასის ორ შეხვედრაში ითამაშა, პრემიერლიგაში კი ესიენი ჯერ არ გამოჩენილა.

აქვე, უნდა ვახსენოთ **ანტონიო ადანი**, რომელიც გუნდისგან განცალკევებით ვარჯიშობს და მისალებ წინადადებას ელის.

ამბები



ვანდერლეი ლუშემბურგო

## ფლუმინენსემ ლუშემბურგო გააგდო

9-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ და ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე, გასავარდნ ზონაში დაქვეითების გამო, ბრაზილიის ჩემპიონის ხელმძღვანელობამ **ვანდერლეი ლუშემბურგოს** კარისკენ მიუთითა.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი „ფლუს“ თავკაცად ივლისში დაინიშნა, მაგრამ წამყვანი ფეხბურთელების ტრავმების (**ფრედი**) თუ დისკვალიფიკაციების (**დეკუ**) გამო, 61 წლის სპეციალისტს მუდამ საკადრო პრობლემები ჰქონდა.

სეზონის ბოლომდე „ფლუს“ თავკაცი **დორივალ ჟუნიორი** იქნება, რომელიც ცოტა ხნის წინ „ვასკო და გამადან“ გააგდეს, მარტში კი „ფლამენგოდან“ გაუშვეს.

## სესკის მაგივრად ბარტრა

ესპანეთის ნაკრების მომდევნო ამხანაგურ შეხვედრებში, რომლებსაც „ფურია როხა“ ეკვატორული გვინეის და სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ გამართავს, მონაწილეობას ვერ მიიღებს **სესკ ფაბრეგასი**, ვინც მუხლის მცირე ტრავმა მიიღო და მწყობრიდან დაახლოებით ერთი კვირით გამოვიდა. **ვისენტე დელ ბოსკემ** მის ნაცვლად ნაკრებში **მარკ ბარტრას** უხმო. „ბარსელონას“ ახალგაზრდა მცველს ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია, თუმცა 21-წლამდელთა ნაკრებში ის მუდამ ასპარეზობდა. 22 წლის ფეხბურთელმა წლევანდელ სეზონში რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და ნაკრებში გამოძახებაც დაიმსახურა.

სესკი გარდა, ეროვნულ გუნდს ვერც **დიეგო კოშტა** დაეხმარება, რაც „ატლეტიკოს“ ფორვარდისთვის ძალიან სამწუხარო ამბავია, რადგან ამ ორი ამხანაგური მატჩის გარდა, სამუნდიალო შემადგენლობის გამოცხადებამდე, ესპანეთის ნაკრებს მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი ექნება, რომელსაც პირენეელები 5 მარტს, იტალიასთან გამართავენ. შესაბამისად, გაესპანელებულ ბრაზილიელს მხოლოდ ერთი მატჩი ექნება იმისთვის, რომ დონ ვისენტეს თავი უშუალოდ ესპანეთის ნაკრების ფორმით მოაწონოს.

## მალაგას ბენაიუნი აინტერესებს

ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი **იოსი ბენაიუნი** თავისუფალი აგენტია. გასული სეზონის დასრულების შემდეგ, 33 წლის ფეხბურთელმა „ჩელსი“ დატოვა და იქიდან მოყოლებული ის უგუნდოდაა. ბენაიუნის სამსახურით რამდენიმე კლუბი დაინტერესდა და მათ შორისაა ესპანური „მალაგაც“.

ანდალუსიელებს გამოცდილი ფეხბურთელის გადაბირება კი სურთ, მაგრამ ბენაიუნს ევროკავშირის პასპორტი არ აქვს, რაც „მალაგას“ პრობლემას უქმნის. ესპანეთში არსებული წესების თანახმად, გუნდებს განაცხადში მხოლოდ სამი არაევროკავშირელი ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვთ, „მალაგას“ კი სამივე ადგილი უკვე შევსებული აქვს. გუნდის გენერალური მენეჯერის, **ვისენტე კასადოს** თქმით, ამ სამი ფეხბურთელიდან ერთ-ერთს გუნდის დატოვება მოუწევს:

*„ჩვენ რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას; ერთ-ერთი მათგანი ბენაიუნია, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. მას ევროკავშირის პასპორტი არ აქვს, შესაბამისად, ჩვენი სამი არაევროკავშირელიდან ერთ-ერთს გუნდის დატოვება მოუწევს,“* - განაცხადა კასადომ.

აქვე გეტყვით, რომ „მალაგას“ არაევროკავშირელი წევრები **ველიგტონი, რობერტო ჩენი და პედრო მორალესი** არიან.

**ტატო ბაციკაძე**

სკანდალი

# ავსტრიაში მაფია გამოაშკარავდა

**ავსტრიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჩეჩენ მაფიოზთან ერთად გრიოდიგის მცველს მატჩების მანიპულირებას აიძულებდა.**

ავსტრიულ ფეხბურთში სერიოზული სკანდალია. კლუბ „გრიოდიგის“ მცველმა **დომინიკ ტაბოგამ** პოლიციას მიმართა და განაცხადა, რომ ე.წ. საფეხბურთო მაფიის წარმომადგენლები მატჩების მანიპულირებას აიძულებდნენ. სამშაბათს მას მაფიოზებისთვის გარკვეული თანხა უნდა გადაეცა, რა დროსაც პოლიციამ სამი ადამიანი დააკავა. ჩვენი ავსტრიელი კოლეგების ცნობით, ეჭვმიტანილითა შორის 36 წლის ყოფილი ფეხბურთელი **სანელ კულიჩიცაა**, რომელიც ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელიც გახლდათ (20 მატჩი, 3 გოლი). გამოძიება დაწყებულია.

*„ეს ჩვენთვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია აღმოჩნდა. ტაბოგამ ორშაბათს მოგვმართა და ყველაფერი გვითხრა, რის შემდეგაც პოლიციასაც დაუკავშირდა. ფეხბურთელი ახლა დროებით ვარჯიშებიდან გავათავისუფლეთ,“* - ეს „გრიოდიგის“ სპორტული დირექტორის, **კრისტიან ჰაასის** სიტყვებია.



სანელ კულიჩი



დომინიკ ტაბოგამ მაფია ამხილა

„კრონენ ცაითუნგის“ ინფორმაციით, ტაბოგამ პოლიციას ჩვენება მისცა, სადაც აცხადებს, რომ მას კულიჩი და წარმოშობით ჩეჩენი პიროვნება ემუქრებოდნენ - აიძულებდნენ, რომ მატჩების მანიპულირებაში მიეღო მონაწილეობა, მათი მითითებები შეესრულებინა და თან ფული გადაეხადა. ტაბოგას მაფიისთვის უკვე 87 000 ევრო აქვს გადახდილი. სკანდალის სხვა დეტალები ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებულია.

**გოტფრიდ ლენცი**

კვირა ციფრებში

# მშრალი სერია და კონტინენტის მბრძანებლები

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში „ალ აჰლის“, ბატეს, „ჟალგირისის“ და „სტრომსგოდსეტის“ ტიტულებზე, „ლილის“ დაცვის სიმტკიცეზე და „სტოკის“ ერთ-ერთი ლიდერის სტაბილურობაზე ვისაუბრებთ...**

100 - მატჩი ზედიზედ ძირითად შემადგენლობაში - „სტოკის“ ფორვარდმა **ჯონათან უოლტერსმა** ამ ნიშნულს კვირას, „სუონსისთან“ შეხვედრაში მიაღწია. პრემიერლიგის მასშტაბით მსგავსი სტაბილურობით ვერავინ დაიკვეხნის, ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელმა კი ერთგვარ საიუბილეო შეხვედრაში თავი გოლით გამოიჩინა. ამ მატჩი ასევე გაიტანა „სტოკის“ მეორე ირლანდიელმა **სტივენ აირლენდმა**, ვისაც პრემიერლიგაში ბოლოს 680 დღის წინ ჰქონდა გატანილი. თავად შეხვედრა კი ფრედ, 3:3 დასრულდა.

**დევიდ მოიესმა** მწვრთნელის რანგში მე-1 000 ქულა მოიპოვა (634 მატჩი), მას შემდეგ, რაც მისმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლონდონის „არსენალს“ 1:0 მოუგო. ამ შეხვედრის მონაწილე **პატრის ევრა** კი გახდა მესამე ფრანგი, **პატრიკ ვიეირას და ტიერი ანრის** შემდეგ, ვინც პრემიერლიგაში 250 მატჩი ჩაატარა. „იუნაიტედი“ კი გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ამ სეზონში „არსენალს“ არ გაატანინა. სხვათა შორის, ბოლო უგოლო მატჩი „მეთოფეებს“ შარშან 16 აპრილს ჰქონდათ ჩატარებული და მაშინ, მათი მეტოქე „ევერტონი“ იყო, რომელსაც მოიესი წვრთნიდა.

43 - წელიწადი ტიტულის გარეშე - ნორვეგიული „სტრომსგოდსეტის“ ხანგრძლივი მოლოდინი კვირას დასრულდა. „სტრომსგოდსეტმა“ ჩემპიონატის ბოლო ტურში მესამე ადგილზე მყოფ „ჰაუგესუნდს“ 4:0 მოუგო და 1970 წელს მოპოვებულ ტიტულს მეორეც მიამატა. დიდად გულდაწყვეტილნი არც „ჰაუგესუნდის“ ფეხბურთელები იყვნენ, რადგან გუნდი მე-3 ადგილზე გავიდა და



მომავალ სეზონში ევროთასებზე ითამაშებს, რაც „ჰაუგესუნდს“ 1980 წლის შემდეგ არ გაუკეთებია.

ნორვეგიის ჩემპიონის ორ ტიტულს შორის „სტრომსგოდსეტზე“ უფრო დიდი, 44-წლიანი პაუზა კი ისტორიაში მხოლოდ „ბრანს“ ჰქონდა, რომელმაც ჩემპიონის წოდება 1963 და 2007 წლებში მოიპოვა.

8 - აფრიკის ჩემპიონთა ლიგის ტიტული აქვს მოგებული „ალ აჰლის“ მას შემდეგ, რაც კვირას სამხრეთ აფრიკის „ორლანდო პაირეტსს“ 2:0 მოუგო და ორი მატჩი ჯამში 3:1 იმარჯვა. ეგვიპტურმა გრანდმა შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა და მოსისხლე მტერ „ზალალექთან“ სხვაობა კიდევ უფრო მეტად გაზარდა - ეგვიპტის მეორე გრანდი აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 5-ჯერ გახდა.

ამ გამარჯვებით, „ალ აჰლიმ“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საგზურიც მიიღო. ამ ტურნირზე ეგვიპტელები მეხუთედ ითამაშებენ და „ოკლენდ სიტის“ რეკორდს გაიმეორებენ. მომავალი საკლუბო მუნდიალი მაროკოში გაიმართება და დიდი ალბათობით, ეს ტურნირი **მოჰამედ აბუტრიკას** გედის სიმღერა იქნება. აფრიკული ფეხბურთის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა და „ალ აჰლის“ ლეგენდამ, თავი ფინალურ შეხვედრაშიც გამოიჩინა - ანგარიში გახსნა და ხუთი გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

35 წლის აბუტრიკა ბოლო ათწლეულის ყველაზე წარმატებული აფრიკელი ფეხბურთელია - ბოლო რვა წელიწადში მან ხუთჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

8 - ჩემპიონის ტიტული ზედიზედ - ბორისოვის ბატე კვლავ ბელარუსის ჩემპიონია. სულ, ბორისოველებისთვის ეს მეათე ჩემპიონობა იყო, მეორე ადგილზე კი მინსკის „დინამოა“, ვის ანგარიშზეც 7 ტიტულია. ბატე-მ პირველობა ორი ტურით ადრე გაინაღდა და ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლიც (58) გაიტანა და ყველაზე ნაკლებიც (23) გაუშვა.

შედარებით მოულოდნელად დასრულდა სეზონი ლიტვაში, სადაც ჩემპიონი ვილნიუსის „ჟალგირისი“ გახდა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ბოლო 5 ტურში ერთი მატჩიც ვერ მოიგო. უკანასკნელ ტურში „ჟალგირისმა“ შინ 1:3 წააგო „სუდუვასთან“, მაგრამ მისმა მდევარმა კლაიპედას „ატლანტასმა“ მხოლოდ ქულა მოიპოვა („ბანგასთან“) და მეორე ადგილზე დარჩა. „ჟალგირისმა“ ისტორიაში მეოთხე, 1999 წლის შემდეგ კი პირველი ტიტული მოიპოვა.

8 - მშრალი მატჩი ზედიზედ - „ლილის“ შთამბეჭდავი სერია თითქმის ორი თვეა გრძელდება. სულ, ამ სეზონში, „ძაღლებმა“ საკუთარი კარი მშრალად 11 შეხვედრაში შეინახეს, რაც ევროპის წამყვანი 5 ჩემპიონატის მასშტაბით საუკეთესო შედეგია, მეორე ადგილზე კი ამ მხრივ „რომაა“ - 9 მშრალი მატჩი. „ლილი“ დამაჯერებლად მიიწევს საფრანგეთის ჩემპიონატის რეკორდისკენ (12 მატჩი ზედიზედ გოლის გაშვების გარეშე), რომელიც 1993 წელს „ბორდომ“ დაამყარა.

დასამახსოვრებელი კვირა იყო „ლილის“ ყოფილი მეკარისთვისაც - **მიკელ ლანდრომ** ლიგა 1-ში თავისი მე-600 მატჩი ჩაატარა, მისმა „ბასტიამ“ კი „რენს“ 1:0 მოუგო. ლანდრომ კარიერაში, რომელიც 17 წლის ასაკში, 6 251 დღის წინ დაიწყო, 221-ე „შათაუტი“ შეასრულა.

თავი გამოიჩინა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც**, ვინც „ნიცასთან“ ჰეთთრიქი შეასრულა (3:1). კლუბში და ნაკრებში ჩატარებულ ბოლო 8 შეხვედრაში შვედმა 14 გოლი გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014



ზლატან იბრაჰიმოვიჩი ცხოვრებით კმაყოფილია

# იბრა: ჩვენ უფრო გვეკუთვნის

ევროზონაში 2014 წლის მუნდიალის პლეი ოფების ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირება შვედეთი-პორტუგალიაა. სამწუხაროდ, ფორტუნამ ისე ინება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი დიდი ფეხბურთელიდან ერთ-ერთს ვერ ვიხილავთ - **კრიშტიანო რონალდოს** ან **ზლატან იბრაჰიმოვიჩს.** ამასთან, დაკავშირებით ყველას თავისი აზრი აქვს და გამონაკლისი არც იბრაა, რომელიც მიიჩნევს, რომ ბრაზილიაში გამგზავრებას მისი ნაკრები უფრო იმსახურებს.

*„პორტუგალიას ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავს და წყვილში ალბათ ფავორიტია. თუმცა მიმაჩნია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ჩვენ უფრო გვეკუთვნის, რადგან იმ ჯგუფში გავედით მეორე ადგილზე, რომელშიც გერმანია გვყავდა მეტოქედ"* - თქვა ზლატანმა.

სხვათა შორის, იბრაჰიმოვიჩმა აღიარა, რომ ამ ზაფხულს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ სად გაგრძელდებოდა მისი კარიერა და პსჟ-დან წასვლაზეც ფიქრობდა. თუმცა იგი დედაქალაქური გუნდის პრეზიდენტ **ნასერ ალ-ხელაიფის** ტკბილი სიტყვით მოუთაფლავს.

*„პსჟ სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშობს და ძლიერდება. ეს მხოლოდ ჩვენი მოსაზრება არ არის - პრესაც დიდ პატივს გვცემს, როგორც გუნდს, ასევე ინდივიდუალურად ფეხბურთელებს. ზაფხულში ნამდვილად არ ვიცოდი სად გაგრძელდებოდა ჩემი კარიერა. ისე ხდება ხოლმე, რომ როდესაც რამეს დავგეგმავ, სინამდვილეში ყველაფერი უკუღმა გამოდის. სეზონის დაწყებამდეც გაურკვევლობა იყო. თუმცა პრეზიდენტი მესაუბრა და მითხრა, რომ მე ამ პროექტის მთავარი ფიგურა ვარ და შემიძლია კლუბის მრავალწლიანი ოცნებები ავასრულო. როდესაც ასეთ სიტყვებს ისმენ... შევთანხმდით, რომ პსჟ-ში კიდევ ერთი წელი მაინც დავრჩებოდი და ჯერჯერობით ყველაფერი იდეალურად მიდის. საფრანგეთის ჩემპიონატს პატივს ვცემ, მაგრამ როდესაც „მილანიდან" აქ გადმოვდიოდი, ლიგა ერთს კარგად არ ვიცნობდი. ამიტომ, საკუთარ თავს ბევრ კითხვას ვუსვამდი - რამდენად ძლიერ ჩემპიონატში გადავდივარ? როგორ აისახება ეს ჩემს კარიერაზე? - გარკვეულ რისკზე მივდიოდი, მაგრამ შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ მომავალი „პარი სენ-ჟერმენისაა"* - განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

დაბოლოს, იბრამ თავის „ტვიტერზე" გვახარა, რომ ბევრისათვის საყვარელი „იქსბოქსის", კერძოდ კი Xbox One-ის ელჩი გახდა საფრანგეთში. ახალი პროდუქტის გაყიდვა 22 ნოემბრიდან დაიწყება.

*„მე გავხდი XBOX ONE-ის პირველი და ერთადერთი ელჩი"* - ვკითხულობთ 32 წლის თავდამსხმელის „ტვიტერზე", რომელსაც პსჟ-ში გამართულ 64 მატჩში უკვე 50 გოლი მოუგროვდა.

# რიბერი, მისი კომპანია და თამამი იარმოლენკო

## მამლები და ოქროს ბურთი

საკლუბო ფეხბურთმა პაუზა აიღო და გზა ნაკრებებს დაუთმო. წინ პლეი ოფები გვაქვს და ჩვენც ამ ცხელ კვალს მივყვებით. შვედეთი-პორტუგალიის დუელი რომ არა, უკრაინა-საფრანგეთი უდავოდ ყველაზე გამორჩეული წყვილი იქნებოდა.

**ფრანკ რიბერი:** *„არ უნდა გვეგონოს, რომ უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვართ. ორი არცთუ ადვილი მატჩი გველოდება. უკრაინა ძლიერი ნაკრებია, რომელიც ცოტას უშვებს და კონტრშეტევებზე კარგად თამაშობს. ამ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ".*

ამასობაში, ბუკმეკერები „ოქროს ბურთის" მოგების ფავორიტად სწორედ რიბერის მიიჩნევენ და 30 წლის ფრანგს 1,9 კოეფიციენტი გამოუწერეს. მეორეზე **ლიონელ მესია** (2,5), ხოლო მესამეზე **რონალდო** (7,0). საბუკმეკერო კანტორები **იბრაჰიმოვიჩს** მხოლოდ მეოთხე პოზიციაზე აყენებენ, ხოლო შემდეგ **არიენ რობენისა** და **ნეიმარის** „წყვილი" მოდის.

*„ოქროს ბურთის" მოგების კარგი შანსი მაქვს. 2013 წელი განსაკუთრებული იყო, ერთ-ერთი საუკეთესო კარიერაში. ჩემმა კლუბმა ყველა ტურნირი მოიგო. თუმცა ვნახოთ, რა მოხდება, იგივე კრიშტიანო რონალდო დიდებული ფეხბურთელია"* - დასძინა რიბერიმ.

თემას გამოეხმაურა საფრანგეთის ნაკრებისა და „მარსელის" პლეიმეიქერი **მატიო ვალბუენაც:** *„რიბერიმ დაიმსახურა „ოქროს ბურთი" და ამას ობიექტურად ვამბობ. მას ბევრი გოლი გაჰქონდა, საგოლე გადაცემებს აკეთებდა... „ბაიერნს" ტრიუმფალური სეზონი ჰქონდა და ეს ფრანკის დიდი დამსახურებაა. თუ იგი ამ ჯილდოს ახლა ვერ მიიღებს, მაშინ ვერც ველარასდროს მოიპოვებს მას, რადგან მესისთან და რონალდოსთან ჭიდილი ძალიან ძნელია".*

ახლა კი ნაკრებებს დავუბრუნდეთ და სანამ უკრაინელთა ბანაკში გადავბარგდებით, მოვისმინოთ, თუ რისი თქმა უნდა ჩვენთვის „მამლების" თავდამსხმელს **ოლივიე ჟირუს.** „არსენალის" ფეხბურთელი ძალიან კარგ ფორმაშია და შეეცდება, ეს სანაკრებო დონეზეც დაამტკიცოს.

*„ჩვენ ახალი, ახალგაზრდული ნაკრების შენება დავიწყეთ და ამ გზაზე ეს ალბათ პირველი სერიოზული ბარიერია. საფრანგეთს ძალიან კარგი თაობა ჰყავს და შეგვწევს იმის ძალა, რომ პლეი ოფი წარმატებით გავიაროთ, მაგრამ უკრაინის დაუფასებლობა დაუშვებელია. მეტოქე სერიოზულია და მოკლედ, პირადად მე დიდი მოლოდინი მაქვს. გვსურს, ის სასიამოვნო დაძაბულობა ვიგრძნოთ, რომელიც დიდ მატჩებს თან ახლავს"* - აღნიშნა ჟირუმ.



ფრანკ რიბერი - „ოქროს ბურთის" მოპოვების უკანასკნელი შანსი?

### ფომენკოს დისციპლინა აფიქრებს

საბრძოლო განწყობაა უკრაინელთა რიგებშიც. მთავარ მწვრთნელს **მიხაილ ფომენკოს** თავისი შეგირდების სჯერა. ყველაზე მეტად მას ის აღელვებს, რომ ნაკრების 10 ფეხბურთელს ყვითელი ბარათი აქვს და ისინი საპასუხო მატჩის გამოტოვების საფრთხის წინაშე დგანან.

*„არის თუ არა ყველა ფეხბურთელი კარგ გუნებაზე? იშვიათი გამონაკლისების გარდა, კი. ჩვენ დიდი გზა გავიარეთ და ერთი ნაბიჯის გადადგმა დაგვრჩა. ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და ვცადოთ, ძლიერი მხარეები გამოვაჩინოთ, იმედია, ასეც იქნება. დისციპლინარულ მხარეზე ბიჭებს მუდმივად ვესაუბრები და ეს ახლა მით უფრო აქტუალურია, რადგან ბევრი ყვითელი ბარათი გვაქვს და ამას საბოლოო შედეგზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, მოთამაშეები მშვიდად უნდა იყვნენ. ჰყავს თუ არა საფრანგეთს პროვოკატორი ფეხბურთელები? ასეთებს ყველა გუნდში იპოვით"* - თქვა ფომენკომ.

თამამ განცხადებას აკეთებს უკრაინელთა ერთ-ერთი ლიდერი **ანდრეი იარმოლენკო:** *„არც ჩვენ ვართ ცუდი ფეხბურთელები, დაე, მათ ეშინოდეთ ჩვენი. მარტივი სტრატეგია გვაქვს - ორი მატჩის ჯამში შემდეგ ეტაპზე უნდა გავიდეთ. მეტოქის მხრიდან პირველ რიგში რიბერია გამოსარჩევი, რომელიც, ჩემი აზრით, ამჟამად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია".*

*„თითოეული მოთამაშე იაზრებს ამ მატჩების მნიშვნელობას ჩვენი ნაკრებისა და მთლიანად ქვეყნისთვის. არა მგონია, რომ ფრანგების მხრიდან ჩვენს სათანადოდ დაუფასებლობას ჰქონდეს ადგილი. ჯერ ერთი, ამ დაპირისპირების სასწორზე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური დევს და ამ შემთხვევაში, მსგავსი რამ გამორიცხულია. მეორეც - ერთმანეთს არც ისე დიდი ხნის წინ შევხვდით და მათ იციან ჩვენი შესაძლებლობები, კარგად გვიცნობენ"* - ეს კი **ანატოლი ტიმოშჩუკის** სიტყვებია, მან ევროპის ჩემპიონატზე გამართული მატჩი გაიხსენა, რომელიც უკრაინელებმა ფრანგებთან 0:2 დათმეს.

ტალანტები

# ვუნდერკინდები WONDERKIDS-ისგან



ჰაშიმ მასტური

ახლახან დასრულდა მორიგი კვლევა, რომლის მიზანიც მსოფლიოს უნიჭიერესი ფეხბურთელების გამოვლენა გახლდათ. wonderkids-2014-მა ვუნდერკინდების ასკაციანი სია გამოაქვეყნა, რომლის სათავეშიც „მილანის" 15 წლის შემტევი **ჰაშიმ მასტურია.**

გეტყვით, რომ მასტური „როსონერიმ" 2012 წელს „რეჯანადან" იყიდა 500 ათასი ევროს სანაცვლოდ. მასტური წარმოშობით მაროკოელია, მაგრამ იტალიის მოქალაქეობაც აქვს. იგი 1998 წლის 15 ივნისს რეჯო ემილიაშია დაბადებული. ახალგაზრდა ტალანტს უკვე შეურჩიეს ორი მყვირალა მეტსახელი - „მაროკოელი მესი" და „იტალიელი ნეიმარი".

აღსანიშნავია, რომ ასეულში ყველაზე მეტი წარმომადგენელი „ჩელსის" ჰყავს (7). შემდეგ „ბარსელონა" (6) და პსჟ (5) მოდიან. ქვეყნების მხრივ ბრაზილია ლიდერობს 13 ფეხბურთელით, ხოლო საფრანგეთსა და ესპანეთს 11-11 წარმომადგენელი ჰყავთ. რაც შეეხება იმას, თუ რომელი ქვეყნის კლუბებში თამაშობენ ეს ნიჭიერი ფეხბურთელები, სურათი ასეთია - ასიდან ყველაზე მეტი, კერძოდ კი 16 მოთამაშე, ინგლისურ გუნდებში უნდა მოვიძიოთ. 13 ჰოლანდიაში, 12-12 კი იტალიასა და ესპანეთში, იქვეა საფრანგეთიც (10).

ათეულში ყველაზე მეტი ანუ 2-2 მოთამაშე „შალკესა" და პსჟ-ს ჰყავთ. გელზენკირხენელთა მხრიდან ცხადია, **მაქს მაიერზე** და **იულიან დრაქსლერზეა** საუბარი. ხოლო პარიზელთა მხრიდან ექსპერტებმა **მარკინიოსი** და **ადრიენ რაბიო** გამოარჩიეს. ყველაზე „ასაკოვანი" ფეხბურთელი „რეალის" 20 წლის თავდამსხმელი **ხესე როდრიგესია.**

ტოპ-10

| ფეხბურთელი | კლუბი | პოზიცია | ას. |
|---|---|---|---|
| 1. ჰაშიმ მასტური | მილანი | შემტევი ნახ./თავდამსხმელი | 15 |
| 2. იულიან დრაქსლერი | შალკე | შემტევი ნახევარმცველი | 19 |
| 3. დენის პრატი | ანდერლეხტი | შემტევი ნახევარმცველი | 19 |
| 4. ტონი დე ვილიენა | ფეიენოორდი | ცენტრალური ნახევარმცველი | 18 |
| 5. ხესე როდრიგესი | რეალი | ფორვარდი | 20 |
| 6. მარკინიოსი | პსჟ | ცენტრალური მცველი | 19 |
| 7. ალენ ჰალილოვიჩი | ზაგრების დინამო | შემტევი ნახევარმცველი | 17 |
| 8. ლუკას ოკამპოსი | მონაკო | ვინგერი | 19 |
| 9. მაქს მაიერი | შალკე | შემტევი ნახევარმცველი | 18 |
| 10. ადრიენ რაბიო | პსჟ | ცენტრალური ნახევარმცველი | 18 |

ამბები

## ვის დააკარგვინა სახლი ვენგერმა?

ტრაგიკომედია დატრიალდა უგანდაში. მავანი **ჰენრი დაბასანი** თავისმა საყვარელმა კლუბმა, ლონდონის „არსენალმა" დაღუპა. მან „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგთან ვინმე **რაშიდ იიგასთან** სანაძლეო დადო, რომ თუ **არსენ ვენგერის** გუნდი წააგებდა, იგი იიგას საკუთარ ოროთახიან სახლს გადასცემდა. მოგების შემთხვევაში კი დაბასანი იიგას მეუღლესა და „ტოიოტას" მარკის ავტომობილს მიიღებდა. მხარეებმა სანაძლეო წერილობითი სახით ოფიციალურად გააფორმეს... დაბასანის, რომელსაც 3 ცოლი და 5 შვილი ჰყავს, არ გაუმართლა - „წითელმა ეშმაკებმა" ექსარსენალელი **რობინ ვან პერსის** გოლით მოიგეს. ორ დღეში მის სახლში იიგასთან ერთად „მანჩესტერის" რამდენიმე გულშემატკივარი მიიჭრა და იგი ოჯახიანად გარეთ გამოაგდო.

## ბაიერნმა რიბერი ჯუნიორიც დაიმატა

**ფრანკ რიბერის** უმცროსი ძმა **სტივენი** მიუნხენის „ბაიერნში" ჩაირიცხა. რასაკვირველია, საუბარი ჯერჯერობით მხოლოდ „რეკორდმაისტერის" ახალგაზრდულ გუნდში ვარჯიშსა და თამაშზეა. 19 წლის სტივენ რიბერი აქამდე „ლანსის" აკადემიაში გახლდათ. იგი შემტევი ნახევარმცველია, რომელიც თავდამსხმელადაც თამაშობს. აღვნიშნოთ, რომ ფრანკის უმცროსი ძმა სინჯებზე ჯერ კიდევ აგვისტოში ჰყავდა ჩაყვანილი და ბოლო ბოლო კონტრაქტი გაუჩარხა

## რუმენიგემ კონტრაბანდისტობა დაიწყო



**კარლ-ჰაინც რუმენიგე** დაახლოებით 250 ათასი ევროთი დააჯარიმეს. „კალეს" ამ სიბერეში ცუღლუტობა მოსდომებია და გერმანიის საზღვრის გადაკვეთისას ყატარიდან წამოყოლებული ორი ძვირფასი საათი დეკლარაციაში არ გაუტარებია - აქაოდა, ძველია და მეგობარმა მისახსოვრაო. თუმცა აბა მებაჟეებს რას გამოაპარებ? თანაც გერმანიაში. თებერვლიდან მოყოლებული ამ საქმის გამოძიება მიმდინარეობდა და როგორც დადგინდა, რუმენიგემ ეს ორი მაჯის საათი თავად შეიძინა, მაგრამ გადასახადებისგან უნდოდა თავის არიდება და... ახლა ზედმეტი იზარალა. თავად „ბაიერნის" ერთ-ერთ მმართველსა და ლეგენდარულ ფეხბურთელს კომენტარი არ გაუკეთებია.

გვერდი მოამზადა
**გიორგი პაპაბაძემ**

● გერმანიის ნაკრები

# ლიოვის 100

## ოცნება მსოფლიოს ჩემპიონობაზე და გერმანიის ნაკრების ათივე მწვრთნელი




იოახიმ ლიოვმა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში უკვე დიდი ერა შექმნა




გაზეთ „ბილდს“ უკვე გამზადებული აქვს პირველი გვერდი იმ შემთხვევისთვის, თუ გერმანია ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. წარწერა: „მსოფლიოს ჩემპიონები! იოგი, ახლა შენ ხარ ჩვენი საფეხბურთო ღმერთი!“

ხვალ, გერმანიის ნაკრები მილანში იტალიის ეროვნულ გუნდთან ძალიან საინტერესო ამხანაგურ მატჩს გამართავს. ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ამ შეხვედრას განსაკუთრებულად ელოდება, რადგან 53 წლის სპეციალისტისთვის ეს გერმანიის ნაკრების დამრიგებლის რანგში საიუბილეო, რიგით მე-100 თამაში იქნება.

„ნაციონალმანშაფტს“ არსებობის ისტორიაში სულ 10 მთავარი მწვრთნელი ჰყავდა და აქამდე მხოლოდ სამმა შეძლო ის, რომ ბუნდესგუნდი მინიმუმ 100 მატჩში დაემოძღვრა. შესაბამისად, ლიოვი გერმანიის ნაკრების მეოთხე „ასიანი“ დამრიგებელი ხდება.

ყველა დროის ბუნდესმწვრთნელთა შორის მატჩების რაოდენობის მიხედვით ერთპიროვნული ლიდერი ლეგენდარული **ზეპ ჰერბერგერია**, რომლის ხელშიც გერმანიის ნაკრები 1954 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ზეპმა ბუნდესნაკრებს 167 შეხვედრაში უხელმძღვანელა. მის გარდა, აქტივში ლიოვზე მეტი მატჩი აქვთ 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის თავკაც **ჰელმუტ შიონს** (139) და **ბერტი ფოგთსს** (102), რომელმაც 1996 წელს გერმანიას ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა და სხვათა შორის, ფოგთსი უკანასკნელი ბუნდესმწვრთნელი გახლდათ, რომელმაც გერმანიას ტიტული მოუტანა.

იოახიმ ლიოვის ხელში გერმანიას ტიტული არ მოუგია, მაგრამ მისი ბალანსი და სტატისტიკა შესანიშნავია: 99 მატჩიდან, ლიოვის მიერ გაწვრთნილმა გერმანიამ 68 მოიგო (69-პროცენტიანი მაჩვენებელი) და მხოლოდ 15-ში დამარცხდა. გერმანელებმა ლიოვის ერაში 251 გოლი გაიტანეს, ახლა კი, მთელ საფეხბურთო გერმანიას იმის იმედი აქვს, რომ 2014 წლის მუნდიალზე ლიოვის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

ლიოვის იუბილის ფონზე, კიდევ ერთხელ გადავხედოთ გერმანიის ნაკრების ადრინდელ თავკაცებს და მათ შედეგებს.

### ოტო ნერცი

გერმანიის ნაკრების პირველი მთავარი მწვრთნელი ბუნდესგუნდს 1929-დან 1936 წლამდე ხელმძღვანელობდა. მაშინ გერმანიის ნაკრების თავკაცს არა ბუნდესმწვრთნელად, არამედ, გასაგები მიზეზის გამო რაიხის მწვრთნელად მოიხსენიებდნენ. ნერცმა გერმანიას 70 მატჩში უხელმძღვანელა. 1934 წლის მუნდიალზე მისმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

### ზეპ ჰერბერგერი

„დიდი ზეპი“, როგორც მას მადლიერმა საფეხბურთო გერმანიამ შეარქვა, ბუნდესგუნდს 1936-დან 1942 წლამდე ავარჯიშებდა და საერთო ჯამში, „რაიხის მწვრთნელის“ რანგში გუნდს 70-ჯერ უხელმძღვანელა. მოგვიანებით, კერძოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას გერმანიის ნაკრები კიდევ ჩააბარეს და 1950-დან 1964 წლამდე იმუშავა (97 თამაში). მისი სამწვრთნელო კარიერის პიკი 1954 წელს მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონობაა.

### ჰელმუტ შიონი

შიონი გერმანიის ნაკრებს სათავეში 1964-დან 1978 წლამდე ედგა და ჯამში 139 შეხვედრაში უხელმძღვანელა. 1974 წელს მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 1972-ში კი ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

### იუპ დერვალი

მისი ხელმძღვანელობით გერმანიის ნაკრებმა 67 შეხვედრა ჩაატარა - დერვალმა ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე 1978-დან 1984 წლამდე იმუშავა და 1980-ში ევროპის ჩემპიონატი მოიგო. მის ხელში განსაკუთრებით **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ბრწყინავდა, 1982 წლიდან კი რუდი ფიოლერიც.

### ფრანც ბეკენბაუერი

კაიზერ-ფრანცს გერმანიის ნაკრები 1984 წელს ჩააბარეს. ჯამში მან ბუნდესგუნდს 66 მატჩში უხელმძღვანელა და 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მესამედ მოაპოვებინა. იტალიაში გამართული, ტრიუმფით დასრულებული მუნდიალის შემდეგ კი ბეკენბაუერი გადადგა.

### ბერტი ფოგთსი

ბერტი, რომელიც დღეს აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, უკანასკნელი სპეციალისტია ბუნდესმწვრთნელებს შორის, რომელმაც გერმანიას ტიტული მოაგებინა - ფოგთსის გერმანია 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა და მას მერე გერმანელები უტიტულოდ არიან. 1990-დან 1998 წლამდე ბერტიმ ბუნდესნაკრები 102 შეხვედრაში დამოძღვრა.

### ერიხ რიბეკი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ნაკრების ისტორიაში ყველაზე წარუმატებელი სპეციალისტი ერიხ რიბეკი იყო, რომელმაც ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე 1998-დან 2000 წლის ჩათვლით იმუშავა. მის ხელში გერმანიამ 24 თამაში ჩაატარა და მხოლოდ ათი მოიგო.

### რუდი ფიოლერი

რიბეკის შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესმწვრთნელად რუდი ფიოლერი დანიშნა, რომელიც ნაკრებს 4 წელი თავკაცობდა (53 თამაში). 2002 წელს რუდის გერმანიამ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, რაც ფიოლერს წარმატებად ჩაეთვალა, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე კი ფიოლერის ბუნდესგუნდი ჯგუფში ჩარჩა.

### იურგენ კლინსმანი

კლინსმანი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად სწორედ ევრო 2004-ზე განცდილი ფიასკოს შემდეგ დანიშნეს. კლინსიმ ამ თანამდებობაზე ორი წელი გაძლო. მართალია, 2006 წლის მუნდიალზე, გერმანიაში მესამე ადგილის დაკავება კატასტროფა არ იყო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მან პოსტი მაინც დატოვა. სწორედ მაშინ დაინიშნა ბუნდესმწვრთნელად იოახიმ ლიოვი, რომელიც მანამდე კლინსმანის ასისტენტი გახლდათ.

**ლიოვის ერა**

გერმანიის ნაკრები იოახიმ ლიოვის ხელში

| | |
|---|---|
| თამაში | 99 |
| მოგება | 68 (69%) |
| ფრე | 16 |
| წაგება | 15 |
| ძულა საშუალოდ ერთ თამაშში | 2.22 |
| გოლი საშუალოდ ერთ თამაშში | 2.5 |
| გატანილი გოლები | 251 |
| მიღებული გოლები | 97 |
| გამოყენებული ფეხბურთელები | 82 |
| დებიუტანტები | 57 |
| ყველაზე მეტი თამაში | ლუკას პოდოლსკი (79) |
| ყველაზე მეტი გოლი | მიროსლავ კლოზე (39) |
| პირველი მატჩი | 2006 წლის აგვისტო: 3:0 შვედეთთან |

**გოტფრიდ ლენცი**

# როისი: იტალიის აღარ გვეშინია!

## მარკომ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი და მარიო ბალოტელი თავიდან ამოიგდო

ამდღეებში საფეხბურთო გერმანიამ კიდევ ერთხელ გაიხსენა 1995 წლის 21 ივნისი. ამ თარიღზე გერმანიაში ხვალ და ზეგაც ისაუბრებენ. რა მოხდა 1995 წლის 21 ივნისს ასეთი განსაკუთრებული? ეს ის დღეა, როცა გერმანიის ნაკრებმა უკანასკნელად მოუგო იტალიის ნაკრებს. მას მერე გერმანელებს ასეთი ბედნიერება აღარ ღირსებიათ. ხვალ, ბუნდესგუნდი ამ არასახარბიელო სერიის შეწყვეტას კიდევ ერთხელ შეეცდება, თუმცა გერმანიის ნაკრების ვარსკვლავ **მარკო როისს** ეს სერია ოდნავადაც არ აღელვებს.

მსოფლიოს 2006 წლისა და ევროპის 2012 წლის ჩემპიონატების ნახევარფინალებში დაფიქსირებულმა შედეგებმა „სკუადრა აძურა“ ბუნდესგუნდისთვის კიდევ უფრო საშიშ მეტოქედ აქცია. გერმანელებს იტალიელებთან თითქოს კომპლექსი გამოუმუშავდათ: ბუნდესგუნდი „აძურას“ განსაკუთრებით ევრო 2012-ზე სჯობდა, მაგრამ მაინც წააგო (1:2), თან ისე, რომ იმ მატჩს კითხვის ნიშნები არ დაუტოვებია.

გერმანიაში ვერ ივიწყებენ **ფაბიო გროსოსა** და **ალესანდრო დელ პიეროს** გოლებს 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალში, რითაც იტალიამ სრულიად გერმანიის ოცნება, გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი საკუთარ კედლებში, 119-ე და 120-ე წუთებზე დაასამარა. ვერ ივიწყებენ **მარიო ბალოტელისაც**, რომელმაც გერმანია ევრო 2012-ის ნახევარფინალში ატირა.

საერთო ჯამში, გერმანია და იტალია ერთმანეთს 31-ჯერ დაუპირისპირდნენ. აქედან, გერმანელებმა მხოლოდ 7 დუელი მოიგეს, იტალიელებმა კი - 15. ამაზე უარესი შედეგი მოგებული მატჩების რაოდენობის მხრივ გერმანიას მხოლოდ ბრაზილიასთან (19 პროცენტი) აქვს. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები იტალიას საშიშ მეტოქედ მაინც არ მოიხსენიებენ.

*„ასეთი ტერმინები არ მიყვარს და არ ვეთანხმები, - ამბობს როისი, - მართალია, გერმანიის ნაკრებს იტალია დიდი ხანია, არ დაუმარცხებია, მაგრამ შიშზე საუბარი, რა თქმა უნდა, სასაცილოა. მაგალითად, პარასკევის მატჩს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალთან არანაირი კავშირი არ აქვს.“*

ის ფაქტი, რომ გერმანიას შანსი ეძლევა, იტალია 1995 წლის 21 ივნისის შემდეგ პირველად დაამარცხოს, როისის აზრით მხოლოდ და მხოლოდ გვერდითი მოვლენაა. *„ვარშავაში განცდილი მტკივნეული მარცხი და მარიო ბალოტელის ლეგენდარული სიხარული უკვე თავიდან ამოვიგდე. ეს შეხვედრა, რა თქმა უნდა, არ დამავიწყდება, მაგრამ წარსულია,“* - აცხადებს როისი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 17 მატჩი აქვს ჩატარებული (7 გოლი).

**გოტფრიდ ლენცი**



მარკო როისი ევრო 2012-ის ნახევარფინალში, იტალიასთან მატჩის დროს

● კიევო

# სანინო გაუშვეს

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების უკანასკნელ ტურში, „კიევომ“ „მილანთან“ ფრე ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ ლომბარდიული გრანდი ღრმა კრიზისშია, შედეგი დადებითად შეფასდა. თუმცა კლუბის მესვეურებმა თამაშის ხარისხი ვერ დაინახეს და მთავარ მწვრთნელ **ჯუზეპე სანინოს** კარისკენ მიუთითეს, რაც მოსალოდნელიც იყო - 12 ტურში „კიევოს“ აქტივში მხოლოდ 7 გოლი და 6 ქულაა. შედეგად, ვერონული გუნდი ბოლო ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

მოკლედ, სანინოს ხელში „ვირები“ ვერ ფრენდნენ და კლუბის მესვეურებმა მწვრთნელის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღეს. ჯუზეპემ ვერონული გუნდი ზაფხულს ჩაიბარა, იქამდე კი „პალერმოს“, „სიენას“ და ქვედა ლიგების რამდენიმე გუნდს წვრთნიდა.



ჯუზეპე სანინომ ვერონელებს ხელი დაუქნია

**ლაშა წიკლაური**



ИТАЛИИ

● იტალიის ნაკრები

# აძურა დაირაზმა, წინ კლასიკაა...

## როსი გერმანიასთან ვერ ითამაშებს

იტალიის ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება და სპორტული პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ჩეზარე პრანდელიმ უკვე დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებსაც მოახლოებულ პაექრობებში დაეყრდნობა და ეს სია ერთ-ერთ წინა ნომერში გაგაცანით. სანამ თემას განვავრცობდეთ, აღვნიშნოთ, რომ 15 ნოემბერს „სკუადრა აძურა“ მილანში გერმანიას უმასპინძლებს, სამი დღის შემდეგ კი ლონდონში ნიგერიას ეთამაშება.

### ექსპერიმენტები დაცვაში

მოკლედ ვთქვათ შემადგენლობაზე და აღვნიშნოთ, რომ დაცვის ხაზში იტალიას ტრავმირებული **ჯორჯო კიელინი** აკლია. დიდი ხანია, დაშავებულია **მატია დე შილიო** და ნაკრებს ვერც ის ეხმარება. პრანდელიმ უარი თქვა **ფედერიკო ბალცარეტის** სამსახურზე, რომელიც სომხეთთან შეხვედრისთვის ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოიძახა და როგორც ჩანს, მისი გარჯით უკმაყოფილო დარჩა. განაცხადს მიღმაა **დავიდე ასტორიც**, რომელსაც ბოლო პერიოდში მეტწილად თადარიგში უწევდა ყოფნა. სამაგიეროდ, „სკუადრა აძურას“ **დომენიკო კრიშიტო** დაუბრუნდა, განაპირა მცველი, რომელიც ბოლოს ეროვნულ გუნდში ევრო 2012-მდე გამოიძახეს. გახსოვთ ალბათ, კრიშიტოს ევროფორუმზეც უნდა ეთამაშა, მაგრამ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალის გამო, არა თუ გუნდიდან მოკვეთეს, კინაღამ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

შუა ხაზში **მარკო ვერატის** ვერ ვხედავთ, სხვა წამყვანი ფეხბურთელები კი სახეზე არიან. რაც შეეხება შეტევის ხაზს, პრანდელიმ ექვსი ფეხბურთელი იხმო და განაცხადა, რომ სასტარტო შემადგენლობაში **ჯუზეპე როსის** და **მარიო ბალოტელის** უპირებს გამწესებას...

### თუმცა...

ჯუზეპე როსი სანაკრებო შეკრებაზე მაღალი ტემპერატურით გამოცხადდა და დიაგნოზიც მალევე დაისვა - გრიპი. „გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ, როსი ვერ ითამაშებს. თუმცა, ჯუზეპე დარჩება შეკრებაზე და წესით, ნიგერიასთან მატჩისთვის მზად უნდა იყოს. ამ თემაზე ჩეზარე პრანდელიმ საგანგებო კომენტარი გააკეთა:

*„ჯუზეპე როსის და მარიო ბალოტელის ტანდემის ხილვა მსურდა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, ბეპეს გერმანელებთან თამაში გამოირიცხა. სამწუხაროა, მაგრამ არსებულ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ვინ დაიკავებს როსის ადგილს? - ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ მაქვს. შესაძლოა, ტაქტიკა შევცვალო და გუნდი სამი შემტევით ვათამაშო“.*

იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, პრანდელი სწორედ 4-3-3 სქემაზე გადააწყობს გუნდს, რადგან როსის შემცვლელი „აძურაში“ უბრალოდ არ არის. **ლორენცო ინსინიე** და **ალესიო ჩერჩი** მკვეთრად გამოხატული ფლანგის ფეხბურთელები არიან, **ალბერტო ჯილარდინო** და **პაბლო ოსვალდო** კი ბალოტელის სტილში უფრო თამაშობენ და ორი მძიმე ფორვარდის ძირითადში დაყენება მეტისმეტი იქნება. **სტეფან ელ შაარავი** რომ მწყობრში იყოს, სხვა საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში, სენიორ ჩეზარე ჩარჩოშია მოქცეული.

### ჯიჯი პირველია

ბოლო დროს იტალიურ სპორტულ პრესაში ხშირად საუბრობენ **ჯანლუიჯი ბუფონის** შეცდომებზე და აქა იქ, ისიც კი გაისმა, რომ „სკუადრა აძურაში“ ნომერ პირველი გოლკიპერის საკითხი უნდა გადაიხედოს. გასულ უქმეებზე, ბუფონმა „ნაპოლისთან“ დიდებულად ითამაშა, მაგრამ იქამდე მართლაც დაუშვა შეცდომები, რამაც დაუდო კიდეც სათავე გავრცელებულ ხმებს. პრანდელის ამ თემაზეც დაუსვეს კითხვა:

*„ფედერიკო მარკეტი და სალვატორე სირიგუ ბრწყინვალე მეკარეები არიან, მაგრამ ნომერი პირველი მაინც ჯანლუიჯი ბუფონია. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების კარს სწორედ ჯიჯი დაიცავს. ასე რომ, კარგი იქნება თუ შეწყდება ამ თემაზე სპეკულაციები“.*



რას უმზადებს ჩეზარე პრანდელი გერმანიას?!

### თამაშებსა და კანდიდატებზე...

ჩეზარე პრანდელის შემადგენლობაზეც ჩამოუგდეს სიტყვა და ჰკითხეს, შეარჩია თუ არა ის ბირთვი, რომელსაც ბრაზილიურ მუნდიალზე დაეყრდნობა:

*„ყველამ კარგად იცით, რომ ნაკრების ბირთვი გამოკვეთილია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი ფეხბურთელებისთვის კარი დაკეტილია. ამ დროისთვის, 35 ფეხბურთელი მყავს მონიშნული და გამორიცხული არაა, ეს სია კიდევ უფრო გაიზარდოს. თითოეული ფეხბურთელისთვის ეროვნულ გუნდში ასპარეზობა უდიდესი სტიმულია, ამას ვგრძნობ და ეს მახარებს“.*

ბუნებრივია, პრანდელიმ გერმანიასთან და ნიგერიასთან მატჩებზეც გააკეთა კომენტარი: *„იტალია-გერმანია მსოფლიო ფეხბურთის კლასიკაა და ამ თამაშს ყველა მოუთმენლად ელოდება. დაძაბულობა და წნეხი მაღალია, თუმცა დიდი ფეხბურთი ამის გარეშე წარმოუდგენელია. გერმანელებს უძლიერესი გუნდი ჰყავთ და მათთან სპარინგი ძალიან წაგვადგება. თუმცა, შედეგსაც დიდი მნიშვნელობა აქვს - კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ხომ მსოფლიო ფეხბურთის კლასიკაა“.*

### დარჩება პრანდელი?

ამასობაში, ჟურნალისტებთან გასაუბრება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** განიზრახა და განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ჩეზარე პრანდელისთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს. საქმე ისაა, რომ პრანდელიმ მუნდიალის შემდეგ ეროვნული გუნდიდან შესაძლო წასვლაზე გააკეთა განცხადება და ამით, ათასგვარ ჭორს დაუდო სათავე. მოვუსმინოთ აბეტეს:

*„პირადად ჩემი სურვილია, რომ ჩეზარე პრანდელიმ ფედერკალჩოსთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. ვფიქრობ, „სკუადრა აძურასთვის“ ჩეზარე იდეალური სპეციალისტია და სწორედ მასთან ერთად მივაღწევთ დიდ წარმატებებს. უახლოეს მომავალში, მწვრთნელთან მოლაპარაკებას დავიწყებთ და ვეცდებით, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე დავითანხმოთ. კარგი იქნება, თუ ეს მუნდიალის დაწყებამდე მოხდება“.*

**ლაშა ნიკლაური**

● მუნდიალი 2014. აზია/ს. ამერიკის პლეი ოფი

# ურუგვაი მუნდიალზეა



| იორდანია-ურუგვაი | 0:5 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 მ. პერეირა (22), 0:2 სტუანი (42), 0:3 ლოდეირო (69), 0:4 კ. როდრიგესი (78), 0:5 კავანი (92)

**ურუგვაი (4-3-3):** სილვა - მ. პერეირა, გოდინი, ლუგანო, კასერესი - არევალო, ლოდეირო (70. ა. პერეირა), კ. როდრიგესი - სტუანი (70. გ. რამირესი), კავანი, სუარესი (81. ფორლანი)

მართალია, 13 ნოემბერს მუნდიალის ოფიციალურ მონაწილეთა რიცხვი არ გაზრდილა - ისევ 21-ია, მაგრამ 100%-ით შეიძლება ვარაუდი, რომ ურუგვაის ნაკრები მათ რიგებს მიემატა - აზიისა და სამხრეთ ამერიკის პლეი ოფში, კონტინენტზე მეხუთე ადგილზე გასულმა ურუგვაიმ სტუმრად სუსტ იორდანიას შანსი არ დაუტოვა, 5:0 მოუგო და მონტევიდეოში რა უნდა მოხდეს, რომ ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა შეიცვალოს?

სტუმართა ხუთი გოლი ხუთი ფეხბურთელის ანგარიშზეა, თავი გამოიჩინეს **მაქსი პერეირამ, კრისტიან სტუანიმ, ნიკოლას ლოდეირომ, კრისტიან როდრიგესმა** და ბოლოს **ედინსონ კავანიმ**. გოლი არ გაუტანია **ლუის სუარესს**, რომელმაც თითქმის სრულად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ზაზასთან ლებრონს ნეიმარი ქომაგობდა



„მაიამი ჰიტი“ სპეციფიკური გუნდია. რალაცით 70-იანი წლების ჰოლანდიის ნაკრებს ჰგავს - ტოტალურ კალათბურთს თამაშობს. ხუთეულის თითოეულ წევრს შეუძლია ბურთის გათამაშება, სამქულიანის ჩაგდება, მაღალ ნახტომში ჩატენვა... მოკლედ ყველა პლეიმეიქერია და ყველა - ცენტრი. „მაიამის“ თავისი **იოჰან კრუიფიც** ჰყავს, თუმცა მფრინავი ჰოლანდიელისგან განსხვავებით მფრინავმა **ლებრონ ჯეიმსმა** თავის წილ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონობა (NBA-ს მოგებას ამერიკელები ასე ეძახიან) ერთხელ უკვე მოაგებინა.

„მაიამის“ საფეხბურთო დახასიათებისკენ ერთმა გარემოებამ მიბიძგა - „მილუოკისთან“ მატჩს დაესწრო „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავი **ნეიმარი**, რომელიც შესვენებისას ინტერვიუში მხოლოდ „მაიამისა“ და ლებრონს ახსენებდა. სათვალეც შესაფერისი ჰქონდა წარწერით - „ჰიტი“.

ჰოლანდიისა და ბრაზილიის გახსენებაზე იმასაც გეტყვით, რომ გუშინ „მაიამიმ“ დაახლოებით ისე მოუგო „მილუოკი ბაქსს“, როგორც 1974 წელს კრუიფის ჰოლანდიამ ნეიმარის წინაპრებს - ბრაზილიელებს. მესამე პერიოდამდე **ზაზა ფაჩულია** და მისი თანაგუნდელები ფლორიდელებთან 10-ქულიან ჩამორჩენას ინარჩუნებდნენ, თუმცა ლებრონ ჯეიმსმა მოედნის კიდესთან ერთი კუთხე შეარჩია, ჩაუსაფრდა და სამი სამქულიანი გასროლით „ჰიტი“ 82:58 დააწინაურა. აქ ყველაფერი დამთავრდა და მეოთხე პერიოდში მწვრთნელებმა „ღრმა“ სათადარიგოები გამოსცადეს.

საბოლოოდ 118:95 „მაიამი ჰიტის“ სასარგებლოდ.

სასტარტო ფაჩულიას მატჩის ბოლო 20 წუთი აღარ უთამაშია. მან მოედანზე 18 წუთი გაატარა, 3 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა. ლებრონ ჯეიმსმა კი შეხვედრა 33 ქულით დაასრულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქართველები ევროთასზე

# სარაგოსა საფრანგეთში დაეცა

დასანანი მარცხი განიცადა საფრანგეთში ესპანურმა „სარაგოსამ“. ევროთასის მეოთხე ტურში ქართველებით გაძლიერებული არაგონული კლუბი სამი პერიოდის განმავლობაში უგებდა მასპინძელ „გრაველინს“. მეოთხე ათწუთეულის წინ სხვაობა 10 ქულაც იყო, მაგრამ გადამწყვეტ მეოთხედში ფრანგებს ყველაფერი გამოუვიდათ, ესპანელებს - არაფერი. შედეგიც სახეზეა - 30:5. ბოლო მეოთხედის ანგარიშმა საფინალო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა - 85:67.

„გრაველინთან“ შეხვედრაში **ვიქტორ სანიკიძემ** 24 წუთში 9 ქულა, 8 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება მოაგროვა, ხოლო **გიორგი შერმადინმა** 5 ქულა, 5 მოხსნა და ასევე თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება.

„სარაგოსას“ 2-2 მოგება-წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. ესპანელები ევროთასზე მომდევნო შეხვედრას 20 ნოემბერს ბელგიაში „მონსის“ წინააღმდეგ ჩაატარებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. პრესკონფერენცია

# საჭიდაო კონფერენცია ხმაურიანი ასპექტებით

## დისკვალიფიკაცია - ჰეფი ენდით?

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ **დავით მარსაგიშვილსა** (84) და მის თანაგუნდელ **იაკობ მაქარაშვილს** (84) ჩვენივე ჭიდაობის ფედერაციისგან 6-თვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ. ამის შესახებ ბრძანებას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლუკა კურტანიძემ** ხელი უკვე მოაწერა და გუშინ პრესკონფერენციაზე თვითონვე გაგვაცნო. მიზეზი ამ მოჭიდავეების მოსკოვში, „ევროპის ერთა თასზე" გამოუსვლელობაა. „ლელო" უკვე წერდა, რომ მაქარაშვილი იქ ტრავმის გამო ვერ წავიდა, ხოლო მარსაგიშვილმა ირანიდან, სადაც საკლუბო ჩემპიონატში გამოდიოდა, დროულად ჩასვლა ვერ მოასწრო, აწონვაზე დააგვიანა და მერე არც ტურნირში დაუშვეს. ფედერაციაში ფიქრობენ, რომ ერთსაც შეეძლო ჭიდაობა და მეორესაც – დროულად ჩასვლა, მაგრამ პირადი ინტერესები გუნდისა და ქვეყნისაზე მაღლა დააყენეს. კურტანიძის თქმით, მათი საქციელით მთელი ნაკრები დაზარალდა და დიდწილად ამან განაპირობა ფინალში „ერთა თასის" მასპინძლებისთვის დათმობა. „ეს არაა პიროვნული შედეგი, ეს სახელმწიფოს ინტერესი, ქვეყნის ღირსების საკითხია. ეს იქნება უკანასკნელი შემთხვევა, როცა ნაკრების წევრებმა პირადული ინტერესი საერთოზე მაღლა დააყენეს" - განაცხადა კურტანიძემ.

პრეზიდენტმა ბრძანება კი გამოსცა, მაგრამ საბოლოო ვერდიქტი მაინც ფედერაციის ალმასკომმა უნდა გამოიტანოს – ის 17 დეკემბერს შეიკრიბება და განიხილავს პრეზიდენტის ამ ბრძანებას. ალმასკომმა სადამსჯელო ღონისძიებები რომ შეიძლება შეიცვალოს, ეს კურტანიძემაც განაცხადა. მან არც ის დამალა, რომ მარსაგიშვილს მოსკოვში პირადად კი შეხვდა, მაგრამ დისკვალიფიკაციის შესახებ არაფერი უთქვამს.

ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, რამდენად რეალურია 6-თვიანი დისკვალიფიკაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფალავნები ვერ იჭიდავებენ ვერც დეკემბერში გასამართ საქართველოს ჩემპიონატში და ვერც – ევროპის პირველობაზე. ხომ არ დაზარალდება ამით ეროვნული ნაკრები, როცა მარსაგიშვილი იმავე ევროპირველობაზე გამარჯვების ერთ-ერთი პრეტენდენტია? იქნებ აჯობებდა, ჯერ ფინანსური დასჯით შემოფარგლულიყვნენ, რაკი პირველი შემთხვევაა, ხოლო დისკვალიფიკაციაზე განმეორების შემთხვევაში ეზრუნათ? კურტანიძემ კი თქვა, რომ მათ ეროვნულ ნაკრებთან შეკრებებზე ვარჯიშის საშუალება მიეცემათ, მაგრამ ტურნირში თუ ვერ გამოვლენ, ეს მაინცდამაინც ბევრს არ ნიშნავს. ირანის საკლუბო პირველობა ამ დღეებში მიმდინარეობს და საინტერესოა, რა სასჯელი ელოდა მარსაგიშვილს კონტრაქტის დარღვევის ანუ ნაადრევად წამოსვლის შემთხვევაში? „ვფიქრობ, ნაკრების წევრთა პასუხისმგებლობა აღემატება პირადულს, იმავე დილემის წინაშე იდგნენ ედიშერაშვილი, ხინჩეგაშვილი, ქერაშვილი, რომლებიც გერმანულ და ირანულ კლუბებში გამოდიან, მაგრამ მათ ნაკრების, ქვეყნის ინტერესი პირადულზე მაღლა დააყენეს, რასაც ვაფასებ. ფედერაცია ყველას ხელს უწყობს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, მაგრამ თან გავაფრთხილეთ ისინი, რომ ევროპის თასზე და ევროპის ჩემპიონატში უნდა გამოსულიყვნენ. მათი საქციელით მთელმა გუნდმა დაკარგა ევროპის თასი და არა მხოლოდ პირადად მათ. არა მგონია, ფინანსური ჯარიმა დისკვალიფიკაციის სწორი ალტერნატივა იყოს, რადგან ჩვენ, პირიქით, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ვცდილობთ" - ესეც კურტანიძის სიტყვებია.

პრესკონფერენცია ის-ის იყო, დასრულდა და კურტანიძემაც თავის ოთახს მიაშურა, როცა ფედერაციის შენობაში თავად დავით მარსაგიშვილი შემოიჭრა და ჯერ გენერალურ მდივან **გიორგი ლომიძის** კაბინეტს მიაშურა, იქიდან კი კურტანიძესთან შევიდა, სადაც დაახლოებით ნახევარი საათი დაყო. მისი კაბინეტიდან გამოსულმა მედიისთვის კომენტარი გააკეთა: „მართლაც ცუდი ფაქტი მოხდა და ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვილებ. ეს არ იყო სწორი საქციელი, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ირანში 7 ნოემბერს უნდა მეჭიდავა, 8-ში კი მოსკოვში უნდა გავფრენილიყავი. ირანელებისგან ასეთი ინფორმაცია მქონდა და ამავეს ვეუბნებოდი მწვრთნელებს, მაგრამ მეც მოტყუებული დავრჩი – 8-ში გვაჭიდავეს. ეს ადრევე რომ მცოდნოდა, არ წავიდოდი ირანში და გუნდს გავყვებოდი მოსკოვში. დისკვალიფიკაციის ამბავი მეც ამ წუთებში გავიგე, ამაზე ვესაუბრე კურტანიძეს და ავუხსენი, რაშიც იყო საქმე. ამ დღეებში შეიკრიბება ამ საქმით დაინტერესებული ხალხი და, იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება. დიდი იმედი მაქვს, დისკვალიფიკაცია გაუქმდება. ირანიდან თვითნებურად რომ წამოვსულიყავი, მაშინ კლუბი კონტრაქტს საერთოდ გამიუქმებდა".

ასე იმედიანად გამოვიდა მარსაგიშვილი პრეზიდენტის კაბინეტიდან. ბუნებრივია, ამ აუდიენციის დეტალებზე არავინ საუბრობს, მაგრამ, ალბათ, სპორტსმენს ოპტიმიზმის მიზეზიც აქვს. ყოველ შემთხვევაში, მეგობარს სატელეფონო ზარზე უპასუხა, ყველაფერი დადებითად მოგვარდაო. მის პოზიციებს ისიც ამაგრებს, რომ კურტანიძის გადაწყვეტილებას ფედერაციის წარმომადგენლებიც ზედმეტად მკაცრად მიიჩნევენ და ალმასკომში შემავალი ის რამდენიმე ვეტერანიც, რომლებსაც გუშინ გავესაუბრეთ. ფედერაციის წარმომადგენლები ჯერ კიდევ მარსაგიშვილის გარეთ გამოსვლამდე ვარაუდობდნენ, რომ პრეზიდენტს გადაწყვეტილებას, მინიმუმ, შეარბილებინებდნენ მაინც. როგორც გითხარით, ეს საკითხი საბოლოოდ 17 დეკემბერს გადაწყდება, მანამ თუ რადიკალურადაც არ შეიცვალა ვითარება.



### მესტვირიშვილიც წარადგინეს

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლუკა კურტანიძემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც გაგვაცნო – სახელოვან მწვრთნელთან, ამჟამად ინდოეთში მომუშავე **ვლადიმერ მესტვირიშვილთან** შეთანხმება საბოლოოდ შედგა და ის იანვრიდან თავისუფალ ჭიდაობაში სამივე ასაკობრივი ნაკრების მთავარ მრჩევლად იმუშავებს. კურტანიძის თქმით, ეს საკითხი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანთანაც** შეთანხმებულია და არანაირი პრობლემა არ იქნება. იმედოვნებენ, რომ დაბრკოლებებს ვერც ინდური მხარე შექმნის კონტრაქტის მიუხედავად. მესტვირიშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ჩვენთან ადრევე თქმული, რომ იქაურები ხელშეკრულების ყველა პირობას ვერ ასრულებენ და მისი ოპტიმიზმიც ამითაა განპირობებული, ოღონდ წამოსვლის შესახებ ერთი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს ინდოელები. ამის გაკეთებას კი იანვარში აპირებს და მერე დაბრუნდება საქართველოში. ის ადგილზე დარჩება და აქვე იმუშავებს ჩვენს ნაკრებებთან, მუდმივ რეჟიმში, ოღონდ მისი საკითხიც საბოლოოდ 17 დეკემბრის ალმასკომმა უნდა დაამტკიცოს.

საერთოდ, სხდომას ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მოუწევს. მესტვირიშვილის კანდიდატურის გარდა, მან ორივე სახეობაში ყველა ასაკობრივი ნაკრების განახლებული სამწვრთნელო შტაბებიც უნდა დაამტკიცოს, ამ კუთხით გადაადგილებები კი აუცილებლად რომ მოხდება, კურტანიძემ გუშინაც დაადასტურა. ამასთან, იქმნება ვეტერანთა ნაკრებები „თავისუფალსა" და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში და მათი თავკაცებიც ალმასკომმა უნდა დაამტკიცოს; მოისმინოს და შეაფასოს ფედერაციის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში, რადგან 15 დეკემბერს კურტანიძეს პრეზიდენტად მუშაობის ერთი წელიწადი უსრულდება.

### სატურნირო შეფასებები

გასულ უქმეებზე ჩვენმა მოჭიდავეებმა რამდენიმე უცხოურ ტურნირში იასპარეზეს – ეროვნული გუნდები მოსკოვში ზემოაღნიშნულ „ევროპის ერთა თასზე" გამოვიდნენ, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა კი ერევანში საერთაშორისო შეჯიბრებაში 9 მედალი მოიპოვეს. მათ შორის – 6 ოქროა. კურტანიძემ ამ შეჯიბრებებზეც ისაუბრა და ფალავნებს წარმატება მიულოცა. მან ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვში ევროპის 6-6 საუკეთესო ნაკრები გამოდიოდა, მაგრამ საქართველოს გარდა, ორივე სახეობაში ფინალში გასვლა ვერავინ შეძლო. გულდაწყვეტილი ვარ ფინალში წაგებებით, მაგრამ მადლობელი ვარ ყველა სპორტსმენისაო, განაცხადა მან და იქვე გააკრიტიკა ბერძენ-რომაელთა ნაკრების ხელმძღვანელობა ფინალში დაშვებული საკადრო პრობლემების გამო. მისი თქმით, აჯობებდა, თურქებთან **გიორგი ცირეკიძეს** (84) და **გურამ ფერსელიძეს** (120) ეჭიდავათ. ამ თემაზე პრესკონფერენციის დასასრულს კომენტარი ბერძენ-რომაელთა მთავარ მწვრთნელ **ოთარ ტატიშვილს** ვთხოვეთ: „გარკვეული ხნის წინ გიორგი ცირეკიძეს ტრავმა ჰქონდა – ნეკნი სტკიოდა, ხოლო უშუალოდ ტურნირზე წინა შეხვედრაში თითი იტკინა. მე მას მივეცი საშუალება საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლისა და ფინალში დავაყენე ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელმაც მანამ დამაჯერებლად იასპარეზა. ფერსელიძის შემთხვევაც იგივე იყო – ცოტა ხნის წინ ოპერაცია გაიკეთა და პირველი შეხვედრის შემდეგ მასაც მივეცი დასვენების შანსი. მიმაჩნია, რომ ეს მართებული გადაწყვეტილებები იყო – ამით ახალგაზრდებსაც მივეცი შანსი. ყველაზე მეტად გულდაწყვეტილი მე ვარ, მაგრამ ცოტა წინაც ვიყურები".

პრესკონფერენციაზე კურტანიძე კიდევ ერთხელ დაგვპირდა, რომ სექტემბრიდან საკლუბო ჩემპიონატიც ამოქმედდება და საამისოდ 8 კლუბი შეიქმნება. ეს ძალიან კარგი ამბავია, მაგრამ საინტერესოა მისი დაფინანსების წყაროები – თუ საბიუჯეტო კლუბებზეა ლაპარაკი (არადა, ამ საქმეში ლევან ყიფიანის ხშირი ხსენება ამას გვაფიქრებინებს), მაშინ არც ისე კარგი სისტემაა.

**ირაკლი თავაძე**

სოჭი-2014

## ელჩი გადაწყვეტილებას ვეინონებს

ამ დღეებში საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩვენს ქვეყანაში **სანდორ სზაბო** სტუმრობდა და სეოკ-ის პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვთან** გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შედგა.

როგორც გაირკვა, უნგრელი დიპლომატისთვის სპორტი უცხო ხილი არ ყოფილა და საკმაოდ კარგად არის გათვითცნობიერებული ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. თავის დროზე პროფესიონალი ფეხბურთელი, მეკარე იყო, კარგად იცნობდა **დავით ყიფიანს**.

სეოკ-ში სტუმრობისას ელჩი სოჭის ოლიმპიადასაც შეეხო. აი, რა თქვა მან:

„ბოლო დროს, სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით აჟიოტაჟია ატეხილი და გვინდა არ გვინდა საზოგადოების ნაწილი მას პოლიტიკური კუთხით უყურებს. პირადად ჩემთვის მიუღებელია სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთთან გაიგივება და ვფიქრობ, მართებულია, რომ მოახლოებულ ზამთრის თამაშებს ბოიკოტს არ ვუცხადებთ. კონფრონტაცია არაფერს მოიტანს. ალბათ თქვენი დელეგაციის უსაფრთხოებაც გარანტირებული იქნება. ზამთრის სპორტი დიდად არც უნგრეთშია განვითარებული და ოლიმპიადებზე მაქსიმუმ 10 სპორტსმენით ვმონაწილეობთ.

ეს ჩვენი პირველი შეხვედრაა და, იმედი მაქვს, არა უკანასკნელი. მინდა ქართულ სპორტს წარმატებები ვუსურვო" – აღნიშნა უნგრელმა დიპლომატმა.

სუმო

## ზედიზედ მესამე მარცხი

ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია ნოემბრის ბაშოზე **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. ჩვენებური დოჰიოზე სუკუინაგეს ილეთით **სადანოფუჯიმ** დააგდო. გაგამარუს 1-3 ბალანსი აქვს და მისი მომდევნო მეტოქე ასეთივე ბალანსის მქონე **ოსუნაარაშია**.

ბაშოს ზედიზედ მეორე ოძეკი გამოაკლდა ტრავმის გამო, **კოტოშოგიკუს** ბულგარელი **კოტოოშუ** მიყვა. თანაკლუბელისგან განსხვავებით კოტოოშუს ბაშოზე დაბრუნების შანსი აქვს.

**IV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (სუსოტორი), ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (იორიკირი), მიოგირიუ-კოტოოშუ (უბრძოლველად), კისენოსატო-ოკინოუმი (იორიკირი), კაკურიუ-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), გოეიდო-შოჰოზანი (ჰიკიოტოში), სადანოფუჯი-გაგამარუ (სუკუინაგე).

**V დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ, კისენოსატო-კიოკუტენჰო, კაკურიუ-მიოგირიუ, გოეიდო-ამინიშიკი, გაგამარუ-ოსუნაარაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბალახის ჰოკეი

# ფესტივალი წყნეთში

„მე მიყვარს ჰოკეი" ასეთი დევიზით ჩატარდა ბავშვთა ფესტივალი ბალახის ჰოკეიში, რომელსაც 11-12 ნოემბერს წყნეთში ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის სპორტულმა ბაზამ უმასპინძლა. საქართველოს ჰოკეის ფერედაციის მიერ ორგანიზებულ ამ ფესტივალში თბილისის, ქუთაისის, აბაშისა და ჩოხატაურის ჰოკეისტებმა მიიღეს მონაწილეობა.

პირველ დღეს სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა ფესტივალში მონაწილე ბავშვებთან, რომლებიც გაეცნენ საქართველოში ჰოკეის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, მათ აჩვენეს სხვადასხვა ვიდეო რგოლი.

მეორე დღეს სპორტსმენებმა მოედანზე გადაინაცვლეს და გაიმართა საჩვენებელი შეჯიბრებები.

**ავთო თევდორაძე** (საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი): „მადლობა სკოლის გენერალურ დირექტორს, ყინულის ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **სანდრო ვაშაკიძეს**. მისი ხელშეწყობით ჩვენმა ფედერაციამ ბაქსვუდის სკოლის სპორტულ ბაზაზე წლეულს რამდენიმე შეჯიბრება ჩაატარა. საყურადღებოა, რომ ხსენებულ სკოლაში ბალახის ჰოკეი, როგორც საგანი ისწავლება.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ბედი გვეწვევა, გვექნება თუ არა საშუალება, რომ ევროტურნირებზე ჩვენმა გუნდებმა იასპარეზონ. იანვარში კონტინენტის პირველობაა, ჩვენი მონაწილეობა კი ფინანსებთან არის დაკავშირებული. იმედია, სპორტის სამინისტრო მომავალი წლიდან უფრო აქტიურად დაუჭერს მხარს ჩვენს ფედეარციას და ჰოკეის განვითარებასაც შეუწყობს ხელს".

**დავით კოხრეიძე**



ხელბურთი

# ალმოსავლეთმა გუშინ დაიწყო

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობს. ორგანიზატორებმა ისინი ორ ჯგუფში გაანთესეს. ალმოსავლეთ ჯგუფში თამაშობენ სტუ, „პეგასი", „იმედი" და თელავი, ხოლო დასავლეთისაში - ბათუმი, სამტრედია, ქუთაისი და 1998-1999 წლებში დაბადებულთა ნაკრები (ამ ჯგუფის შეჯიბრებებს 19-21 ნოემბერს სენაკი უმასპინძლებს). ოქტომბრის მეორე დეკადაში პირველი წრის პაექრობებში ალმოსავლელები დასავლეთელებს დაუპირისპირდნენ. სულ 4-4 მატჩი გამართეს. 8 ქულით სტუ (ბურთები-129:105) ლიდერობს. 6-6 ქულა აქვთ ბათუმსა (151:122) და სამტრედიას (135:116). შემდეგ მოდიან: „იმედი" - 4 (122:133), ქუთაისი - 3 (112:126), ნაკრები - 2 (107:115), „პეგასი" - 2 (124:141), თელავი - 1 (104:126). გუშინ „არენაში" ალმოსავლეთი ჯგუფის წარმომადგენლებმა შეჯიბრება განაახლეს.



**სტუ-პეგასი 46:27**

**სტუ:** ცერცვაძე, ხიდეშელი, ანდრიაძე, სიმონია (9), სურმავა (7), ორჯონიკიძე (6), ამირანაშვილი (5), გოგოლაძე (5), ბერძენიშვილი (3), გვაზავა (3), აბრამიშვილი (3), გრიშიკაშვილი (2), მსხვილიძე (2), სტურუა (1), ლ. არსენაშვილი, გოგალაძე

**პეგასი:** ცინცაძე, ნარსია, ა. ცხვარაშვილი (10), კოხრეიძე (5), ტ. კალანდაძე (4), აბჟანდაძე (2), დიხამინჯია (2), გელაშვილი (2), ცუხიშვილი (1), დემეტრაშვილი (1), ბაძალუა, მაისურაძე, ქუთათელაძე, ნატროშვილი, ი. ცხვარაშვილი, ზარნაძე.

**მსაჯები:** ელენე არაბული , ინა ჭკუასელი.

მატჩი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონების შეტევებით დაიწყო და მათ მალევე ხელთ იგდეს ორთაბრძოლის სადავეები. პეგასელებს მეტოქის გარღვევების შეჩერება გაუჭირდათ. მოიერიშეებში განსაკუთრებით ქვეყნის ნაკრების წევრები გამოირჩეოდნენ. სტუ-მ პირველი ტაიმი 9 ბურთის სხვაობით მოიგო. ჩემპიონებს ინიციატივა შესვენების შემდეგაც არ დაუთმიათ და გათამაშების ცხრილში მე-5 გამარჯვება ჩაიწერეს - 46:27.

გუშინვე თბილისის „იმედმა" აუტსაიდერი თელავი დაამარცხა - 29:20 და მონაგარი 2 ქულით გაიმდიდრა.

**იმედი-თელავი 29:20**

**იმედი:** მღებრიშვილი, ლორია, მამულაშვილი, ბეჟანიშვილი (7), რუსტამოვი (5), იობაშვილი (4), მძელური (4), ალანია (2), გიორგაძე (2), ჩიკვილაძე (2), აბაშიძე (1), გოთოშია (1), თაბაგარი (1), ი. კალანდაძე მაჭარაშვილი, ჩაკვეტაძე.

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, წვერიკმაზაშვილი, ანდრიაშვილი (7), გიორგელაშვილი (4), მაისაშვილი (4), გიგაური (1), მღებრიშვილი (1), ნ. სვიმონიშვილი (1), ი. სამიტაშვილი (1), იაგორაშვილი (1), ბინკინაშვილი, ცისკარიშვილი, ბეჟაშვილი, დიდებაშვილი.

**მსაჯები:** გია ბროლაძე, ზურაბ ქოქოსაძე.

დღეს „არენაში" ითამაშებენ: თელავი-სტუ, „პეგასი"-„იმედი". 15 ნოემბერს - „პეგასი"-თელავი, სტუ-„იმედი".

## სემინარი დასრულდა

ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით საქართველოში იმყოფებოდა ხელბურთის საერთაშორისო ექსპერტი, კონგსვინგერის სახელბურთო აკადემიის პრეზიდენტი, ნორვეგიელი **იგორ შესტაკოვი**, რომელმაც ქართველი მწვრთნელებისთვის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატარა. სემინარში მონაწილე ოცამდე მწვრთნელმა სასწავლო კურსის პირველი დონის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო.

მეცადინეობების დამთავრების შემდეგ შესტაკოვი ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **ზურაბ კაკაბაძესა** და სპორტის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ **გურამ ძაგანიასთან** ერთად სპორტის სამინისტროში მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძესა** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ირაკლი დოლაბერიძეს** შეხვდა. საუბარი სამომავლო თანამშრომლობას და სასწავლო კურსის გაგრძელებასაც შეეხო.

## ოთხი ათეული წლის შემდეგ

2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის დასავლეთის ჯგუფის წარმომადგენელთა მე-2 ტურის საშემოდგომო ეტაპის ორთაბრძოლები სენაკში გაიმართა. ოთხი გუნდი უნდა დაპირისპირებოდა ერთმანეთს, მაგრამ სამტრედიელებმა საასპარეზოდ ჩასვლა ვერ მოახერხეს. მათ ნაცვლად ტურნირში უკონკურსოდ ჩართეს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის გუნდი, რომელსაც ფიზალზრდის მასწავლებელი **არჩილ ჯლამაია** ავარჯიშებს. საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ სენაკელებმა ამ დონის შეჯიბრებაში, ფაქტობრივად, პირველად მოსინჯეს ძალები. მართალია, მათ სადებიუტო ტურნირის სამივე პაექრობა დათმეს, მაგრამ ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. რაც მთავარია, საკუთარ კედლებში გამართული მატჩები სამომავლოდ ნოსირელთა გამოცდილების გასამდიდრებლად სასურველ შედეგს გამოიღებს. ახლა კი სენაკში ჩატარებული ორთაბრძოლების შედეგებს გაუწყებთ: ქუთაისი-სენაკი 34:16, ზუგდიდი-ფოთი 21:17, ფოთი-ქუთაისი 23:24, სენაკი-ზუგდიდი 10:15, ფოთი-სენაკი 25:16, ზუგდიდი-ქუთაისი 16:17.

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

## დუელი მეწყვილესთან ელის

თბილისელი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** მინსკის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მე-5 ნომრადაა განთესილი. სტარტზე მარგარიტა ლაზარევას (რუსეთი) ძლევის შემდეგ გუშინ მე-2 წრეში ჩვენებურმა განა პოზნიხირენკო (უკრაინა) დაამარცხა-6:3, 6:4 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ტურნირის მე-4 ნომერ ანატასია ვასილიევას (უკრაინა) გაუწევს მეტოქეობას (ამ უკანასკნელმა თანამემამულე ანჰელინა კანინას აჯობა - 6:3, 6:1). ისინი აქამდე ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: 2008 წელს უზბეკურ ნამანგანში შაფათავამ იმარჯვა-7:5, 6:4, მომდევნო წელს კარჩისა (უზბეკეთი, 4:6, 0:6) და 2013 წლის მოსკოვის (სამივე-25.000-იანი) ტურნირებზე (0:6, 0:3) ვასილიევამ მიაღწია წარმატებას. ასე რომ, შაფათავას რევანში აქვს ასაღები. არადა, ჩვენებური წყვილებში სწორედ ვასილიევასთან არის შეამხანაგებული და გუშინ მეოთხედფინალში მასთან ერთად ანასტასია ფროლოვა (რუსეთი) და ვალერია სტრახოვა (უკრაინა) დაამარცხა - 6:2, 6:4 და ნახევარფინალში გავიდა. იქ კი რეიტინგფავორიტ ბელარუსებს - ილონა კრემენსა და ალიაქსანდრა სასნოვიჩთან გაარკვევს ურთიერთობას.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ითამაშებენ: ანა დანილინა (ყაზახეთი), ოლგა დოროშინა (რუსეთი) - ოლგა ივანჩუკი (უკრაინა), პოლინა ლეიკინა (რუსეთი).

## ბასილაშვილმა გაასამა

რუსი ჩოგბურთელი ანდრეი პლოტნი თბილისელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**, შეიძლება ითქვას, კორტებზე ნამდვილად დაიჩიავა: 2009 წელს უზბეკეთში აჯობა 7:6, 6:4, ერთი კვირის წინათ ანტალიაში ჩამოიშორა გზიდან და აი, გუშინ ამ საკურორტო ქალაქში ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის სტარტზე მე-2 ნომრად განთესილმა ბასილაშვილმა პლოტნის ორ სეტში მოუგო- 7:6, 6:4. მეორე წრეში ქართველის მეტოქე რუმინელი დრაგოშ დიმა იქნება. ისინი პირველად შეხვდებიან ერთმანეთს.

წყვილებში ბასილაშვილი მილან სეკიჩთან (სერბეთი) ერთად ცდის ძალებს და აქაც მეორე ნომერია. ქართულ-სერბულმა დუეტმა სტარტზე, როგორც გაუწყეთ, ვიქტორ ფილიპენკო (უნგრეთი) და იაჰორ იატისიკი (ბელარუსი) დაჯაბნა- 6:4, 6:3, გუშინ კი უკრაინულ-რუმინული ტანდემი (გლებ ალექსეენკო, კიპრიან ალექსანდრუ პორუმბი) ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 7:5 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ალექსის კლეგუს (ბენინი) და კოლინ ვან ბეემის (ჰოლანდია) დუეტი ელოდება. მეორე ნახევარფინალში ანდრეი კიუმასი (მოლდოვა), კირილ დმიტრიევი (რუსეთი) და ტომ შონენბერგი, მატიას უენერი (ორივე-გერმანია) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.



ნიკოლოზ ბასილაშვილი

## წყვილებს გამოეთიშა

თბილისელი **ალექსანდრე ბაკში** ისრაელის ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობს. მან წარმატებით აიღო სტარტი - ერთეულებში მასპინძელ ემილ საველიევს მოუგო (6:1, 6:2), წყვილებში კი ბენ ფატაელთან (ისრაელი) ერთად ამით და როი ბარანები დაამარცხა, მეორე წრეში კი პატნიორის ტრავმის გამო ოლექსი კოლისნიკსა და ალექსანდ ლებედინთან (ორივე-უკრაინა) სათამაშოდ ველარ გავიდა კორტზე.

## კორტებზე მოზარდები

12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ საქართველოს პირველობაში, რომელიც კლუბ „დილა 90"-ისა და სამედიცინო უნივერსიტეტის საჩოგბურთო კორტებზე გაიმართა. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**12-წლიანები. გოგონები.** 1. ია სალუქვაძე, 2. ნინი ნაცვლიშვილი, 3. დალილა ქადარია. **ბიჭები.** 1. ნიკოლოზ ევგენიძე, 2. ლაშა-გიორგი კიკვაძე, 3. ცოტნე ძიმისტარიშვილი.

**14-წლიანები. გოგონები.** 1. ანა შანიძე, 2. მარიამ დალაქიშვილი, 3. ნინო ნასიბიანი. **ბიჭები.** 1. ნიკოლოზ დაელიანი, 2. ზურაბ ტყემალაძე, 3. დავით ჭელიძე.

**16-წლიანები. გოგონები.** 1 მედეა პეტრიაშვილი, 2. ნინი მემიშიში, 3. ანა მუჯირი. **ვაჟები.** 1. ვაჟა შუბლაძე, 2. ირაკლი მეტრეველი, 3. გუგა თავაძე.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

ჭადრაკი

# ლიდერთა ჯგუფს ორი ქართველი შემორჩა

კიდევ ერთი ტური და ინდურ ჩენაიში დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. გუშინ ბოლოსწინა მე-10 ტურის შეხვედრები გაიმართა. მეწინავენი რისკს მოერიდნენ და დაზავდნენ. კერძოდ, ერთპიროვნული ლიდერი ანი მარი გომესი (ინდოეთი) თანამემამულე შვათი ჩეიტს შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს **ქეთი ნაწალაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი.** საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ნიშა მოჰოტა (ინდოეთი)-სუბარმან ვიჯაიალაქშმი (ინდოეთი) 0:1, სუბარმან მეენაქში (ინდოეთი)-ინა ივახინოვა (რუსეთი) 1:0, ბჰაქტი კულკარნი (ინდოეთი)-სვამინათან სოუმია (ინდოეთი) 0:1, მანიშა კისანი (ინდოეთი)-სოფიო გურამიშვილი 0,5:0,5, ნიფისა მუმინოვა (უზბეკეთი)-მაკა ფურცელაძე 1:0, კარინა ამბარცუმოვა (რუსეთი)-ლასია (ინდოეთი) 1:0.



ქეთი ნაწალაშვილი

10 ტურის შემდეგ 8 ქულით გომესი ლიდერობს. 7,5-7,5 ქულით მეორე-მეექვსე ადგილებს ბაციაშვილი, ვიჯიალაქშმი, ნაწალაშვილი, ჩეიტი და მეენაქში იყოფენ. მე-13 ადგილზე მყოფ **გურამიშვილს** 6,5 ქულა აქვს, ექვსქულიან **ფურცელაძეს** გათამაშების ცხრილში მე-19 ადგილი უკავია.

დღეს ბოლო მე-11 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: გომესი-ნაწალაშვილი, ბაციაშვილი-მეენაქში, ვიჯაია ლაქშმი-ჩეიტი, სოუმია- ამბარცუმოვა, მარია გევორქიანი-ნაფისა მუმინოვა... სოფიკო გურამიშვილი-გულრუხბეგიმ ტოხარჯინოვა (უზბეკეთი), მაკა ფურცელაძე-ვაიშალი.

## ვაზუსტებთ!

„ლელოს" 12 ნოემბრის ნომერში მე-11 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში „სარეიტინგო ტურნირი ქარელში", გოგონების კვარცხლბეკში უნდა იკითხებოდეს: 48 კგ. 1. მარიამ თოლუა (თბილისი), 2. ნინო მგელაძე (აჭარა)...

## ცომაიას ორიდან ორი

ოთხი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს ხორვატიულ ოპატიაში სენიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში. ესენი არიან - ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსგავსი შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი თამარ ხმიადაშვილი, ნინო მელაშვილი და სერგო ცომაია. ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ზედიზედ ორი პარტია მოიგო - ჯერ რუმინელ ადრიან-ფლორიან დუკსოპრასთან, გუშინ კი გეირ ჰარესტადი (ნორვეგია) დაამარცხა.

მანდილოსანთაგან ნონა გაფრინდაშვილმა ორივე პარტია ყაიმით დაასრულა - ლარისა ხროპოვასა და ჰელენ მილიგანთან (ახალი ზელანდია). თამარ ხმიადაშვილმა და ნინო მელაშვილმა სასტარტო შეხვედრებში, შესაბამისად, მარტა ბალიუნინეს (ლიტვა) და ტამარა კორნეევას (რუსეთი) აჯობეს, გუშინ კი წილისყრამ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა. ქართული დერბი ყაიმით დასრულდა.

ჩემპიონატზე ქალები 9, კაცები კი 11 ტურში გამოავლენენ გამარჯვებულსა და პრიზიორებს. დღეს მესამე ტურში ქართველები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: მარტინა ბელცი (გერმანია)-ხმიქადაშვილი, მელაშვილი-ინგრიდ ლაუტერბახი (ინგლისი), ელენა აფანასიევა (რუსეთი)-გაფრინდაშვიკი. 2 ქულით ქალებში ნატალია ტიტორენკო რუსეთი) დაწინაურდა, მამაკაცებში უდანაკარგოდ 25 მოჭადრაკე ლიდერობს. მათ შორისაა ცომაია, რომელიც მე-3 ტურში იორგენ იორგენს (დანია) შეხვდება.

სუპერლიგა 2012-13

# აკაკი, იმერეთი...

**სპორტის სასახლეში გუშინ სამი მატჩი გაიმართა, რომელთაგან ორში მეორე ტაიმი ფორმალური ხასიათისა იყო, ხოლო „შსს აკადემიისა“ და „ქუთაისის“ დაპირისპირებაში აკაკი დვალიშვილის წინამძღოლობით დაძაბულ ბრძოლაში იმერლებმა იმარჯვეს.**


ოლიმპი-არმია

13 ნოემბერი, თბილისი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 73 |
| 22:23, 8:31, 18:22, 25:20 | |
| არმია | 96 |

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (3ქ), ნადირაძე (2ქ), მიქელაძე (1ქ), თავართქილაძე (3ქ), გოგოძე (18ქ), ხანიაშვილი (17ქ, 5მ), თენიეშვილი (2ქ, 2დ), ათანელიშვილი (12ქ, 10მ, 3პ), ხიზანიშვილი (9ქ), ლომიძე (6ქ).

**არმია:** ბაბუნაშვილი (11ქ, 6პ), ბაბიაშვილი (15ქ, 9მ), ბოისა (6ქ), ბერიშვილი (5ქ, 5მ), კვიმსაძე (7ქ, 6მ, 3პ), ჯგერენაია (16ქ, 5მ), წივნივაძე (9ქ, 7პ, 6მ), შარაბიძე (16ქ, 6მ), ტუჯანი (4ქ, 9მ), ჩაჩიბაია (4ქ), კვიდია (3ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მოლოდინაშვილი.

**გადამწყვეტი.** მე-14 წუთამდე „ოლიმპი“ „არმიას“ მეტ-ნაკლებად უძალიანდებოდა, მომდევნო 10 წუთში კი 6:32 წააგო და მესამე პერიოდისთვის არმიელთა უპირატესობამ +35 ქულას მიაღწია.

**სტატისტიკა არ ტყუის.** „მოხსნებში მეტოქე 62:38 რომ გაჯობებს, რომელ მოგებაზეუნდა ილაპარაკო?!“ - თქვა ნამატჩევს „ოლიმპის“ თავკაცმა **დავით თორთლაძემ.**

**გამორჩეული.** გამოცდილმა **ზვიად ბაბიაშვილმა** 15 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. 9-დან 7 მოხსნა მან მეტოქის ფარზე მიითვალა.

13 ნოემბერი, თბილისი

| | |
|---|---|
| შსს | 64 |
| 15:18, 16:20, 18:15, 15:22 | |
| ქუთაისი | 75 |

**შსს აკადემია:** ჩიკვილაძე (14ქ, 4პ), ლაფანაშვილი, ბოქოლიშვილი (14ქ, 5მ, 4პ), ლონდარიძე (14ქ, 7მ), ლომოური, უგრეხელიძე (10ქ, 11მ), როგავა (10ქ, 4პ), ტომარაძე (2ქ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (5ქ, 7მ, 5პ), გრძელიძე (7ქ, 3პ), დიდია (2ქ, 5პ), ცეკვავა (4ქ, 8მ, 6პ, 3ჩ), ცირეკიძე, დ. ბარბაქაძე (16ქ, 7მ), ლომინაშვილი (8ქ), გ. ბარბაქაძე (11ქ, 5მ), ა. დვალიშვილი (22ქ, 9მ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე, გ. მოლოდინაშვილი.

**გადამწყვეტი.** მეოთხე პერიოდის დასაწყისში **ლომინაშვილი-დიდია-დვალიშვილის** ტრიოს ქულებით „ქუთაისი“ 8:0 გაიქცა და 61:49 დაწინაურდა. ამის შემდეგ შსს-ს თამაშის შემოტრიალებისთვის ძალა აღარ ეყო.

**სტატისტიკა არ ტყუის.** მატჩის წინ აკადემიელთა მწვრთნელმა **დრაგან პეტრიჩევიჩმა** თქვა: სწრაფი თამაში იქნება და ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, ის მოიგებსო. მისმა გუნდმა 13 შეცდომა დაუშვა, მეტოქემ - 17, მაგრამ მოწინააღმდეგის დაკარგვებით უკეთესად ისარგებლეს ქუთათურებმა და 16 ქულა ჩააგდეს. მაშინ, როცა შსს-მ იმერელთა შეცდომებით მხოლოდ 8 ქულა „გამოადნო“.

**გამორჩეული.** აკაკი დვალიშვილი შეუჩერებელი იყო. იგი შორი დისტანციიდანაც ზუსტად სტყორცნიდა და ფარქვეშიდანაც, 12-დან 10 ორქულიანი გამოიყენა და 22 ქულამდე ავიდა.


შსს აკადემია-ქუთაისი

13 ნოემბერი, თბილისი

| | |
|---|---|
| მაქაბი | 61 |
| 9:27, 9:26, 19:21, 24:21 | |
| დინამო | 95 |

**მაქაბი:** ტეტელაშვილი (8ქ, 8მ, 2დ), გულმაგარაშვილი, მეგენეიშვილი (4ქ, 6მ, 5პ), სულაბერიძე (6ქ, 5მ), ელბაქიძე, პატარაია, ბეშქენაძე (4ქ), ლ. რევაზაშვილი (14ქ, 7მ), ფერიაშვილი (21ქ, 11მ), ბუთხუზი, ნანიტაშვილი (4ქ).

**დინამო:** ს. ლეჟავა (5ქ), კარტერი (16ქ, 9მ), ბ. ლეჟავა (16ქ, 6მ, 6პ), ვახანია (5ქ), ბიბილური (2ქ), ლილუაშვილი (2ქ, 5პ), მილოშევიჩი (12ქ), პეშიჩი (20ქ, 8მ, 3პ), ანთაძე (6ქ, 6მ), ორმოცაძე (7ქ, 6მ), თვალაბეიშვილი (4ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. ვართანოვი, მ. ანდღულაძე.


მაქაბი-დინამო

**გადამწყვეტი.** 10 წუთის შემდეგ „დინამო“ უკვე 27:9-ს იგებდა...

**სტატისტიკა არ ტყუის.** დინამოელებმა 10 სამქულიანი გამოიყენეს, მაქაბელებმა - 0...

**გამორჩეული.** ორმაგი დუბლი შეასრულა **ფერიაშვილმა** (21 ქულა, 11 მოხსნა), ხოლო ვიცე-ბომბარდირი **პესიჩი** გახდა - 20 წუთში ამდენივე ქულა...

დღეს ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართება. ზღვისპირელები „სოხუმს“ მიიღებენ.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 5 | 5 | 0 | 429/311 | 10 |
| 2. ქუთაისი | 5 | 4 | 1 | 458/344 | 9 |
| 3. დინამო | 4 | 4 | 0 | 357/279 | 8 |
| 4. შსს აკადემია | 4 | 2 | 2 | 291/287 | 6 |
| 5. ბათუმი-რსუ | 4 | 2 | 2 | 346/337 | 6 |
| 6. ოლიმპი | 4 | 1 | 3 | 314/345 | 5 |
| 7. მაკაბი | 5 | 0 | 5 | 344/511 | 5 |
| 8. რუსთავი | 4 | 0 | 4 | 224/351 | 4 |
| 9. სოხუმი | 3 | 1 | 2 | 198/196 | 4 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*

შეხვედრა

# გამგეობამ შეხვედრები დაასრულა

სასტუმრო „რედისონში“ ფედერაციის გამგეობის წევრებისა და მწვრთნელების შეხვედრაზე საინტერესო განცხადებები გაკეთდა. მწვრთნელებმა საკუთარი აზრი დააფიქსირეს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, გამგეობის თავმჯდომარემ, ბესიკ ლიპარტელიანმა კი დეტალურად გასცა პასუხი დასმულ კითხვებსა და წინადადებებს.

გელა წულაძე, ასაკობრივი ნაკრებების ტექნიკური დირექტორი, მწვრთნელი:

- ასაკობრივი ნაკრებების დანიშნულება ის არის, რომ ბავშვები მოამზადოს დიდი ნაკრებისთვის. პარალელურად თუკი შედეგსაც აჩვენებს, ეს ძალიან კარგი იქნება. ვიღაცასთვის შეიძლება იყოს ეს შედეგი, ვიღაცასთვის - არა, მაგრამ 20-წლამდელებმა 2-ჯერ მოახერხეს ევროპის ჩემპიონატზე გასვლა. არიან ქვეყნები, რომლებიც იმაზე არიან დამოკიდებულნი, ეყოლებათ თუ არა ნიჭიერი თაობა. ხან გადადიან ელიტაში, ხანაც ვარდებიან. ნაკრებების გამართული ფუნქციონირება, მომზადება არის ძირითადად მწვრთნელების დამსახურება. იყო დრო, როცა ნაკრებები არ გვყავდა, ახლა კი ფედერაციას ისე აქვს დალაგებული სიტუაცია, რომ სეზონის წინ ყველაფერი დაგეგმილია, ტურნირები, მოსამზადებელი შეკრებები, ეს სისტემა გამართულია და ვილაცას თუ არ უნდა ამის დანახვა, ეს მისი პრობლემაა...

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

- ფედერაცია უკანონობას არც აქამდე სჩადიოდა და არც მომავალში ჩაიდენს. ამის საშუალებას ელემენტარულად კანონმდებლობა არ მოგვცემს. ეს დებულება, რომელიც მოქმედია, დამიჯერეთ, სრულ შესაბამისობაშია კანონთან. ხოლო ის წესდება, რომელიც ჩვენ ფიბა-სთან და ქართველ იურისტებთან კონსულტაციით მივიღეთ, 10 აგვისტოს დანიშნულ ყრილობაზე არ დაგვამტკიცებინეს. რატომ გააკეთეს ეს, მხოლოდ ერთი მიზეზია. ჩვენ არ დავთანხმდით წესდებაში იმ პუნქტის ჩადებას, რითაც ისინი სრულად გააკონტროლებდნენ საარჩევნო პროცესს. მიშა ახვლედიანს და მინისტრს სურდა, რომ კლუბებისთვის მიგვეცა 3-3 ხმის უფლება. ამით ისინი გარანტიას მიიღებდნენ, არჩევნებში სასურველი კანდიდატის გასაყვანად...

ამას ჩვენ არ დავთანხმდით, რადგან საქართველოში, თუკი 3-4-ს არ ჩავთვლით, სტაბილური კლუბი არ არსებობს. შეიქმნება სუპერლიგის გუნდი და 2 წელიწადში იშლება. სამწუხაროდ, ასეთია რეალობა. ანდაც დღევანდელი სიტუაცია ავიღოთ. კლუბების 70 პროცენტს გამოცვლილი ჰყავთ მენეჯერები, რომლებიც მომავალ წელს ან იქნებიან, ან - არა. ასეთ ხალხს უნდა ავარჩევინოთ პრეზიდენტი და არა ისეთებს, როგორებიც დარბაზებიდან არ გამოდიან, მუშაობენ და ოფლს ღვრიან?! მიშა ახვლედიანს ერთადერთ კოზირად ის თუ ექნება და ამის დიდი იმედი აქვს, რომ სამინისტროს დახმარებით ქართული კალათბურთის სადავეებს ხელში ჩაიგდებს. ამას ის ვერ გააკეთებს, ამაში დამერწმუნეთ, რადგან პრეზიდენტი საკალათბურთო სამყაროს ასარჩევია და არა მინისტრის დასანიშნი.

**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი,** 14-წლამდელთა ნაკრებისა და კლუბ „ჰიუნდაის“ მწვრთნელი:

- სამწუხაროა, რომ თავად იმ მხარემ გაყო 2 ნაწილად როგორც საკალათბურთო სამყაროს სხვა ფენები, ისე - მწვრთნელები. მოაწყვეს შეკრება, სადაც ჩემთვის და ბევრი სხვა მწვრთნელისთვის არ დაუძახიათ. ხელი მოაწერინეს რაღაც დოკუმენტზე, რაც შემდეგ ინტერნეტში გამოქვეყნდა. ეს ნახეს ჩვენი გუნდის, „ჰიუნდაის“ ბავშვებმა და იქ არც ჩემი, არც ზურა ტომარაძის და არც ერთი მათთვის ნაცნობი მწვრთნელის ხემოწერა არ იყო. ესე არ შეიძლება, საკუთარი შეხედულებისამებრ ადამიანების დაყოფა მიუღებელია. დავით თორთლაძემ პირადად დაურეკა იმ მწვრთნელებს, რომლებიც იქ მივიდნენ. ჩვენ რატომ არ დაგვირეკა? დაერეკა და მივიდოდით. თან გამოდიან და ტელევიზიით შეურაცხყოფას გვაყენებენ. ყველაფერ ამის შემდეგ, მათ რომ შევხვდებით, თვალებში როგორ უნდა შემოგვხედონ.

**კახა შენგელია,** ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი:

- მიშა ახვლედიანს და „კალათბურთელთა კავშირს“ კლუბების შეცდომაში შეყვანა უნდოდა, გუნდებს ხელი მოაწერინა იმაზე, რომ თუკი ფედერაცია არ აღიარებს, რომ 10 აგვისტოს ყრილობის წინ ძალადობა არ იყო და ბოდიშს არ მოუხდის დელეგატებს, შეხვედრას აზრი არ ექნებაო. ანუ ეს იყო ხელის მოწერა გამგეობასთან შეხვედრის საწინააღმდეგოდ. მეორე დღეს კი გამოდის საყვარელიძე და კლუბების მხრიდან ბოიკოტზე, ფედერაციასთან კონფლიქტზე და ალტერნატიულ ლიგაზე საუბრობს. ეს არის პროვოკაცია და გუნდების შეცდომაში შეყვანა.

**ჯამლეტ ხუხაშვილი,** „მაქაბის“ პრეზიდენტი და მწვრთნელი:

- ძალიან ცუდი გააკეთა საყვარელიძემ, ეგრე თუ მოიქცა. „მაქაბი“ და არც სხვა გუნდები არანაირ ბოიკოტს არ ვაცხადებთ. ჩვენ ვთამაშობთ სუპერლიგაში და ვითამაშებთ. რაც შეეხება ძალადობას, ჩემზე არანაირი ძალადობა არ ყოფილა და ვიმეორებ, დღეს რომ არჩევნები იყოს, მხარს ბესიკ ლიპარტელიანს დავუჭერდი. უბრალოდ, ის 3 პუნქტი გაითვალისწინეთ წესდებაში, რომელიც სამინისტროს მიერ მიღებულ წესდების ვარიანტზე იყო ყვითლად ხაზგასმული“.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

- ბატონო ჯამლეტ, მე აგიხსნით, რა იყო ის ყვითელი ხაზები. „კალათბურთელთა კავშირს“ იურისტმა ანთაძემ დაწერა ეს ყველაფერი, მიაწოდა სამინისტროს, რომელმაც თავის ბლანკზე გადაიტანა და მიაწოდა კლუბებს, რომ თითქოს ფედერაცია სჩადის უკანონობას და თქვენ ამის თანამონაწილეები ხართო. ასე შეიყვანეს შეცდომაში კლუბების ხელმძღვანელები. ის რომ წაიკითხო, რაც იქ ეწერა, მართლაც იფიქრებდი, რომ ჩვენ უკანონობას ჩავდივართ, მაგრამ ეს ქვეყანა ჩალით არაა დაფარული. მე დანამდვილებით ვიცი, სამინისტროს ბლანკს და სახელს იყენებდნენ და დელეგატებს ატყუებდნენ, თითქოს ფედერაცია ფიბა-ს რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება. ქუთაისში, გამგეობასთან შეხვედრაზე მამუკა ჩიხლაძემ დამისვა სწორედ ასეთი შეკითხვა, რომ სამინისტროსგან მიღებულ წესდების ვარიანტში ისეთი რამეები ეწერა, რაც ჩვენი წესდების ვარიანტში ვერ აღმოაჩინა. პირდაპირ განაცხადა, შეცდომაში ვიყავი შეყვანილიო.

**ზაზა გაბისონია,** ქვემო ქართლის ფედერაციის გამგეობის წევრი, მწვრთნელი:

- მაინტერესებს, რატომ გაანთავისუფლეს კლუბებიდან ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები - მიხეილ ბერუაშვილი, გია კაზანჯიანი, დავით უსტიაშვილი. ან რატომ დაითხოვეს სტუ-ს მწვრთნელი ზურა ტომარაძე, რომელსაც ნიკოლოზ დერიუგინი ჩაანაცვლეს.

**დავით უსტიაშვილი,** 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

- ეროვნულ ნაკრებში ვიყავით შეკრებაზე, ევროპის ჩემპიონატი 2 კვირაში იწყებოდა, როცა გავიგე რომ კოტე ტუღუში „არმიიდან“ გაათავისუფლეს. მერე კოტეს ამბავი მოგვარდა და მე განმიცხადეს, რომ „ქუთაისის“ მწვრთნელი აღარ ვიქნებოდი. რომ ვიკითხე, ვინ და რის გამო გამიშვა-მეთქი, მიპასუხეს, რომ საიდანაც გვაფინანსებენ, იქ მიიღეს ეს გადაწყვეტილებაო. „ქუთაისს“ ქალაქის მუნიციპალიტეტი აფინანსებს, „რუსთავს“, საიდანაც ბერუაშვილი გაუშვეს, რუსთავის მერია, ხოლო კაზანჯიანის გამშვებ „ოლიმპს“ სპორტის სამინისტრო. რა მიხვედრა უნდა, რომ სახელმწიფო დოტაციაზე მყოფ გუნდებზე ხელი სამინისტროს მიუწვდება. ყველაფერი ნათელია.

**ზურა ტომარაძე,** სტუ-ს ყოფილი მწვრთნელი:

- ტექნიკურ უნივერსიტეტში მწვრთნელად მუშაობის პერიოდში ერთი სუპერლიგა ვერ მოვიგე, სხვა მხრივ კი ყველა ტურნირში გავიმარჯვეთ, რომელშიც სტუ გამომყავდა. როცა ამ ზაფხულს გუნდიდან გამიშვეს, სტუ-ში მწვრთნელად ნიკოლოზ დერიუგინი მოიყვანეს. მიზეზად ის დაასახელეს, რომ დერიუგინი ბრენდია, მას საზღვარგარეთ იცნობენ. ამ ლოგიკით, მიხეილ ახვლედიანი არ უნდა იყოს ფედერაციის პრეზიდენტი, რადგან მისი სახელი ბრენდი არაა და პრეზიდენტობის კანდიდატებთან - კახა შენგელიასთან, მიხეილ გაბრიჩიძესთან და ვლადიმერ ბოისასთან ახლოსაც ვერ მივა...

ნოემბრის ტესტები

# ჩვენი მეტოქე: ამერიკელი არწივები

ნოემბრის ტესტებზე „ბორჯღალოსნებმა“ პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. მათ დაძაბულ ბრძოლაში კანადელ „ნეკერჩხლის ფოთლებს“ სძლიეს - 19:15 და მსოფლიო რეიტინგში საკუთარი მონაგარი 1,2 ქულით გაზარდეს. თუმცა, ამან საშუალება მაინც არ მისცა საქართველოს თუნდაც ერთი საფეხურით დაწინაურებულიყო. ჩვენი მომდევნო მეტოქე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებია, რომელსაც მილტონ ჰეიგის გაწვრთნილი გუნდი შაბათს, 16 ნოემბერს რუსთავის ახალ აშენებულ სარაგბო სტადიონზე უმასპინძლებს. წარმოგიდგენთ ამერიკელ „არწივებს“, რომლებიც ამჟამად მსოფლიოს რეიტინგში მე-18 პოზიციაზე არიან და სარაგბო სამყაროში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ.


მაიკ ტოლკინი

## ადრეული წლები

XIX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკაში რაგბი ინგლისელმა ემიგრანტებმა შეიტანეს და ოვალური ბურთით გართობამ მალევე დიდი პოპულარობა და ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. 1872 წელს შედგა პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელშიც კალიფორნიის სარაგბო გუნდმა ბრიტანელ მოსახლეთა ნაკრებს უმასპინძლა და 4:7 დამარცხდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებული სპორტის სახეობებიდან ყველაზე პოპულარულად დღემდე ამერიკული ფეხბურთი ითვლება, ამიტომაც დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობა რაგბის ოდნავ განსხვავებული წესებით თამაშობდა. თუმცა თამაშის ძირითად პრინციპებს აუცილებლად იცავდა.

ჰარვარდის, მაკგილის, მასაჩუსეტსის, პრისტონის და კოლუმბიის უნივერსიტეტთა ნაკრებებმა ერთმანეთში რეგულარულად დაიწყეს თამაში, რამაც მოამწიფა იდეა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შექმნაზე, რომელიც საერთაშორისო არენაზე გავიდოდა სხვა ქვეყნებთან საპაექროდ. 1912 წლის 12 ნოემბერს ისტორიული მოვლენაც შედგა: ამერიკამ ავსტრალიის ნაკრებს უმასპინძლა და 8:12 დამარცხდა, ერთი წლის თავზე კი ახალზელანდიელებთან წააგო - 3:51.

## ოლიმპიური ჩემპიონები

1920 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და საკუთარ რაგბის ნაკრებს უფლება დართო მონაწილეობა მიეღო ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გასამართ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. თუმცა ბოლო მომენტში მგზავრობის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამ ხელის შემშლელი ფაქტორისა, ამერიკელი მორაგბეები თავიანთი სახსრებით გაემგზავრნენ ევროპაში სათამაშოდ.

ტურნირზე ოთხ გუნდს უნდა ესპარეზა. თუმცა მოულოდნელად თამაშზე უარი განაცხადეს ჩეხოსლოვაკიამ და რუმინეთმა. შესაბამისად, ფინალურ დაპირისპირებაში ერთმანეთს ამერიკის და საფრანგეთის ნაკრებები შეხვდნენ. ფავორიტებად ფრანგები ითვლებოდნენ, თუმცა მოულოდნელად ამერიკელებმა 8:0 გაიმარჯვეს და ოლიმპიური ოქროს მედლებიც დაისაკუთრეს.

მომდევნო, 1924 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს პარიზმა უმასპინძლა. ამერიკელ მორაგბეებს ამჯერად აღარ შექმნიათ დაფინანსების პრობლემა, რადგან სახელმწიფომ მათ სოლიდური თანხა გამოუყო, რათა ნაკრებს სრულყოფილი მომზადება გაევლო საპასუხისმგებლო ტურნირის წინ. ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დიდი სელექცია გასწია, უმოკლეს დროში ამერიკული ფეხბურთის გუნდებიდან არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი დაიმატა, რაგბის წესები შეასწავლა და საოლიმპიადო განაცხადშიც შეიყვანა.

ტურნირის პირველ მატჩში ამერიკელებმა იოლად დაძლიეს რუმინელთა წინააღმდეგობა - 39:0 და ფინალში გააღწიეს, სადაც მათ საფრანგეთი ელოდებოდათ. უდავო ფავორიტად ყველა მასპინძელთა გუნდს მოიაზრებდა, თუმცა ამერიკელებმა დიდი გმირობა ჩაიდინეს და პირველი ტაიმის 0:3 წაგების შემდეგ, მეტოქეს 17 უპასუხო ქულა აართვეს, რამაც საშუალება მისცა მათ ზედიზედ მეორედ მოეგოთ ოლიმპიადა. ამ მოვლენიდან ერთი წლის შემდეგ რაგბი ოლიმპიური სახეობებიდან ამოიღეს.

## რაგბის კავშირის ჩამოყალიბება

მეორე მსოფლიო ომმა და მას შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ძალიან შეაფერხა რაგბის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1960 წელს კვლავ დაიწყო სასიკეთო ძვრები, რომელიც 1975 წელს ამერიკის რაგბის ფედერაციის შექმნით დასრულდა. ეროვნულ გუნდს ზედმეტსახელად „არწივები“ ეწოდა და მომდევნო წელს მათ უმნიშვნელოვანესი მატჩი გამართეს ავსტრალიასთან, თუმცა ამჯერადაც დამარცხდნენ - 12:24. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ამერიკა ტესტ მატჩებს მართავდა ძლიერ მეტოქეებთან: ინგლისთან, ახალ ზელანდიასთან, კანადასთან, ირლანდიასთან, უმეტეს შემთხვევებში მარცხდებოდა, თუმცა ნელ-ნელა პროგრესირებდა..

## ამერიკა მსოფლიოს თასებზე

1987 წელს საფუძველი ჩაეყარა პირველი მსოფლიოს თასის ჩატარებას, რომელსაც ახალმა ზელანდიამ უმასპინძლა და ტურნირის ერთ-ერთ მონაწილედ ამერიკაც იყო მიწვეული. „არწივები“ A ჯგუფში მოხვდნენ ავსტრალიის, ინგლისის და იაპონიის ნაკრებებთან. ამერიკელებმა ლოგიკური მარცხები იწვნიეს ტურნირის ფავორიტ ინგლისთან - 6:34 და ავსტრალიასთან 12:47, ხოლო იაპონიასთან ისტორიული გამარჯვება იზეიმეს - 21:18, თუმცა საბოლოო ჯამში ეს საკმარისი არ გამოდგა პლეი ოფში გასასვლელად.

1991 წლის მოფლიოს თასზე ამერიკა კვლავ A ჯგუფში მოხვდა ახალ ზელანდიასთან, ინგლისთან და იტალიასთან. „არწივები“ ინგლისთან 9:37 დამარცხდა და „ოლ ბლექსთან“ უშანსოდ იყო 6:46, თითქოს იტალიასთან უნდა მოეგო, მაგრამ ამერიკამ ბოლო მატჩიც უბრძოლველად დათმო - 9:30.

1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში მოსახვედრად ამერიკას საკვალიფიკაციო ეტაპების გავლამ მოუწია. მათ პირველ რაუნდში ბერმუდა გაანადგურეს 60:3, მეორე ეტაპზე კი ორმატჩიან დუელში პირწმინდად დამარცხდნენ არგენტინის ნაკრებთან და მსოფლიოს თასის საგზურის გარეშე დარჩნენ.

1999 წელს ევროპის წამყვან სარაგბო ქვეყნებში გასამართ მსოფლიოს თასზე მოსახვედრად ამერიკას დიდი ბრძოლების გადატანამ მოუწია. თავდაპირველად არგენტინისგან იწვნია მარცხი - 24:52, შემდეგ კანადისგან - 14:31, შესაბამისად „არწივები“ რეპეშაჟში გადაერთო, სადაც გაჭირვებით სძლია ურუგვაის 21:17 და მსოფლიოს რაგბის უმთავრეს ტურნირზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ამერიკა E ჯგუფში ავსტრალიის, რუმინეთის და ირლანდიის ნაკრებებთან ერთად მოხვდა. „არწივები“ ჯერ დუბლინში დამარცხდა ირლანდიასთან 8:53, შემდეგ დაძაბულ ბრძოლაში წააგო რუმინეთთან - 25:27, დასკვნით მატჩში კი, მსოფლიოს თასის მომავალ მფლობელ ავსტრალიას ერთი ლელო გაუტანეს, მაგრამ საბოლოო ჯამში 19:55 წააგო.

2003 წლის მოსფლიოს თასზე მოსახვედრად ამერიკას კვლავ რეპეშაჟის რაუნდის გავლა მოუწია. „არწივებმა“ ამჯერად ესპანეთი დაამარცხა ორრაუნდიან ბრძოლაში. შეერთებული შტატების ნაკრები B ჯგუფში მოხვდა საფრანგეთის, ფიჯის, იაპონიის და შოტლანდიის ნაკრებებთან ერთად. „არწივებმა“ ჯგუფის გახსნით მატჩში თავი მშვენივრად წარმოაჩინა. ის დიდი ხნის განმავლობაში უგებდა ფიჯის, თუმცა ბოლო წამებზე მაინც დათმო შეხვედრა მინიმალური სხვაობით 18:19, რასაც მოჰყვა ლოგიკური მარცხი შოტლანდიასთან 15:39 და საფრანგეთთან 14:41, თუმცა ამერიკელებმა **მაიკ ჰერკუსის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით ბოლო შეხვედრაში მაინც მოახერხეს იაპონელთა ძლევა 39:26 და ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

2006 წელს ამერიკამ კვლავ დათმო ორ რაუნდიანი ბრძოლა კანადასთან, თუმცა ურუგვაის წინააღმდეგობის იოლად გადალახვის ხარჯზე კვლავ მოახერხა 2007 წელს საფრანგეთში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში მოხვედრა, სადაც ისინი A ჯგუფში ინგლისთან, სამოასთან, სამხრეთ აფრიკასთან და ტონგასთან ერთად აღმოჩნდა. „არწივებმა“ ჯგუფური ეტაპის ყველა თამაში დათმო (ინგლისი 10:28, ტონგა 15:25, სამოა 21:25, სამხრეთ აფრიკა 15:64) და თავი მხოლოდ სამოასთან მოპოვებული 1 ბონუს ქულით გამოიჩინა.

უკანასკნელ, ახალ ზელანდიაში გამართულ 2011 წლის მსოფლიოს თასზე ამერიკა C ჯგუფის გახსნით მატჩში გმირულად ებრძოლა ირლანდიის უძლიერეს ნაკრებს, თუმცა 12-ქულიანი სხვაობით დამარცხდა - 10:22, მეორე ტურში „არწივებმა“ რუსები დაამარცხას 13:6, რასაც მოჰყვა ავსტრალიასთან მარცხი 5:67. ამერიკელებს მეოთხე ტურის წინ მესამე ადგილზე გასვლის მშვენიერი შანსი ჰქონდათ. მათ უნდა დაემარცხებინათ იტალია, თუმცა დაძაბული შეხვედრის მეორე ტაიმში ევროპელებმა მაინც გატეხეს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის წარმომადგენლები და მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს - 27:10. „არწივებმა“ ოთხი ქულა დააგროვეს და ჯგუფში მეოთხე პოზიციით დაკმაყოფილდნენ.

## მთავარი მწვრთნელი

ამერიკის შეერთებული შტატების სარაგბო ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლავთ **მაიკ ტოლკინი**, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა შორეულ 1986 წელს ხავიერის კოლეჯის გუნდის გაწვრთნით დაიწყო. 2000 წელს იგი New York Athletic Club-ის მთავარ მწვრნელად დაინიშნა და კლუბი სამჯერ მიიყვანა ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედლებამდე (2005, 2008, 2011 წლებში). პარალელურად ტოლკინი ამერიკის სამწვრთნელო შტაბშიც გახლდათ დასაქმებული. იგი დაცვის მწვრთნელი იყო და 2011 წელს „არწივებმა“ მშვენიერი დაცვის დემონსტრირება მოახდინეს მსოფლიოს თასზე. რაც მაიკს დაუფასდა და 2012 წლის თებერვლიდან ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით „არწივებმა“ 11 მატჩი ჩაატარეს, 3 მოიგეს და 8 შეხვედრაში დამარცხდნენ.

## ნოემბრის ტესტები

ამერიკამ ნოემბრის ტესტები პენსილვანიის შტატში „მაორი ოლ ბლექსის“ მასპინძლობით გახსნა და დაძაბულ ბრძოლაში 10-ქულიანი სხვაობით დამარცხდა - 19:29. „არწივების“ რიგებიდან ერთადერთი ლელოს ავტორი მარბიელი **კამერონ დოლანი** (4 კეპი) გახდა, ხოლო მგეზავმა **ადამ სიდალმა** (4 კეპი) საკუთარ გუნდს ერთბაშად 14 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა). 16 ნოემბერს ამერიკა საქართველოს დაუპირისპირდება ქალაქ რუსთავში, ხოლო 23 ნოემბერს ლონდონში რუსეთთან პაექრობით დაასრულებს ევროპულ ვოიაჟს.

### აშშ

**პირველი ხაზი:** დერეკ აშბურნი (კეიპთაუნის უნივერსიტეტი), პატრიკ ლატუ (მეტროპოლისი), ბლეიკ ბურდეტი(ნიუ იორკ ათლეტიკ), ზაკ ფენოლიო (გლენდეილ რაპტორზი), ერიკ ფრი (ლონდონ სქოტიში,), ტიტი ლამოსიტელე (სარასენზი), შონ პიტმანი (ოპსბ), ფილ ტილი (ლაიფ უნივერისთი), ნიკოლას ვოლასი (ოლიმპიკ ქლაბ);

**მეორე ხაზი:** ჯონ კალენი (ოლდ პაჯეტი), გრაჰამ ჰარიმანი (მეტროპოლისი), სკოტ ლავალა (სტად ფრანსე), ტაი ტუისამოა (ომბაკი);

**მესამე ხაზი:** სამუ მანოა (ნორსჰემპთონი), იანკი ბასაური (ტარბი), პიტერ დალი (ბელმონტი), კამერონ დოლანი (ლაიფ უნივერსიტი)კაილ სამსონი (ბრიჰამ იანგი), ტოდ კლევერი (შაინინგ არკსი);

**№9:** შონ დევისი (გლენდალ რაპტორზი), მაიკ პეტრი (ნიუ იორკ ათლეტზი), რობ შოუ (ეშერი)

**№10:** ტობი ლესტრანგი (ნიუ იორკ ათლეტზი), ფოლაუ ნიუა (ამერიკა სევენზი), ადამ სიდოლი (ოლდ ბლუ);

**№12-13:** სიმუს კელი (გოლდენ ბეარსი), ენდრიუ სუნიულა (ლონდონ ვასფზი), კრის ვაილსი (სარასენზი)

**№11-14:** ლუკ ჰამი (ოლდ ბლუ), ტიმ მოპინი (სფგგ), ზაჰარი პანგელინანი (ომბაკი)

**№15:** ჯო კოული (ლაიფ უნივერსიტი), ბლაინ სკული (ლესტერ ტაიგერსი)

## 2013 წელი

2013 წლიდან ამერიკამ უარი განაცხადა ყოველწლიური „ჩერჩილის თასის“ გამართვაზე და საერთაშორისო რაგბის საბჭოსგან მიიღო მონაწილეობის უფლება წყნარი ოკეანის თასზე, სადაც მისი მოწინააღმდეგეები გაცილებით უფრო მაღალი სათამაშო კლასის მქონე კანადის, იაპონიის, ფიჯის, ტონგას და სამოას ნაკრებები იქნებიან. „არწივებმა“ წლეულს ორმატჩიან დუელში დათმეს 2015 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები კანადასთან და 2014 წელს მათ კვლავ რეპეშაჟში მოუწევთ საკუთარი სიძლიერის დამტკიცება. „არწივებს“ მიმდინარე სეზონში 7 მატჩი აქვთ გამართული და ყველა მათგანში დამარცხდნენ.

**გიორგი ბარბაქაძე**

25 მაისი კანადა - ამერიკა 9:16 (წყნარი ოკეანის თასი)
8 ივნისი ამერიკა - ირლანდია 12:15 (ტესტ მატჩი)
14 ივნისი ამერიკა - ტონგა 9:18 (წყნარი ოკეანის თასი)
19 ივნისი ფიჯი - ამერიკა 10:35 (წყნარი ოკეანის თასი)
23 ივნისი იაპონია - ამერიკა 20:38 (წყნარი ოკეანის თასი)
17 აგვისტო ამერიკა - კანადა 9:27 (საკვალიფიკაციო ეტაპი)
24 აგვისტო კანადა - ამერიკა 13:11 (საკვალიფიკაციო ეტაპი)
9 ნოემბერი კანადა - მაორები 19:29 (ტესტ მატჩი)

**ამერიკელი „არწივების“ ტიტულები**

1920 წელი - ოლიმპიადის გამარჯვებული
1924 წელი - ოლიმპიადის გამარჯვებული
2009 წელი - ჩერჩილის თასის გამარჯვებული
2011 წელი - ჩერჩილის თასის გამარჯვებული

**რეკორდული მაჩვენებლები**

ყველაზე მეტი კეპი - მაიკ მაკდონალდი (2000-2012) - 67
ყველაზე მეტი ლელო - ვაეა ანიტონი (1992-2000) - 26
ყველაზე მეტი ქულა - მაიკ ჰერკუსი (2002-2009) - 465
ყველაზე მეტი ქულა ერთ მატჩში - კრის ობრაიენი - 26
ყველაზე მეტი ლელო ერთ მატჩში - დიკ ჰაილანდი - 4
ყველაზე მეტი მატჩი კაპიტნის სამკლაურით - ტოდ კლევერი - 32
ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე - ტიტი ლამოსიტელე (18 წლის და 187 დღის)
ყველაზე ასაკოვანი მორაგბე - მარკ უილიამსი (38 წლის და 98 დღის)


საქართველო-აშშ. 2010 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# კირილენკო სამ მატჩს გამოტოვებს

„ბრუკლინ ნეტსის“ რუსი ფორვარდი **ანდრეი კირილენკო** ზურგის ტრავმის გამო რეგულარული ჩემპიონატის მინიმუმ სამ შეხვედრას გამოტოვებს. ამ დაზიანების გამო, რუსმა კალათბურთელმა მიმდინარე სეზონში შვიდიდან ოთხი შეხვედრა გამოტოვა და ახლა, ვერ დაეხმარება თავის გუნდს „საკრამენტოსთან“, „ფინიქსთან“ და „ლოს ანჯელესთან“ მატჩებში.

წელს, კირილენკოს საშუალო სტატისტიკა 5.8 ქულას, 3.3 მოხსნასა და 1.0 შედეგიან გადაცემას უდრის.

## მინესოტა შვედს იშორებს

ამერიკული პრესის ინფორმაციით, „მინესოტა ტიმბერვულვზი“ განიხილავს გაცვლის შესაძლებლობას **ალექსეი შვედისა** და **დერიკ უილიამსის** მონაწილეობით. ამ მომენტისთვის, მათი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ გუნდი გაძლიერდეს გამოცდილი მოთამაშეებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ პლეი ოფში „მგლების“ წარმატებულ თამაშს. ეს კი კლუბს თავისი ლიდერის **კევინ ლავის** შენარჩუნების საშუალებას მისცემს, რომელსაც „მინესოტასთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულში ეწურება.

მიმდინარე რეგულარულში, შვედი „ვულვზისთვის“ თითქმის გამოუსადეგარი მოთამაშეა, რადგან მცველმა რვა შეხვედრაში ჯამში მხოლოდ 18 ქულა და 4 შედეგიანი პასი მიითვალა. თან, რუსის სროლების უმეტესი ნაწილი მიზანს ცდება - თამაშიდან 20 ტყორცნა შეასრულა და მხოლოდ ოთხი ჩააგდო.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბაფალომ მწვრთნელი გაუშვა

„ბაფალო სეიბრზის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **რონ როლსტონი**. გარდა ამისა, ასევე დატოვა კლუბი გენერალურმა მენეჯერმა **დარსი რეგირმა**, - იტყობინება NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი.

რეგულარულ ჩემპიონატში ჩატარებული 19 მატჩის შემდეგ, „ბაფალო“ ლიგის ყველაზე უარესი გუნდია. მის აქტივშია ოთხი მოგება, 15 წაგება და მხოლოდ ცხრა ქულა.

როლსტონმა გუნდი ამა წლის თებერვალში ჩაიბარა, როცა **ლინდი რაფი** შეცვალა. ახლა, „სეიბრზის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს **ტედ ნოლანი** შეასრულებს. ხოლო კლუბში გენერალური მენეჯერის ნაცვლად იქნება ჰოკეის ოპერაციების პრეზიდენტი. ეს თანამდებობა ლეგენდარულმა ფორვარდმა **პეტ ლაფონტეინმა** მიიღო.

**ბაფალო-ლოს ანჯელესი 3:2**

0:1, 1:0, 1:1, 0:0 (ბ)

**გოლები:** 0:1 ჯასტინ უილიამსი-7 (ვოინოვი-4), 1:1 პოჯსონი-6 (ოტი-3, მოულსონი-8), 2:1 პოჯსონი-7 (ენისი-4, მოულსონი-9), 2:2 კინგი-5 (ტოფოლი-4, მ. რიჩარდსი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** მოულსონი (ბაფალო), ენისი (ბაფალო).

**აილენდერსი-ნეშვილი 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ტავარესი-8 (ნილსენი-11), 2:0 ბუშარი-4 (ნილსენი-12), 3:0 ოკსოპო-6 (ტავარესი-14, ნელსონი-4), 3:1 ჰორნკვისტი-5 (ლეგუანდი-11, შ. უებერი-4).

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 2:3**

0:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 რ. კარტერი-1 (ე. გრინი-5), 1:1 მ. სტაალი-2 (ზუკარელო-8, კრაიდერი-7), 1:2 რ. კარტერი-2 (ლარსონი-2, ჰაროლდი-2), 2:2 ჟირარდი-1 (კრაიდერი-8, მაკდონაჰი-7), 2:3 ზუბრუსი-3 (ზეიჯაკი-4, იაგრი-9).

**ვაშინგტონი-კოლამბუსი 4:3 (ო)**

0:0, 1:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დუბინსკი-5 (ლეტესტუ-4), 1:1 ჯ. კარლსონი-4 (ერატი-6, გრაბოვსკი-11), 2:1 ჯ. უორდი-9 (ურბომი-1, ლეიჩი-2), 2:2 ბოლი-1 (ვიშნიევსკი-12, კოლინზი-1), 3:2 ატკინსონი-5 (დუბინსკი-10), 3:3 გრაბოვსკი-6 (ჩიმერა-8, მაიკ გრინი-11), 4:3 ოვეჩკინი-14 (მ. იოჰანსონი-14, ჯ. კარლსონი-3).

**კაროლინა-კოლორადო 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯ. სტაალი-3 (გერბე-4, დუაიერი-2), 2:0 დუაიერი-1 (გერბე-5, ჯ. სტაალი-3), 2:1 პ. შჩასტნი-7 (მაკინონი-9, ლანდესკოგი-8).

**მონრეალი-ტამპა ბეი 1:2 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 მელოუნი-3 (ე. ბრიუერი-4, კრომბინი-3), 1:1 ბრიერი-2 (პასიორეტი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ფილპულა (ტამპა ბეი).

**ოტავა-ფილადელფია 0:5**

0:1, 0:2, 0:2

**გოლები:** 0:1 რიდი-4 (დაუნი-7, კუტურიე-4), 0:2 ვორაჩეკი-2 (პარტნელი-1, ჟირუ-8), 0:3 ვორაჩეკი-3 (სიმონდსი-5, ჟირუ-9), 0:4 ლეკავალიე-7 (ბრეიდენი შენი-6), 0:5 ბრეიდენი შენი-4 (ლეკავალიე-3, გუსტაფსონი-3).

**დეტროიტი-ვინიპეგი 2:3 (ბ)**

1:1, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ლიტლი-11 (ველერი-7, ლედი-12), 1:1 დაციუკი-8 (ზეტერბერგი-11, კრონვალი-10), 1:2 ბოგოსიანი-1 (ო. იოკინენი-7, ე. კეინი-5), 2:2 დაციუკი-9 (ფრანცენი-4, ალფრედსონი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** სეტოგუჩი (ვინიპეგი), ალფდერსონი (დეტროიტი), ლედი (ვინიპეგი).

**ფლორიდა-ანაჰაიმი 3:2**

0:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კოლიანო-6 (ვინიკი-6, სმიტ-პელი-7), 0:2 ლინდჰოლმი-2 (ბონინო-7, იტემი-4), 1:2 მატიასი-2 (ბ. კემპბელი-8, ბერჩი-1), 2:2 აპშოლი-3 (გუდბრანსონი-2, იუბერდო-6), 3:2 ბ. ბოიესი-6 (აპშოლი-4).

**სტ ლუისი-ფინიქსი 2:3 (ო)**

1:2, 0:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ლაპიერი-2 (ბოუმისტერი-11, პიეტრანჯელო-9), 1:1 მოსი-1 (რიბეირო-7, ეკმან-ლარსონი-11), 1:2 ბოდკერი-4 (კლინკჰამერი-4, კლესლა-1), 2:2 პოლაკი-2 (სტინი-8, ბეკსი-10), 2:3 ეკმან-ლარსონი-4 (რიბეირო-8, დოუნი-5).

**კალგარი-სან ხოსე 2:3 (ო)**

0:2, 0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კუტური-8 (მარლო-9, ტაილერ კენედი-5), 0:2 მარლო-9 (პაველსკი-13, ჯ. ტორნტონი-16), 1:2 რასელი-3 (მონეჰანი-5), 2:2 კამალერი-8 (ბატლერი-3), 2:3 ბ. სტიუარტი-1 (ჯ. ტორნტონი-17, დ. ბოილი-3).



პეტ ლაფონტეინი

NBA რეგულარული ჩემპიონატი


ლეიკერსი კარგი იყო

# ლებრონის კრიტიკამ გაჭრა

„ბოსტონთან“ წაგებული მატჩის შემდეგ, „მაიამის“ ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** საკუთარი გუნდი დაცვაში ცუდი თამაშის გამო გააკრიტიკა. ერთი დღის შემდეგ, **ერიკ სპოელსტრას** შეგირდებმა „მილუოკის“ პირველ 36 წუთში ტყორცნების 35 პროცენტი ჩააგდებინეს და მხოლოდ მაშინ მოდუნდნენ, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ლებრონმა მესამე მეოთხედში მოაგვარა საქმე - დროის ამ მონაკვეთში 17 ქულა ჩააგდო, სულ კი 33 ქულით დაეხმარა თავის გუნდს. ბოლო 12-წუთეულის წინ, ანგარიში იყო 84:62 მასპინძლების სასარგებლოდ და „ბაქსს“ შეხვედრის გადარჩენის არანაირი შანსი არ ჰქონდა.

მატჩის შემდეგ . განსაკუთრებული შექება დაიმსახურა ყველას მიერ ჩამოწერილმა **მაიკლ ბიზლიმ**, რომელმაც 19 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

საინტერესო იყო „დალასისა“ და „ვაშინგტონის“ შეხვედრა, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ტექსასელებმა მნიშვნელოვანი ფორმა მიიღეს მაშინ, როცა ვეტერანი **ვინს კარტერის** მონდომებით, მეორე მეოთხედში 16:2 გაქცევა მოაწყვეს, ხოლო მესამე მეოთხედის ბოლოს, **დირკ ნოვიცკიმ** ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და თავისიანების უპირატესობა 15 ქულამდე აიყვანა.

მაგრამ, „ვაშინგტონმა“ ამ რთულ სიტუაციაში ხელები არ ჩამოუშვა. **ტრევორ არიზამ**, რომელიც 27 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო, სტუმრებს საპასუხო სპურტის ორგანიზებაში დაეხმარა - 18:6. და მაინც, „დალასმა“ თავიდან აიცილა ნერვული დასასრული. 89:84-ზე **მონტა ელისმა** საკუთარ თავზე [illegible]ლო თამაში და დარჩენილ დროში 10 ქულა შესძინა თავის გუნდს. ეს დედაქალაქელთა წაგებას ნიშნავდა.

■ ■ ■

ამ სათამაშო დღეს არ გაუმართლათ იმ გუნდებს, რომლებიც კალიფორნიაში ჩავიდნენ სათამაშოდ. „დეტროიტი“ „გოლდენ სტეიტს“ სტუმრობდა, „ლეიკერსი“ კი „ნიუ ორლეანს“ მასპინძლობდა.

ორივე შეხვედრა თითქმის ერთმანირი სცენარით მიმდინარეობდა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში შთამბეჭდავი გაქცევა მოაწყვეს და მეორე ტაიმის სტარტზე გაუძლეს მეტოქის ზეწოლას. „გოლდენ სტეიტის“ რიგებში, ჩვეულებრივ, ბრწყინავდა **სტივენ კარი**, რომელმაც 25 ქულა დააგროვა, „ლეიკერსში“ კი ახალი გმირი გამოჩნდა. ცენტრი **ჯორდან ჰილი**, რომელიც პირველად ვიხილეთ **მაიკ დ'ენტონის** გუნდის სასტარტო ხუთეულში, 21 ქულით არა მხოლოდ ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო მატჩში, არამედ ორმაგი დუბლიც შეასრულა (11 მოხსნა მიითვალა). „ლეიკერსის“ წინა ხაზი შესანიშნავად გამოიყურებოდა და მოხსნებში დაჩაგრა მეტოქე - 53:31, ხოლო რეზერვისტი **ჯორდან ფარმარი** ახლოს იყო სამმაგ-დუბლთან (9 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა).

„უორიორზმა“ კი გამარჯვებულის საკითხი ჯერ კიდევ 19 ქულით მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ გადაწყვიტა, ხოლო მესამე მეოთხედში 19:4 გაქცევით საბოლოოდ დაასამარა „დეტროიტის“ იმედები. „გოლდენ სტეიტი“ თამაშიდან 60 პროცენტი სიზუსტით ისროდა და სამქულიანების 50 პროცენტს ათავსებდა კალათში. ამის გამო, თამაშზე გავლენა არ მოუხდენია მასპინძლების 23 შეცდომას.

## სათამაშო დღე ციფრებში

- „მაიამის“ ფორვარდმა მაიკლ ბიზლიმ კარიერაში თავისი მონაგარი 5000 ქულამდე აიყვანა.

- „ჰიტმა“ ისევ დააგროვა მინიმუმ 100 ქულა მატჩში - მიმდინარე სეზონში მოქმედი ჩემპიონი ამ ნიშნულზე ქვემოთ არ ჩამოსულა.

- „დალასის“ ფორვარდმა **დირკ ნოვიცკიმ** 19 ქულა ჩაუგდო „ვაშინგტონს“ და NBA-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში გაუსწრო **ჯერი უესტს**, რომელიც მე-16 ადგილზე იმყოფებოდა. გერმანელი ვეტერანის მორიგი ორიენტირია „ინდიანას“ ლეგენდა **რეჯი მილერი**, ვინც კარიერაში 25 197 ქულა დააგროვა. იმის გათვალისწინებით, რომ დირკს ახლა 25 197 ქულა აქვს, უკვე რამდენიმე მატჩში, ის კიდევ ერთი საფეხურით მაღლა აიწევს.

- ამ სეზონის სამ საშინაო შეხვედრაში, „გოლდენ სტეიტი“ ჯამში მხოლოდ 23 წამი იყო მდევრის როლში. მან სამივე მატჩი მოიგო საკუთარ კედლებში.

- რეგულარული ჩემპიონატის ცხრა შეხვედრაში, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მთავარმა მწვრთნელმა მაიკ დ'ენტონიმ“ სასტარტო ხუთეულის ექვსი ვარიანტი გამოსცადა.

**მაიამი-მილუოკი 118:95**

32:23, 24:22, 28:17, 34:33

მაი: ჯეიმსი (33), ბიზლი (19), ჩელმერსი (15+7 პასი), ბოში (10+5 მოხსნა).

მილ: ნილი (18), ჰენსონი (18), ადეტოკუნბო (11), ბატლერი (10).

**დალასი-ვაშინგტონი 105:95**

33:34, 28:15, 27:30, 17:16

დ: ნოვიცკი (19+8 მოხსნა), ელისი (19+7 პასი), კარტერი (16), დალემბერი (15+5 მოხსნა), კალდერონი (11), ბლერი (9+11 მოხსნა).

ვ: არიზა (27+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ნენე (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), უოლი (14+10 პასი+5 მოხსნა), გორტატი (12+12 მოხსნა+4 დაფარება).

**გ. სტეიტი-დეტროიტი 113:95**

35:16, 27:25, 32:30, 19:24

გ-ს: კარი (25+8 პასი), ლი (17+9 მოხსნა), ო'ნილი (17+6 მოხსნა), ტომპსონი (14), იგუოდალა (8+11 პასი).

დ: დრამონდი (16+14 მოხსნა+3 დაფარება+3 ჩაჭრა), მონრო (15+5 მოხსნა), ბაინუმი (14+3 ჩაჭრა), ჯენინგსი (13), დატომე (10).

**ლეიკერსი-ნ. ორლეანი 116:95**

22:19, 33:20, 31:23, 30:33

ლ: ჰილი (21+11 მოხსნა), იანგი (17), ჰენრი (15+3 ჩაჭრა), მიქსი (15), პ. გასოლი (14+8 მოხსნა).

ნ-ო: გორდონი (17+3 ჩაჭრა), დევისი (15+5 მოხსნა), ევანსი (11+6 პასი).

ამბები


ადამ სილვერი

# NBA-ში 40 წუთს ითამაშებენ?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის თანაშემწე **ადამ სილვერი** დაინტერესებულია მატჩების დროის შემოკლებით. ამიტომაც, NBA-ის ოფისში განიხილავენ ერთი მეოთხედის 12-დან 10 წუთამდე შემცირებას, ხოლო ოვერტაიმის 5-დან 3 წუთამდე შემოკლებას.

ამ ცვლილებების დანერგვაზე ჯერ ლაპარაკი არ არის, მაგრამ ბოლო წლებში სილვერმა, რომელიც მომავალი წლის პირველი თებერვლიდან შეცვლის NBA-ის კომისრის პოსტზე **დევიდ სტერნს**, კონსულტაციები ჩაატარა ლიგის კლუბების მფლობელებთან მსგავსი სიახლეების შემოღების თაობაზე.

ასოციაციის მიზანია - მატჩების ხანგრძლივობის შემცირება ტელეკომპანიების ინტერესებიდან გამომდინარე. NBA-ის განვითარების ლიგა (D-ლიგა), სადაც ფარმ-კლუბები გამოდიან, ორი წელი ექსპერიმენტებს ატარებენ ამ მიმართულებით. წელს იქ ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ყველა ტაიმ-აუტის ხანგრძლივობა 30 წამამდე დაიყვანეს და მათი რაოდენობა თითოეული გუნდისთვის რვიდან შვიდამდე შემცირდა (არაუმეტეს ორისა - მატჩის ბოლო ორ წუთში).

შეგახსენებთ, რომ FIBA-ის წესების თანახმად, მატჩის ხანგრძლივობა 40 წუთს შეადგენს, ოვერტაიმი კი, ისევე როგორც NBA-ში, ხუთი წუთი გრძელდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# რაფა ნადალი: ყველა დროის საუკეთესო? ლეივერი ან ფედერერი!

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** მიიჩნევს, რომ ჩოგბურთის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მოთამაშის სტატუსზე პრეტენზია მხოლოდ **როდ ლეივერმა** და **როჯერ ფედერერმა** უნდა გამოაცხადონ.

ლეივერი „დიდი სლემის" ტურნირების 11-გზის გამარჯვებულია, მისი მთავარი მიღწევა კი ის არის, რომ მან ორჯერ შეძლო „დიდი სლემის" მოგება (1962 წელს, როგორც მოყვარულმა და 1969 წელს, როგორც პროფესიონალმა). ის ერთადერთი ჩოგბურთელია ე. წ. „ღია ერაში", ვინც ერთ სეზონში მოახერხა „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირზე გამარჯვება. რაც შეეხება როჯერ ფედერერს, ის რეკორდსმენია „დიდი სლემის" ჩემპიონატებში მოგებების რაოდენობით - 17 ტიტული.

*„ასი პროცენტით სამართლიანად მიმაჩნია მტკიცება იმის შესახებ, რომ ფედერერი საუკეთესო მოთამაშეა ჩოგბურთის ისტორიაში. ის დღემდე თამაშობს და მისი შედეგების გაუმჯობესება ძალიან რთული იქნება. მე ყოველთვის ვამბობ, რომ არასამართლიანია მოთამაშის წვლილის გაანალიზება მხოლოდ „დიდ სლემზე" მოპოვებული ტიტულების რაოდენობით. ყველამ იცის, რომ ჩოგბურთი მხოლოდ „დიდი სლემი" არ არის. არსებობს ბევრი სხვა ტურნირი და როჯერს იქ შესანიშნავი მაჩვენებლები აქვს. თანაც, „სლემებიც" ყველაზე მეტი აქვს მოგებული.*

*მე არასოდეს მინახავს როდ ლეივერის თამაში, მიუხედავად ამისა, ვიცი მისი ისტორია. მან მოიგო „დიდი სლემი" როგორც მოყვარულმა და შემდეგ, როგორც პროფესიონალმა. ასე რომ, დავა ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეზე არა ჩემსა და როჯერს, არამედ ლეივერსა და როჯერს შორის უნდა მიდიოდეს.*

*რაც შეეხება ჩემს კარიერას, 27 წლის ვარ. უკვე იმაზე მეტს მივაღწიე, ვიდრე ოდესმე მიოცნებია. იმედია, მომავალშიც გავაგრძელებ ტიტულებისთვის ბრძოლას. გავაგრძელებ მუშაობას და კარიერის დასრულების შემდეგ ვნახოთ, რა ადგილს დავიკავებ ისტორიაში"*, - ამბობს ნადალი Tennis.com-თან კომენტარში.



რაფა ნადალი

ფორმულა 1

## კიმის პეიკი შეცვლის?

მოახლოვდა ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - აშშ-ის გრანპრი და ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის „ლოტუსში" ტრავმირებულ **კიმი რაიკონენს**, რომელსაც ზურგის სამკურნალოდ ოპერაცია ესაჭიროება. ორი დღის წინ, ყოფილმა ფინელმა პილოტმა **მიკა სალომ** თავის „ტვიტერზე" დაწერა, რომ კიმის ბოლიდში ადგილის დაკავება შეუძლია გამოცდილ **ჰეიკი კოვალაინენს**.

გუშინ, ფინური ტელეარხი MTV3 უფრო შორს წავიდა და გამოაცხადა, რომ „ლოტუსის" ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და სეზონის დარჩენილ ორ რბოლაში - ოსტინსა და სან პაულუში E21-ის ბოლიდის საჭესთან სწორედ კოვალაინენს ვიხილავთ.

ჰეიკიმ ფორმულა 1-ში თავისი ბოლო რბოლა შარშან, ბრაზილიაში ჩაატარა, წელს კი საჯინიბო „კატერჰემის" სარეზერვო პილოტის როლს ასრულებდა. კოვალაინენი ამ სეზონში ხუთჯერ მონაწილეობდა პარასკევის პრაქტიკებში, ასე რომ, კარგად იცნობს „პირელის" საბურავების მახასიათებლებს.

■ ■ ■

ამასობაში, „ლოტუსი" კიმი რაიკონენის შემცვლელს 2014 წლის სეზონისთვისაც ეძებს. როგორც ფინური პრესა წერს, ღლეისთვის ოთხი კანდიდატი არსებობს: **ნიკო ჰიულკენბერგი, პასტორ მალდონადო** და კიდევ ორი პილოტი, რომელთა გვარებს არ ასახელებენ.

გუნდის თანამფლობელის **ჟერარ ლოპესის** თქმით, ახალი პილოტის არჩევისას, პირველ რიგში, იხელმძღვანელებენ ავტომრბოლის ნიჭითა და შესაძლებლობებით და არა სასპონსორო მხარდაჭერით. ლოპესი ამბობს, რომ გუნდმა უკვე მოაგვარა ფინანსური საკითხები და შეუძლია საკუთარ თავს უფლება მისცეს და „ლარიბი" პილოტი აირჩიოს.

ჭადრაკი

## ისევ ყაიმი

ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში გუშინ მეოთხე პარტია გაიმართა. თეთრი ფიგურებით მოქმედი ჩემპიონი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი თამაშობდა, თუმცა მას ამან არანაირი უპირატესობა არ მოუტანა. პირიქით, შავი ფიგურებით მოთამაშე ნორვეგიელ მაგნუს კარლსენს მთელი პარტიის განმავლობაში უპირატესობა ჰქონდა. მან აიძულა ანანდი პარტიის გადარჩენაზე ეზრუნა და ინდოელმა ეს მოახერხა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ, დიდოსტატები 64-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ასე რომ, ოთხი პარტიის შემდეგ, ანგარიშია - 2:2. დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ მეხუთე პარტია 15 ნოემბერს გაიმართება და მასში თეთრი ფიგურები კარლსენს ექნება. შეგახსენებთ, რომ სულ დაგეგმილია 12 პარტიის ჩატარება.

ამბები

ფორმულა 1

### ბერნი მაროკოს აბრუნებს

ფორმულა 1-ის გენერალური პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** მაროკოს მეფეს - **მუჰამედ VI**-ს შეხვდა და „დიდი ცირკის" კალენდარში მაროკოს გრანპრის დაბრუნების შესაძლებლობა განიხილა.

იუწყებიან, რომ შეხვედრის მთავარი შედეგი გახდა წინასწარი კონტრაქტის გაფორმება, რომლის ღირებულებაა 600 მილიონი დოლარი. ვარაუდობენ, რომ მაროკოს გრანპრი უკვე მომავალ წელს მოხვდება კალენდარში.

აღვნიშნავთ, რომ აქამდე, მაროკოში ფორმულა 1-ის რბოლა მხოლოდ ერთხელ - 1958 წელს, ქალაქ კასაბლანკაში ჩატარდა.

### ნიურბურგრინგს 100 მილიონად იყიდიან

გერმანულმა ავტოდრომმა „ნიურბურგრინგმა", შესაძლოა, თავიდან აიცილოს გაკოტრება, - წერს გამოცემა „მოტორსპორტი". გერმანიის საავტომობილო კლუბმა (ADAC) ავტოდრომის შეძენის მზადყოფნა გამოთქვა. გარიგების საორიენტაციო თანხად 100 მილიონი ევრო სახელდება. ამ მომენტისთვის, მხარეები ახლოს არიან მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებასთან.

სავარაუდოდ, „ნიურბურგრინგის" გაყიდვის შესახებ 2014 წლის დასაწყისში გამოაცხადებენ.

ჩოგბურთი

### ფედერერმა მწვრთნელი იპოვა?

იტალიელი სპეციალისტი **რიკარდო პიატი**, შესაძლოა, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** ახალი მწვრთნელი გახდეს. ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირის დროს, პიატიმ ვადაზე ადრე გაწყვიტა კონტრაქტი ფრანგ **რიშარ გასკესთან**, თან არ დაუსახელებია ამ გადაწყვეტილების მიზეზი. უფრო ადრე, ზოგიერთმა ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პიატი კანადელ **მილოშ რაონიჩთან** ითანამშრომლებდა.

### WTA-მ კალენდარი შეცვალა

WTA-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა ცვლილებები 2014 წლის სპორტულ კალენდარში. მთავარი სიახლე ის არის, რომ შემაჯამებელი ტურნირი სინგაპურში გაიმართება.

ტურნირს მემფისში შეცვლის Rio Open, რომელიც რიოდე-ჟანეიროში გაიმართება. ბოგოტასა და ბად-გაშტეინის შეჯიბრებები ჩატარდება აპრილში და არა თებერვალში. აკაპულკოსა და კატოვიცეს ტურნირებზე საფარი შეიცვლება - გრუნტის ნაცვლად ჰარდი.

დოპინგი

### წარმატებული პრეზიდენტი

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს პრეზიდენტმა **ჯონ ფეიჰიმ** განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში შემცირდა იმ სპორტსმენთა რიცხვი, რომლებიც აკრძალულ პრეპარატებს იყენებენ. მისი სიტყვებით, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ხუთი სპორტსმენი ჩავარდა დოპინგზე.

ფეიჰის უფლებამოსილების ვადა 2013 წელს იწურება. ის მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს 2007 წლიდან უდგას სათავეში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 19** | |
| ჰოლანდია-მოლდოვა | 3:0 |
| სერბეთი-ყაზახეთი | 3:0 |
| ავსტრია-ფინეთი | 6:0 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **პლეი ოფი. I მატჩი** | |
| იორდანია-ურუგვაი | 0:5 |
| მექსიკა-ზელანდია | 5:1 |
| **ინგლისი** | |
| **JP Trophy** | |
| ფლიტვუდი-კარლაილი | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ჰართსი-ვოლფსბურგი | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| სარპსბორგი-რანჰაიმი | 1:0 |
| **სლოვენიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| სენჩური-მარიბორი | 2:5 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| მტკ-დიოშდიორი | 2:0 |
| ბალმაზუივაროში-ნირედიაზა | 0:0 |
| დერბეცენი-მეზოკოვესდი | 2:4 |
| ბეკეშჩაბა-შოლნოკი | 0:2 |
| უიპეშტი-კეჩმეკეტი | 1:2 |
| სეგლედი-ჰონვედი | 1:0 |
| ჟიგეტჟენტმიკლოში-პუშკაში | 1:0 |
| კოზარმისლენი-დუნაიუივაროში | 2:0 |
| ვიდეოტონი-პაკსი | 1:4 |
| ფერენცვაროში-ტატაბანია | 2:0 |
| დიორი-სოპრონი | 1:1 |
| ჰალადაში-ლომბარდი | 0:0 |
| კაპოშვარი-ზალაეგერშეგი | 4:0 |
| პეჩი-შიოფოკი | 2:2 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩი** | |
| მონტანა-ჩერნომორეცი | 1:3 |
| **პარაგვაი** | |
| დეპ. კაპიატა-პრეზიდენტე | 3:1 |
| რუბიო ნუ-ოლიმპია | 0:1 |
| სოლ დე ამერიკა-ხენერალი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| რეალი-ეფესი | 103:57 |
| **ევროთასი** | |
| უნიქსი-სკოპიე | 85:61 |
| ნ. ნოვგოროდი-პაოკ | 87:53 |
| სპარტაკი-ნეპტუნასი | 88:75 |
| ხიმკი-ბუდუჩნოსტი | 84:76 |
| ბანვითი-ვეფ რიგა | 83:64 |
| კალევი-მაკაბი (ჰ) | 64:68 |
| პანიონიოსი-ნილანი | 74:62 |
| რადნიჩკი-ბეშიქთაში | 70:77 |
| ციბონა-კანტუ | 79:86 |
| ფეჰერვარი-ანკარა | 92:84 |
| ასესოფტი-ლუკოილი | 72:85 |
| პინარი-ჰაპოელი (ი) | 81:80 |
| ვილერბანი-ვალენსია | 79:76 |
| იგოკეა-ხიმკი | 86:91 (ო) |
| ვარეზე-ულმი | 77:78 |
| ლე მანი-ოსტენდე | 71:80 |
| ოლიმპია-პარიზი | 74:66 (ო) |
| სასარი-შარლერუა | 94:78 |
| **ევროჩელენჯი** | |
| რილსკი-ცმოკი | 73:78 |
| ტრიუმფი-კიევი | 94:58 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ტორპედო | 1:2 (ბ) |
| ადმირალი-აკ ბარსი | 3:2 |
| მეტალურგი (ნ)-ვიტიაზი | 0:2 |
| სიბირი-დინამო (მ) | 1:0 |
| ტრაქტორი-დონბასი | 0:1 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (მნ) | 3:0 |
| ს. იულიაევი-სპარტაკი | 1:2 (ბ) |
| ნეფტიხიმიკი-ზაგრები | 3:2 (ბ) |
| ცსკა-ავანგარდი | 3:1 |
| დინამო (რ)-ბარისი | 3:2 (ბ) |
| ლევი-ავტომობილისტი | 3:2 (ო) |
| სლოვანი-იუგრა | 3:2 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ლინცი | 5:2 |
| ვილახი-დორნბირნი | 7:1 |
| გრაცი-ფეჰერვარი | 6:1 |
| ზალცბურგი-ოლიმპია | 7:1 |
| კლაგენფიურტი-ზნოიმო | 4:3 (ო) |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-კოშიცე | 1:3 |
| მარტინი-ზვოლენი | 2:3 |
| ნიტრა-პოპრადი | 4:2 |
| ბისტრიცა-სკალიცა | 2:0 |
| ტრენჩინი-პიეშტანი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-კრალოვე | 2:3 (ო) |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 1:2 |
| კლადნო-ლიბერეცი | 0:3 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 1:3 |
| ბრნო-ზლინი | 3:1 |
| სლავია-ხომუტოვი | 5:4 (ო) |
| ტრშინეცი-სპარტა | 3:2 (ო) |

TV პროგრამა

**14 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. ნაიმეგენი-აიაქსი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ჰანოვერი-ბრაუნშვაიგი.
**14:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ყუბანი-სუონსი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ფრაიბურგი-შტუტგარტი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჩელსი-შალკე.
**21:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. ბრედა-ეინდჰოვენი.
**00:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტური. ბოკა ხუნიორსი-ტიგრე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პსჟ-ანდერლეხტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ტონგა-შოტლანდია.
**14:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ცვოლე-ტვენტე.
**17:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლეტუვოს რიტასი-პანათინაიკოსი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. "ჩემპიონთა ტურნირი". ფინალი. სოფია. ბულგარეთი.
**23:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მაკაბი-პანათინაიკოსი (LIVE).
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
**13:30** სპორტ NEWS
**14:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:40** ჩოგბურთი. დევისის თასი.
**18:20** ჩოგბურთი. დევისის თასი.
**21:10** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბუდიველნიკი-ბარსელონა (LIVE).

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 18 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 16 | (წვიმა) |
| ბათუმი | 14 | 18 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 14 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 10 | 16 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 8 | 15 | (მზე) |
| თელავი | 9 | 16 | (მზე) |
| სიღნაღი | 8 | 15 | (მზე) |
| ბაკურიანი | 3 | 12 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 14 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 3 | 12 | (მცირე წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2511 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6778 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6789 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1124 |

კრივი

# ტაისონი და ხელოვნური პენისი


მაიკ ტაისონი

მთელი თავისი კარიერის განმავლობაში, **მაიკ ტაისონი** არაფერს იკლებდა. კოკაინი ბრძოლების წინ, ხელოვნური პენისები დოპინგ-ტესტის წარმატებით გასავლელად... ამ ყველაფრის შესახებ, ლეგენდარულმა და სკანდალურმა სუპერმძიმეწონოსანმა თავის მემუარებში დაწერა.

ცოტა ხნის წინ, აშშ-ში გამოქვეყნდა მაიკ ტაისონის ავტობიოგრაფია სახელწოდებით - „უტყუარი სიმართლე" (Undisputed Truth). წიგნის ფურცლებზე კრივის ლეგენდამ აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა მძიმე ნარკოტიკებს უშუალოდ ბრძოლების წინ.

ტაისონი წერს, რომ პირველად კოკაინი 11 წლის ასაკში გასინჯა, ალკოჰოლი კი კიდევ უფრო ადრე. *„მე მთლიანად კოკაინის ზემოქმედების ქვეშ ვიყავი"*, - აღწერა მოკრივემ თავისი მდგომარეობა იმ ბრძოლის წინ, რომელიც 2004 წელს წააგო ბრიტანელ **დენი უილიამსთან**.

1987-90 წლებში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა დაწერა, რომ პრაქტიკულად ყველა ბრძოლის წინ ყნოსავდა კოკაინს და ეწეოდა მარიხუანას. ტაისონმა ასევე აღიარა, რომ 2002 წელს, **ლენოქს ლუისთან** ბრძოლის წინ, მეტოქეს პრესკონფერენციაზე ფეხის არეში იმის გამო უკბინა, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო. მოკრივემ უყურადღებოდ არ დატოვა სახელგანთქმული ეპიზოდი, როცა ბრძოლის დროს ყური მოაჭამა **ევანდერ ჰოლიფილდს**. ეს მოხდა 1997 წელს და მაიკმა ახსნა, რომ მისი მეტოქე მუდმივად იყენებდა თავით აკრძალულ დარტყმას.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იყო დოპინგ-ტესტის ჩაბარება, მოკრივე ხელოვნურ პენისს იყენებდა, რომელიც წინასწარ იყო ავსებული სხვისი შარდით. მაგალითად, ასე მოხდა 2000 წელს, **ლუ სავარესთან** ბრძოლის შემდეგ. აქედან მოყოლებული, ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ, ტაისონი დოპინგ-ინსპექტორებს ასეთი ხერხით ატყუებდა.

იმავე წელს, **ანჟეი გოლოტასთან** ჩხუბის შემდეგ, მაიკი 200 ათასი დოლარით დააჯარიმეს, რადგან მის დოპინგ-სინჯში მარიხუანას კვალი აღმოჩნდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მოკრივემ ვერ მოასწრო ხელოვნური ორგანოს აღება ერთ-ერთი თანაშემწისგან. *„მე მიწევდა ვიღაცის სუფთა შარდით სავსე ხელოვნური პენისის გამოყენება. სწორედ მისი მეშვეობით გავდიოდი დოპინგ-შემოწმებებს"*, - გულახდილად, მაგრამ დაგვიანებით აღიარებს ტაისონი.

47 წლის მოკრივე იხსენებს თავის ურთიერთობებს ქალებთან, იმას, თუ როგორ გაფლანგა მილიონობით დოლარი და გაკოტრდა, ასევე აღწერს ციხეში ყოფნის პერიოდს. ერთადერთს, რასაც ტაისონი ჯიუტად უარყოფს - არის **დეზირე ვაშინგტონის** გაუპატიურება, რისაც გამოც 1992 წელს ექვსწლიანი პატიმრობის დასაჯეს.

გამაოგნებელი აღიარებების ფანტასმაგორიას კიდევ ერთი ემატება: რომ მოკრივე ახლოს იყო ალკოჰოლიზმის მიზეზით სიკვდილთან.

■ ■ ■

მაიკ ტაისონი დარწმუნებულია, რომ თავისი საუკეთესო ფორმის პერიოდში, ის ძმებ კლიჩკოებს პირველივე რაუნდში გაუშვებდა ნოკაუტში. გარდა ამისა, მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის სიტყვებით, მისთვის არავის შეუთავაზებია ისეთი თანხა, რის გამოც ის რინგზე დაბრუნდებოდა.

*„როცა საუკეთესო ფორმაში ვიყავი, ძმები კლიჩკოებიდან არც ერთს არ ექნებოდა ჩემს წინააღმდეგ მინიმალური შანსი. მე მათ პირველივე რაუნდში ნოკაუტით მოვუგებდი"*, - ამბობს ტაისონი.

# ტურნირი ვიტალისთან შესახვედრად


ვიტალი კლიჩკო

WBC-ის ვერსიით სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკოს** მეტოქე გაირკვევა ტურნირის მეშვეობით, რომელშიც ორგანიზაციის რეიტინგის წამყვანი ოთხი სუპერმძიმეწონოსანი მიიღებს მონაწილეობას.

*„ოთხი მოკრივე, რომელიც რეიტინგის ზედა ნაწილში იმყოფება, ერთმანეთში ჩაატარებს საკრივო ორთაბრძოლებს. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა აუცილებელი პრეტენდენტი WBC-ის ტიტულზე, რომელსაც ვიტალი კლიჩკო ფლობს"*, - ამბობს მსოფლიოს საკრივო კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი.

უკვე ცნობილია ამ მოკრივეთა ვინაობა: WBC Silver-ის ქამრის მფლობელი, კანადელი **ბერმეინ სტივერნი**, საკონტინენტთაშორისო ჩემპიონი **კრის არეოლა**, ამერიკის ჩემპიონი **დეონტეი უაილდერი** და **ბრაიან ჯენინგსი**.

შეგახსენებთ, რომ ვიტალი კლიჩკომ 30 ნოემბრამდე უნდა გამოაცხადოს - გააგრძელებს თუ არა პროფესიულ კარიერას.

ოლიმპიზმი




# სოჭი მსხვერპლს მოითხოვს

შორტ-ტრეკში პოლონეთის ნაკრების წევრები - **აიდა ბელა** და **მარტა ვოიციკი** ჟურნალ „ფლეიბოის" პოლონური ვერსიის ნოემბრის ნომრის გარეკანზე მოხვდნენ. პოლონელები ეროტიკულ გადაღებებს იმ იმედით დათანხმდნენ, რომ ფულს შეაგროვებენ სოჭის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად.

დღეისთვის, აიდა ბელა და მარტა ვოიციკი არ შედიან პირადი ჩათვლის TOP40-ში, რაც პრობლემატურს ხდის მათ მოხვედრას ოლიმპიადაზე. თუმცა, გოგონებს ამ რეიტინგის გამოსწორების იმედი აქვთ ამ კვირას, კოლომნაში მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოსვლის შემდეგ.

ჩოგბურთი


მარეი მაიამის კორტზე

# ენდიმ ვარჯიში დაიწყო

ბრიტანელი **ენდი მარეი**, რომელმაც სექტემბერში ზურგზე ოპერაცია გადაიტანა, კორტზე დასაბრუნებლად ემზადება, - იტყობინება The Slice და შესაბამის ფოტოსაც აქვეყნებს.

ჩოგბურთელი, რომელმაც გამოტოვა წლის შემაჯამებელი ტურნირი, მაიამიში ჩავიდა და ადგილობრივ უნივერსიტეტში ვარჯიშობს. ადრე იტყობინებოდნენ, რომ წლევანდელი უიმბლდონის ჩემპიონი გამოსვლას განაახლებს დეკემბერში, აბუ-დაბის საჩვენებელ ტურნირზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**